

ჯანსუღ კახიძე

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

3 (28)•2016

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

ფესტივალი
მზია ჯაფარიძე
გორის I საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალი 2
წლეულის გადასახედიდან
გულბათ ტორაძე. **უნიკალური თემურ გუგუშვილი** 14
ღვაწლი
სოფო კოტრიკაძე. **ფილიმონოვა ოგურგეთში** 16
ქართველი კლასიკოსები
თამარ წულუკიძე
შეხვედრა ქართული სიმფონიური მუსიკის კლასიკოსთან 22
საქართველო და ევროპა
მზია ჯაფარიძე
ქართული მუსიკის პოპულარიზატორი და ქველმოქმედი 26
ეპოქალური სახეები
ციცინო ჯერვალიძე
ყოველთვის მშველის მუსიკასთან სუფთა, პატიოსანი დამოკიდებულება... 28
ფესტივალის ფურცელი
ოთარ ტატიშვილი. **დაუვიწყარი შეხვედრები** 40
გახსენება
გიორგი კრავეიშვილი. **მანანა დოლიძე- ანდრიაძისა** 42
რეგიონი
ზურაბ ოიკაშვილი
ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 45
ახალი გამოცემები
კიდევ ერთხელ „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ თაობაზე 47
ქართველი მუსიკოსები უცხოეთში
ვიქტორია ჩაპლინსკაია. **გიორგი გაგნიძე** 54
მატიანე
რუსუდან ხოჯავა
ცოტა რამ ისტორიიდან და დღევანდელობაზე 58
განათლება
სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი 62
ახალი გამოცემები
წიგნი-ალბომი „ფოლკლორული ანსამბლები“ 65
რეპორტაჟი
თამარ ჩინჩალაძე-მარი. **მომნუსხავი სიმღერა** 67
ქრონიკა
ნინო მაჭავარიანი
„რეგიონ ოპერა“ – ახალი საოპერო თეატრი საქართველოში 72
სტუდენტური გვერდი
ანტონ კოკაია. **TBILISI OPEN AIR 2016** 75
ახალი სახელები
ნანა (ნანიკო) ძიძიგური 78
ფეისბუკის გვერდიდან
ნანა ლორია. **კრიტიკოსის ამპლუა** 79
WWW 80
Summary 82

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე
დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 295 41 64; ფაქსი.: (+995 32) 296 86 78

გორის I საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალი

მგზია ჯაფარიძე

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ გორში აღდგა საგუნდო მუსიკის ფესტივალის ტრადიცია, რომელსაც 30 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მე დავსწრებივარ გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალს ადრეულ წლებში, მათ შორის, ბოლო ფესტივალს (1996წ.) და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამჯერად ფესტივალმა, მრავალი პარამეტრით, თვისობრივად სრულიად ახალი სახე მიიღო, ივი თანამედროვე საერთაშორისო საფესტივალო სტანდარტების მაღალი მოთხოვნების შესაბამისი იყო.

გორი ხომ ქართული საგუნდო ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, განთქმული იყო გორის სასულიერო სემინარიის მგალობელთა გუნდი, სადაც მოღვაწეობდნენ ქართული საგუნდო ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ სანდრო კავსაძე, ია კარგარეთელი და სხვ. გასული საუკუნის 70-იან წწ., სანდრო კაჭარავას და შალვა მოსიძის ძალისხმევით გორში საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთ უნიკალურ, საერთაშორისო დონის საგუნდო კოლექტივს — „გორის გოგონათა გუნდს“, შემდგომ კი გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალს.

ამდენად, საგუნდო მუსიკის ფესტივალის გამართვა ქ. გორში შემთხვევითი არაა, რადგან საგუნდო კულტურა ყოველთვის მაღალი იყო ამ ქალაქში, რაც ცხადყო კიდეც საზოგადოების აქტივობამ, მსმენელის გათვითცნობიერებულობამ და მუსიკალურმა კულტურამ. აღარაფერს ვამბობ გორის საგუნდო კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების პროფესიონალიზმზე და ნიჭიერებაზე. მისასალმებელია, რომ გორი არ ივიწყებს ღვაწლმოსილ მოღვაწეებს. აღდგენილი გორის საგუნდო მუსიკის I ფესტივალი მიეძღვნა გორის ქალთა გუნდის დამაარსებლის, 40 წლის მანძილზე მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირიჟორის, საქართველოს სახალხო არტისტის, საერთაშორისო პრემიების მრავალგზის ლაურეატის, პროფესორ შალვა მოსიძის 80 წლის საიუბილეო თარიღს.

მიუხედავად იმისა, რომ საგუნდო მუსიკის ფესტივალი ზუსტად 20 წლიანი შუალედის შემდეგ განახლდა, როგორც უკვე აღვნიშნე, ივი ყველა ასპექტით უმაღლეს დონეზე ჩატარდა — კონცერტების ხარისხით, ფესტივალის პროგრამითა და მისი დრამატურგიით, ორგანიზაციული კუთხით. პროგრამა ძალზედ დატვირთული და საინტერესო იყო: კონცერტები, მასტერკლასები, შესანიშნავად ორგანიზებული ექსკურსიებით და სხვ. ექსკურსიების ჩართვა ფესტივალის პროგრამაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ძირძველი კულტურის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება. აქვე დავძენ, ფესტივალი დაიწყო ევროპის საგუნდო ასოციაციის „ევროპა კანტატას“ (EUROPEAN CHORAL ASSOCIATION – EUROPA CANTAT) პრეზიდენტის, ბ-ნი გაბორ მოცარის პრეზენტაციით და ამასთანავე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მოხსენებებით ინგლისურ ენაზე. მათ საზოგადოებას წარ-

მოუდგინეს თემები ქართული ძირძველი მუსიკალური კულტურის შესახებ. ეს უცხოელ სტუმრებზე გათვლილი ძალიან მიზანმიმართული და კარგად გააზრებული „პრეამბულა“ იყო.

ფესტივალში მონაწილეობდა 15 კოლექტივი (480-მდე მონაწილე): ფინეთის ქალთა კამერული გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ვიქტორია მერსონი), ტალინის პორტის შერეული კამერული გუნდი (დირიჟორი ეერონ რაუნი), სომხეთის სახელმწიფო კამერული გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი რობერტ მლკეიანი), აზერბაიჯანის სახელმწიფო კაპელა (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გულბაჯი იმანოვა), ქართული კოლექტივები: საქართველოს ნ. სულხანიშვილის სახ. სახელმწიფო ეროვნული კაპელა (მთავარი დირიჟორი არჩილ უშვერიძე), ვაჟთა გუნდი „მძლევარი“ (ხელმძღვანელები ტარიელ და კახაბერ ონიანები), აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა (დირიჟორი მიხეილ ედიშერაშვილი), გორის მამაკაცთა გუნდი „გორი“ (დამაარსებელი და უცვლელი დირიჟორი მიხეილ მცურავიშვილი), გორის ქალთა კამერული გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი თეონა ცირამუა), თბილისის გოგონათა გუნდი (ხელმძღვანელი ომარ ბურდული), თბილისის გუნდი „ბაროკო“ (ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი), ახალგაზრდული გუნდი „თუთარჩელა“ (ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი თამარ ბუაძე), გორის ბავშვთა გუნდი (ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ნინო წიკლაური), ქუთაისის ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „ნაი-ნაი“ (ხელმძღვანელი ქეთევან ბანცაძე), ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის გოგონათა გუნდი (ხელმძღვანელი მაგდანა მათითაიშვილი).

ძალზედ საინტერესო, მრავალფეროვანი იყო ფესტივალის გახსნა და დახურვა, ვინაიდან თითქმის ყველა საგუნდო კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა და მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზა მსმენელს — კლასიკიდან დაწყებული, ეროვნული ფოლკლორით დამთავრებული. ძნელია ერთი წერილის ფარგლებში მიმოიხილო ყველა კოლექტივის საშემსრულებლო ოსტატობა და გამოსვლის ხარისხი. უცხოური კოლექტივებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი აზერბაიჯანის სახელმწიფო კაპელას, რომელიც ჩანს, რომ ძირითადად პროფესიონალი მომღერლებითაა დაკომპლექ-

ფესტივალის გახსნა. მაცხნიდან პირველი: ფესტივალის ორგანიზატორი ლია ჭონიშვილი; ვაჟთა გუნდი „მძლევარი“ (ხელმძღვ.: ტარიელ და კახაბერ ონიანები).

ტებული, რაც იგრძნობა ჟღერადობის ხარისხში, ვოკალიზში. განსაკუთრებით საინტერესო იყო აზერბაიჯანული მუღამის — „ბაიათი შირაზის“ საგუნდო ვერსია, რომელიც გუნდმა შესანიშნავად შეასრულა. თავისი გამოსვლა აზერბაიჯანის კაპელამ „მრავალჟამიერით“ გახსნა, ხოლო დასასრულს, კაპელის ხელმძღვანელმა, გულბაჯი იმანოვამ ბ-ნ შალვა მოსიძეს მიულოცა იუბილე და ძღვენიც გადასცა.

ასევე გამოირჩეოდა სომხეთის სახელმწიფო კამერული გუნდი, რომლის პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობოდა სომეხი კლასიკოსი კომპოზიტორის, კომიტასის ნაწარმოებებს. თავისი პირველი გამოსვლა კოლექტივმა „სულიკოს“ საგუნდო ვერსიით დაასრულა, რამაც ქართველი მსმენელის გულმხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა, სოლო პროგრამა კი, რომლითაც მეორე დღეს წარსდგა კამერული გუნდი, რევაზ ლაღიძის „თბილისოთი“ დააგვირგვინეს. რაც შეეხება ფინეთისა და ესტონეთის საგუნდო კოლექტივებს, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ამ ქვეყნების მაღალი საგუნდო კულტურა, ამჯერად მათი საშემსრულებლო

ᲫᲐᲚᲕᲐ ᲛᲝᲡᲘᲫᲔ

დონე ძალზედ დაბალი იყო.

ალბათ არ ვიქნები სუბიექტური თუ ვიტყვი, რომ ქართული საგუნდო კოლექტივები, თითქმის უკლებლივ, საშემსრულებლო თუ სადირიჟორო კულტურის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში უდავოდ იყვნენ ფავორიტი კოლექტივები. პირველ ყოვლისა, გორის ქალთა კამერული გუნდი და გორის ბავშვთა გუნდი, თბილისის გოგონათა გუნდი და რუსთავის ახალგაზრდული გუნდი. ჩვენი კოლექტივებით აღფრთოვანებას ვერავინ მალავდა.

გორის ქალთა კამერული გუნდის საავტორო პროგრამამ ფურორით ჩაიარა, ბისზე ხუთჯერ გამოიყვანეს კოლექტივი, რომ იტყვიან, დარბაზი დაინგრა ოვაციებით. გასაოცარი იყო არა მხოლოდ მაღალი საშემსრულებლო დონე, მთავარი დირიჟორი, თეონა ცირამუას ნიჭიერება და პროფესიონალიზმი, არამედ, ულევი ენერგიაც, რაც მას აქვს. გარდა ამისა, თეონას ეკუთვნის ოსტატურად შესრულებული არაერთი ნაწარმოების საგუნდო არანჟირება, აღარაფერს ვამბობ მის ვოკალურ მონაცემებზე და გულშიჩამწვდომ ხმაზე. როდესაც ფესტივალის გახსნის საკონცერტო პროგრამის ბოლოს კოლექტივმა იოსებ კეჭაყმაძის გენიალური გუნდი-დატირება „ლომო, შე ლომის მოკლულო“ ააჟღერა, სადაც სოლო პარტია თეონა ცირამუამ საოცარი, სულის შემძვრელი ემოციით იმღერა, რომ იტყვიან, გული საგულეს არ იყო და მთელი დარბაზი ცრემლს ვერ იკავებდა...

ქართული საგუნდო კოლექტივებით აღფრთოვანების კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. თბილისის გოგონათა გუნდის გამოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი უცხოური კოლექტივის წარმომადგენელმა, რომელიც მისალოცად კი არ მიდიოდა, გარბოდა, გაოგნებული ამბობდა: „არა! ისე როგორც ქართველები მღერიან, ვერავინ ვერ მღერის! საოცრებაა, ასეთი ღვთიური ჟღერადობა!... როგორ შეიძლება?!... ამ პატარა ბიჭს (გულისხმობდა დირიჟორს ომარ ბურდულს — მ.ჯ.) საიდანა აქვს ეს ყველაფერი, როგორ? ეს ღვთისგანაა ბოძებული... არა, მორჩა, თავი უნდა დავანებო სიმღერას“... სხვათა შორის, ეს ბატონი, წარმოშობით რუსი, დამამახსოვრდა უფლისციხის ექსკურსიიდან, რადგან, როდესაც ვათვალიერებდით ამ უნიკალური, უძველესი ძეგლის სხვადასხვა დარბაზებს, სკეპტიკურად ჩაილაპარაკა: „ნუ, და რა არის აქ განსაკუთრებული? ხომ უნდა ეცხოვრათ ადამიანებს სადღაც“... ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ საოცარმა ძეგლმაც კი — თავისი ანტიკური დარბაზებით, უძველესი სათეატრო სივრცით, სალოცავებით, ქვევრებით, თონეებით, აფთიაქით თუ უძველესი წყალკანალიზაციის სისტემით და ა.შ. — ვერ სძლია მის ქვეცნობიერში არსებულ შინაგან „ქიშპს“, მაგრამ, მუსიკამ გააქარწყლა ყოველივე უარყოფითი, თუკი რამ იყო მასში. ეს უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ, როდესაც პრიორიტეტებს საზღვრავს კულტურულ პოლიტიკაში, თუკი ასეთი არსებობს.

აღფრთოვანება დაიმსახურა დირიჟორ თამარ ბუაძის ახალგაზრდულმა შერეულმა გუნდმა „თუთარჩელამ“. დირიჟორის ოსტატობამ, უსაზღვრო მუსიკალობამ, პროფესიონალიზმმა ისე დაიმორჩილა სხვადასხვა

ასაკისა და ინტერესების მქონე მოზარდთა სულიერი სამყარო, რომ ყოველი მათგანი თავდავიწყებით ეძლევა მუსიკის სტიქიას და მათგან გასაოცარი ენერგეტიკა, ემოცია და მუხტი მოდის. პროგრამაში ბევრია პოპ-მუსიკის ნიმუშები, მაგრამ, როგორც თვითონ თამარმა ჩემთან საუბარში აღნიშნა — „აქედან უნდა დამეწყო, რომ დამეინტერესებინა ახალგაზრდები. ახლა უკვე ისე არიან მუსიკით გატაცებულნი, შემიძლია ნელ-ნელა კლასიკით გავამდიდრო მათი რეპერტუარი". აღსანიშნია ისიც, რომ მას ეკუთვნის არაერთი თანამედროვე ნაწარმოების შესანიშნავი საგუნდო არანჟირება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს არა მხოლოდ ქართული საგუნდო კოლექტივების საშემსრულებლო ხარისხი, არამედ ქართული საკომპოზიტორო სკოლის მიღწევები საგუნდო მუსიკის ჟანრში, რომელიც ნებისმიერ მსოფლიო მიღწევებს ტოლს არ დაუდებს. დავსძენ იმასაც, რომ ქართული საგუნდო კოლექტივები ყოველთვის გამოირჩევა ქართული მუსიკისადმი ერთგულებით —ისინი დიდ ადგილს უთმობენ როგორც ქართულ კლასიკას, ისე თანამედროვე მონაპოვრებს, რაც ნამდვილად მისასალმებელია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენ საშემსრულებლო პრაქტიკისათვის ჩვეულ გულგრილობას ქართული მუსიკისადმი. ამჯერადაც ჩვენმა საგუნდო კოლექტივებმა დიდი ადგილი დაუთმეს ქართულ მუსიკას და კიდევ ერთხელ ნათელყვეს ჩვენი საგუნდო მუსიკის მიღწევები. ფესტივალზე აჟღერდა ოთარ თაქთაქიშვილის, ალექსი ფარცხალაძის, იოსებ კეჭაყმაძის, ჯემალ ბეგლარიშვილის, გოგი ჩლაიძის, ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოებები.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ექსკურსიებმაც, განსაკუთრებით კი, უფლისციხემ და იქვე გამართულმა კონცერტმა, სადაც ფესტივალში მონაწილე თითქმის ყველა ძირითადი გუნდი გამოვიდა. ანტიკური ხანის ამ უძველეს სივრცეში ქართველმა შემსრულებლებმა კონცერტამდე ექსპრომტად შეასრულეს „მრავალჟამიერი". ამ უძველეს სივრცეში ასევე ძირძველი ქართული სიმღერის ჟღერადობა ისე შეერწყა ანტიკურ გარემოს, რომ მონუსხა უკლებლივ ყველა იქ მყოფი ადამიანი.

ფესტივალი ზეაწეულ ნოტაზე დასრულდა, თუმცა ქართველი და უცხოელი მსმენელი გულნაკლული დარჩა იმის გამო, რომ დასკვნით კონცერტზე არ შედგა „გორის ქალთა კამერული გუნდის" გამოსვლა, უნიჭიერესი მუსიკოსის, ქორმაისტერის თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით. მათ მთელი დარბაზი ელოდა, სწორედ ამ ერთ-ერთ გამორჩეულ კოლექტივს უნდა დაეგვირგვინებინა ფესტივალი... სამწუხაროდ, მცირე ექსცესის გამო, გუნდის ცოცხალი გამოსვლა თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით შეცვალა „გორის ქალთა კამერული გუნდის" ძველი შემადგენლობის ჩანაწერმა შალვა მოსიძის დირიჟორობით, რამაც მსმენელში, ერთი მხრივ გაურკვევლობა, მეორე მხრივ კი გულისტკივილი გამოიწვია. დარწმუნებული ვარ, მომავალში ფესტივალის ორგანიზატორები დაძლევენ წინააღმდეგობებს და მეორე ფესტივალი მსგავსი ექსცესების გარეშე ჩაივლის. აქვე დავძენ, რომ გორში, 29 ივნისს, „გორის ქალთა კამერულმა გუნდმა" ბრწყინვალე კონცერტი გამართა. დარბაზში ტევა არ იყო, შეიძლება ითქვას — მთელი გორი ესწრებოდა კონცერტს. მსმენელს დიდხანს არ უნდოდა თავისი ფავორიტების გაშვება სცენიდან. ვულოცავ მათ ამ მორიგ ბრწყინვალე წარმატებას!

ფესტივალის პირველი დღე. საინფორმაციო შეხვედრა ასოციაცია „EUROPA CANTAT"- ის პრეზიდენტთან გაბორ მოცართან. გაბორ მოცარი და ლია ჯონიშვილი.

სამწუხაროა აგრეთვე ისიც, რომ ფესტივალში ნაკლებად იყო ჩართული ქართული მედია. ცენტრალურმა ტელევიზიებმა სათანადო ადგილი არ დაუთმეს ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, თუმცა, ვფიქრობ, ეს ჩვენი ტელევიზიების ხარვეზი უფროა, ვიდრე ფესტივალის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნიუანსებისა, აღდგენილ პირველი ფესტივალისთვის მცირედი ხარვეზები გასაკვირი არც უნდა იყოს და ვერ გააფერმკრთალებს იმ უზარმაზარ შთაბეჭდილებებს, რაც ფესტივალიდან გამოგვყვა. შთაბეჭდილებები და ემოციები ყოველდღე მზარდი იყო, ყოველი დღე მეორეს ჯობდა და კულმინაციისაკენ მიდიოდა. შთაბეჭდილებების გასაზიარებლად გავესაუბრე უცხოელ სტუმრებს:

ვლადიმერ როჟოკი

ვლადიმირ როჟოკი (საგუნდო დირიჟორი, უკრაინის პ. ჩაიკოვსკის ეროვნული მუსიკალური აკადემიის რექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აკადემიკოსი, უკრაინის სახალხო არტისტი) — *გორის ფესტივალზე პირველად ვარ, და საერთოდ, საქართველოშიც პირველად ვიმყოფები, შთაბეჭდილება გამაოგნებელია. რაც შეეხება გორის ფესტივალს, ძალიან დადებით მოვლენად მომაჩნია ის, რომ საქართველოში, კერძოდ კი გორში, გადაწყდა ამ ფესტივალის ჩატარება. საგუნდო სიმღერა, მასობრივი სიმღერაა, მასში ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობს და რა თქმა უნდა, ის მონაწილეები, რომლებიც დაესწრებიან ან იმღერებენ კონცერტებზე, გაემგზავრებიან თავიანთ სამშობლოში, შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ ახლობლებს და ასე, როგორც ჯაჭვი, ინფორმაცია ერთიდან მეორეს გადაეცემა. საგუნდო სიმღერა ხომ ძალიან დემოკრატიულია, რადგან ივი აერთიანებს ადამიანებს და ასეთ დროს აზრს კარგავს პოლიტიკა. მაგალითად, გუშინ ჟღერდა ქართული მუსიკა, მე ვიჯექი და ცრემლი მდიოდა, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ქართული მუსიკა, ქართველი კომპოზიტორები, ქართული კოლექტივები. მე დიდი ხანია ვმუშაობ უკრაინაში, ვარ ეროვნული აკადემიის რექტორი, მიმუშავია ჩვენი ათწლედის ბიჭუნათა გუნდთან, ვიცი ეს რა არის და ამიტომ საქართველოთი, თქვენი კოლექტივებით, მომღერლებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი, დაწყებული საოპერო მომღერლებიდან, დამთავრებული საესტრადოთი — ნანი ბრეგვაძე, „ორერა“, რომელიც ახალგაზრდობაში ჩემი უსაყვარლესი კოლექტივი იყო. გუშინ, როდესაც რესტორანში მოვისმინე სამი ახალგაზრდა ყმაწვილის მიერ ნამღერი ქართული სიმღერები გიტარის თანხლებით, მე გაოგნებული დავრჩი, გონზე ვერ მოვდიოდი, ეს უბრალოდ ნორმალურმა ადამიანმა არ შეიძლება მშვიდად აღიქვას — ეს უბრალოდ შესანიშნავია, ბრავისიმო!!!*

ვფიქრობ, ფესტივალი თანდათან მოიკრებს ძალას. ყოჩაღ ამ ფორუმის ორგანიზატორს ლია ჭონიშვილს! მე ვხედავ მის გარშემო როგორ არიან თავმოყრილნი დაინტერესებული ქართველები, როგორ ეხმარებიან მას. რა თქმა უნდა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება. გასული საუკუნის 90-იან, 2000-იან წლებში ვმუშაობდი რა უკრაინის კულტურის მინისტრის მოადგილედ, გამიმართავს და ვყოფილვარ არაერთი ფესტივალის ორგანიზატორი, ჩემ თავზე გამომიცდია ეს ყველაფერი, თანაც იმ პერიოდში, როდესაც მთავრობა სათანადოდ არ აქცევდა ყურადღებას და არ აფინანსებდა კულტურას. როგორც წესი, კულტურას მაშინ აქცევენ ყურადღებას, როდესაც არჩევნებზე უნდა გაძვრნენ და დაიკავონ სავარძლები, შემდეგ კი აღარაფერს აკეთებენ. სახელმწიფო დოტაციის გარეშე პროფესიული ხელოვნება ვერ იარსებებს, ვერ ***ი-არ-სე-ბებს!*** *მას მხარი უნდა დაუჭირონ და ის შემდეგ შენ სასარგებლოდ იმუშავებს.*

უკრაინაში რომ ჩავალ, აუცილებლად ვეტყვი იქაურ ქართველებს, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან, რომ მათ უნდა მოიწვიონ თქვენი საოცარი კოლექტივები, მათ შორის, ბავშვთა კოლექტივები. ჩემზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდულმა შერეულმა გუნდმა „თუთარჩელამ“ რუსთავიდან, უბრალოდ, უნიკალური კოლექტივია, გამაოგნებელი დირიჟორით, ის თავისი სულისა და ხორცის ყოველი უჯრედით გრძნობს რა არის მუსიკა, რა არის საგუნდო კულტურა და ა.შ. ხოლო ორი გოგონა, თეონა ცირამუა და ნინო წიკლაური, აღზრდილები ცნობილი შალვა მოსიძის მიერ, შესანიშნავები არიან. განსაკუთრებით გორის ქალთა კამერული გუნდი — უბრალოდ, ფანტასტიკური გუნდია: შესრულების ტექნიკით, ჟღერადობით, ანსამბლურობით. ის ბრწყინვალედ ჟღერს როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური რეპერტუარის შესრულებისას: შესანიშნავია ხმათა სვლა, რბილი ტემბრი, ხმათა შერწყმა...

ვფიქრობ, რომ ამ ფესტივალს აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა. რა რთულიც არ უნდა ოყოს, არ შეიძლება მისი შეჩერება, ის უნდა გაგრძელდეს! მომავალი წლისთვის ჩვენ აუცილებლად შევეცდებით, რომ ქართული კოლექტივები ჩამოვიდნენ უკრაინაშიც. შეიძლება მომავალ ფესტივალზე ჩამოვიყვანოთ უკრაინული კოლექტივებიც, რაც ძალიან კარგი იქნება. უკრაინა ძალიან მუსიკალური ქვეყანაა, აქვს საგუნდო მუსიკის მდიდარი ტრადიციები. მე ვარ უკრაინის მუსიკალური საზოგადოების მდივანი, ჩვენ სტრუქტურაში არის საგუნდო საზოგადოება, რომელიც იყო ადრეც, ამიტომ ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა პრობლემა, რომელიც ამ სფეროში არსებობს. ჩვენ უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ვიმღეროთ ერთად, ხშირად ჩავატაროთ ერთობლივი კონცერტები, ვინაიდან 70 წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთ სახელმწიფოში, ამიტომ უნდა მხარი დავუჭიროთ ყველა კარგ წამოწყებას. აღნიშნული ფაქტორები მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ ეს ფესტივალი, რომელიც დიდი ხანია არსებობს და ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო, ხოლო ახლა მისი რეამინირება მოხდა, ჰპოვებს თავის გაგრძელებას. მადლობა ღმერთს, რომ ეს ფესტივალი არსებობს! დარწმუნებული ვარ დიდ შედეგებს მოიტანს და ნაყოფს გამოიღებს არა მხოლოდ ქართული საგუნდო მუსიკისთვის, არამედ უკრაინისთვისაც, მოლდოვისთვისაც, ბალტიისპირეთისთვისაც და ა.შ. აგერ, ვხედავ, რომ აქ არის ლატვიის ეროვნული საოპერო თეატრის დირიჟორი მარის სირმაისი, ვხედავ ერევნის, აზერბაიჯანის კაპელებსაც, ვფიქრობ, რომ წრე თანდათან გაფართოვდება. დარწმუნებული ვარ, ამ ფესტივალს დიდი მომავალი აქვს.

გულბაჯი იმანოვა (აზერბაიჯანის სახელმწიფო საგუნდო კაპელის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ბაქოს კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო

გულბაჯი იმანოვა

კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული და სახალხო არტისტი) — *ვფიქრობ, რომ ასეთი ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დიდი რაოდენობის მუსიკოსები მონაწილეობენ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს, ჩვენ ვუსმენთ ერთმანეთს. ერთია, როდესაც ვისმენთ ტელევიზიით, რადიოთი ან სხვა ადამიანებისგან ვიგებთ ამბებს, და მეორეა, როდესაც ჩვენ უშუალო კონტაქტი გვაქვს, ცოცხლად ვისმენთ ერთმანეთის შესრულებას, ვეხებით ერთმანეთის მუსიკას, ეს ხომ ძალიან გვაახლოებს — ჩვენ უკეთ გვესმის ერთმანეთის, ვამდიდრებთ ერთმანეთს. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალია და მან უნდა განაგრძოს სიცოცხლე.*

პირველად ამ ფესტივალზე 1996 წელს ვიყავი. მაშინ ურთულესი დრო იყო, მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები. ბაქოში კიდეც მითხრეს — სად მიდიხარ, იქ ხომ ომია!.. მე ვპასუხობდი, რომ მივდივარ საქართველოში, ისინი ხომ ჩვენი მეზობლები, ჩვენი ძმები არიან. ცუდად რომ იყოს საქმე, ისინი არ მივვიწვევდნენ-მეთქი. ურთულესი მდგომარეობის მიუხედავად, შესანიშნავი ფესტივალი იყო, ძალიან კარგად დაგვხვდნენ, იყო ბევრი მუსიკა, ბევრი შეხვედრა. და აი, უფლის ნებით, ოცი წლის შემდეგ, ისევ აქ ვართ!თუ შევადარებთ მაშინდელ და ახლანდელ ფესტივალს, ვერ ვიტყვი, რომ მაშინ იყო უარესი, ან უკეთესი. საქმე ისაა, რომ ქართ-

აზერბაიჯანის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

ველები ძალიან თბილი, სტუმართმოყვარე ხალხია და ყოველთვის კარგად გვხვდებიან. ამჯერად შეიმჩნევა მეტი მრავალფეროვნება, მეტი გუნდი მონაწილეობს. მაშინ იყო რუსთავის და გორის გუნდები, ახლა კი მათ გარდა მოვისმინეთ ბავშვთა გუნდები, აფხაზეთის საგუნდო კაპელა, თბილისის გოგონათა გუნდი, ქალთა გუნდი ფინეთიდან და სხვ. პროგრამაც უფრო დატვირთულია, ვიყავით ყინწვისში, უფლისციხეში, მაშინ ეს ადგილები არ მოგვინახულებია. გარდა ამისა, ჩატარდა მასტერკლასები. ახლა ამოსუნთქვის დროც კი არ გვაქვს (იცინის). მომავალში მთავარია ეს ფესტივალი არ დაიხუროს და იარსებოს, ხოლო როგორ ფორმატში, ეს თქვენი გადასაწყვეტია. ჩვენ სტუმრები ვართ და მივიღებთ ისეთს, როგორიც იქნება, მთავარია იარსებოს და დამკვიდრდეს ტრადიციად, გაიმართოს თუ ყოველ წელს არა, 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ძალიან მნიშვნელოვანია შევასრულოთ ერთმანეთის მუსიკა. რამდენიმე წლის წინ ვიყავი კომისიის თავმჯდომარე თბილისის კონსერვატორიაში. ზოგი ნაწარმოები ძალიან მომეწონა, მოვითხოვე ნოტები, მომცეს და ჩვენ ამ ნაწარმოებებს ვსწავლობთ, ვასრულებთ, მაგალითად, იოსებ კეჭაყმაძის გუნდებს. ამჯერადაც მომეწონა ერთი ნაწარმოები და ვითხოვე კიდეც ნოტები.

მომავალი ფესტივალისთვის ვისურვებდი, რომ პროგრამაში იყოს 2-3 ნაწარმოები, რომელსაც ყველა მონაწილე გუნდი ერთობლივად შეასრულებს. მაგალითად, ადრე, 1996-ში, სიმღერა „სულიკო“ არანჟირებული იყო 5 გუნდისათვის. ყველა გუნდი იდგა სცენაზე, ყოველი გუნდის ხელმძღვანელი ცალ-ცალკე გამოდიოდა და თითო-თითო კუპლეტს დირიჟორობდა. გარდა ამისა, სპეციალურად ფესტივალისთვის დაიწერა გუნდი „გამომშვიდობება გორთან“, რომელიც, თუ არ ვცდები, ი. კეჭაყმაძემ სპეციალურად ამ ფესტივალისთვის შექმნა, ძალიან ლამაზი მუსიკა იყო. ესეც ყველა გუნდმა ერთობლივად შეასრულა. აი, ამას ვისურვებდი, რომ მომავალში ყველა გუნდი გამოვიდეს სცენაზე და ერთად ვიმღეროთ, ეს შესანიშნავია, ეს გვაერთიანებს, ძალიან შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია.

მარის სირმაისი (ლატვიის წამყვანი დირიჟორი, ლატვიის სახელმწიფო გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, ი. ვიტოლსის სახელობის ლატვიის მუსიკალური აკადემიის საგუნდო სადირიჟორო განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ლატვიის „სამი ვარსკვლავის“ ორდენის კავალერი) — *ლატვიის საელჩოსა და ჩვენი ელჩის წყალობით, სამი წლის წინ ვიყავი საქართველოში. ჩვენი ელჩი, არაა უბრალოდ ელჩი, არამედ ის პროფესიით დირიჟორია და ძალიან კარგად იცის რა არის კარგი და ცუდი მუსიკაში. მან დამაკავშირა „დიდგორთან“, შესანიშნავ ხალხურ საგუნდო კოლექტივთან. მე არ ვარ დიდად კომპეტენტური ქართული*

მარის სირმაისი

ეთნოგრაფიული კოლექტივების საკითხში, მაგრამ მათთან მუშაობა უბრალოდ ფანტასტიკა იყო. ოთხმა ლატვიელმა კომპოზიტორმა დაწერა 15-20 წუთის ხანგრძლივობის ოთხი ნაწარმოები. ამ თანამედროვე, ორიგინალურ კომპოზიციაში შევიდა ქართული მრავალხმიანი სიმღერაც. ერთი მხრივ, ეს იყო ორი სრულიად განსხვავებული კულტურის შეხვედრა, მაგრამ, ამავე დროს, ორი მონათესავე კულტურისაც — იყო რაღაც ძარღვი, რომელიც აერთიანებდა ამ განსხვავებულობას. ეს ძნელად ასახსნელია, მაგრამ ასეა.

ამჯერად მე ვარ გორის ფესტივალის სტუმარი. იცით, აქ ჩემთვის ძალიან ბევრი სიურპრიზი აღმოვაჩინე, ძირითადად კი, ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო თქვენი ბავშვთა და მოზარდთა საგუნდო კოლექტივები. ჯერ ერთი ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში ასეთი ნიჭიერი დირიჟორები არიან და ესოდენ ნიჭიერი კოლექტივები. მე უბრალოდ გაოგნებული ვიყავი, განსაკუთრებით გუშინწინ, როდესაც მოვისმინე გორის და რუსთავის ბავშვთა კოლექტივები. თითოეული მათგანი, თავისი უნიკალური კვალიტეტით, ძალიან მაღალ დონეზე იდგა. ამავე დროს, ორივე ძალიან განსხვავებულია, თითოეულს აქვს გამორჩეული თვისობრივი მახასიათებლები, ისევე, როგორც ბურდულის თბილისის გოგონათა გუნდს და გორის ქალთა კამერულ გუნდს. თუმცა მათ შესრულებაზე ჩემი შეხედულება მაქვს. თუ შესაძლებლობა მომეცემა, ჩემ მოსაზრებებს სიამოვნებით გავუზიარებდი ამ კოლექტივების დირიჟორებს. პირველ ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ აღმოვაჩინე უსაზღვროდ ნიჭიერი ადამიანები, სწორედ დირიჟორები — სუპერ-ნიჭიერები არიან, უდიდესი მუსიკალური პოტენციალით, მუსიკალური ტემპერამენტით, მგრძნობიარობით, და არ შემეშინდება ამის თქმა, რომ თავისი დამოკიდებულებით მუსიკისადმი ისინი ცოტა „გიჟები“ არიან, ამ სიტყვის კარგი გაგებით. „გიჟები“ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ერწყმიან მუსიკას, როგორ მიცურავენ მუსიკის ზღვაში, თითქოს „კაიფობენ“ იმით, რასაც ჩვენ მუსიკას ვუწოდებთ. ეს ყველგან არაა, ესაა თქვენი, ქართული ტალანტის დამახასიათებელი, ტიპური თვისება. მეორე მომენტი, რამაც გამაოგნა, ესაა ძალიან საინტერესო კომპოზიციები, ვგულისხმობ ქართულ მუსიკას. ეს საოცრად ემოციური იყო, გამაოგნებლად სუფთა და ტემპერამენტული... მე არ მესმოდა თქვენ რაზე მღეროდით, მაგრამ, მე თქვენთან ერთად ვიყავი ცაშიც და იქ, სადაც ეშმაკი ცხოვრობს. ამ მუსიკაში ვიგრძენი სრულიად სხვადასხვა ფერები, ხასიათები... იცით, მე ადრეც მომისმენია ქართული საგუნდო მუსიკა, რადგან ჩვენ სახელმწიფო გუნდს, დაახლოებით ექვსი წლის წინ, ყავდა ქართველი დირიჟორი, რომელიც ასრულებდა ხოლმე ქართულ მუსიკას. ამ მუსიკას შემდეგ ლატვიის სხვა საგუნდო კოლექტივებიც ასრულებდნენ. ეს რაც შეეხება თქვენი დირიჟორებისა და კოლექტივების ემოციურობას და ფანტასტიკურ მუსიკალობას. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დირიჟორები ასეთი ნიჭიერები არიან, ისინი საოცარი შინაგანი თავმდაბლობით გამოირჩევიან. ეს ფენომენალურია, რადგან, სხვა ერებშიც არის ბევრი ნიჭიერი დირიჟორი, მაგრამ, მათ არა აქვთ პრობლემა თავიანთ თავთან და ისინი მუდმივად კმაყოფილნი არიან საკუთარი თავით. ეს ყველა ნიუანსში ჩანს — როგორ გამოდის მუსიკოსი სცენაზე, როგორ აჩვენებს საკუთარ თავს, როგორ ახდენს საკუთარი თავის დემონსტრირებას. თქვენ დირიჟორებს კი აქვთ რაღაც უნიკალური თავმდამდაბლება მუსიკის წინაშე (*унижение перед музыкой*), ამ სიტყვის კარგი გაგებით. ეს ისაა, რაც მე ვიგრძენი. არ ვიცი, რო-

თბილისის გოგონათა გუნდი
(ხელმძღვ. ომარ გურდული)

გორები იქნებოდნენ ისინი, რომ გამეცნო ადამიანური კუთხით, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. მეორე მხრივ, მუსიკა ესაა მუდმივი ზრდის, განვითარების, ახალი წყაროების მოძიების შესაძლებლობა და ეს ტემპერამენტი, ემოციურობა, განსაკუთრებით თუ ევროპულ მუსიკაზე ვისაუბრებთ, ჩემი აზრით, ცოტა სხვა მიმართულებას აძლევს მას, იმიტომ, რომ თავს იჩენს შემდეგი ნიუანსი — თითქოს დირიჟორს არ შესწევს უნარი, ან ზოგჯერ ეკარგება მუსიკალური აზროვნების ხანგრძლივი, უწყვეტი ხაზი. როდესაც შენ ძალიან ემოციური ხარ, როდესაც ყოველ ბგერას ეფერები, ელოლიავები, რათა ყოველი ბგერა ლამაზად ჟღერდეს, ბოლო-ბოლო, შესაძლებელია დაიკარგოს მთლიანობა. ამიტომ ზოგჯერ ცოტა დისტანციიდან უნდა შეხედო მუსიკასაც და საკუთარ თავსაც. შენ არა მხოლოდ უნდა „იკაიფო“ თითოეული ბგერით, არამედ არ დაკარგო მთლიანი ხაზი, ცხადია, ვგულისხმობ დრამატურგიულ და ჟღერადობის მთლიანობას. მაშინ აღმოჩნდება, რომ პაუზაც მუსიკაში სრულიად სხვა როლს თამაშობს და იგი ძალიან მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არაა, რომ პუბლიკა ტაშს უკრავდა მაშინ, როდესაც ნაწარმოები არ იყო დამთავრებული და მხოლოდ პაუზა იყო, ე.ი. შენ ვერ აგრძნობინე, რომ ნაწარმოები კი არ დასრულდა, არამედ პაუზაა.

კიდევ რაც შევამჩნიე — ძალიან მნიშვნელოვანია სწორად აავო პროგრამა. ერთი მხრივ, ეს საკითხი თეორიულად ყველას ესმის, მაგრამ, როდესაც კონკრეტულ სამუშაოს იწყებ, ძალიან ბევრი შეცდომებია, თუმცა, მსოფლიოში ეს ყველგან შეიმჩნევა. განსაკუთრებით ასეთი პროგრამული ხარვეზები თავს იჩენს კონკურსების დროს. 50 პროცენტი შენი წარმატებისა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაქვს აწყობილი პროგრამა — რა პრინციპებს ემყარება, რით იწყებ, რით ამთავრებ მას. აი, მაგალითად, გუშინ — შესანიშნავი კოლექტივი გამოვიდა (გულისხმობს თბილისის გოგონათა გუნდს — მ.ჯ.), მაგრამ, მათი პროგრამა ერთ

რუსთავის ახალგაზრდული გუნდი
(ხელმძღვ. თამარ გუაძე)

ტონალობაში, ერთ ტემპერამენტში, ერთ ხასიათში იყო აგებული. მეტ-ნაკლებად ყველა ნაწარმოები ლამაზი, მშვენიერი იყო, მაგრამ, ყველა ერთ მხარეს „მიცურავდა“. როგორ კონტრასტებზე, როგორ აქცენტებზე ააგებ პროგრამას, ამაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.კონტრასტულობის შემთხვევაში გამოცოცხლდებოდნენ არა მხოლოდ შემსრულებლები, არამედ მსმენელებიც. პროგრამის დრამატურგია, როგორც აღვნიშნე, წარმატების 50 პროცენტია.

და მაინც, მილიონჯერ შემიძლია გავიმეორო, შთაბეჭდილება, რომელიც მე ქართული კოლექტივებისგან მივიღე, ეს ჭეშმარიტად უმაღლესი დონეა, განსაკუთრებით ეროვნული მუსიკასთან მიმართებაში — ნამდ-

ვილად უნიკალურია მსოფლიო საგუნდო კულტურის კონტექსთან მიმართებაშიც.

მთლიანობაში კი ფესტივალს 100 ქულიან შეფასებას მივცემდი. მე არ ვიცოდი, რომ ფესტივალი არსებობდა ჯერ კიდევ 90-იან წლებში. მიხარია, რომ ტრადიცია აღდგა. მივესალმები საგუნდო საზოგადოების არსებობას და მის მოღვაწეობას. ფესტივალამდე ამ საზოგადოების ხელმძღვანელობით ჩატარდა საგუნდო



გორის ქალთა კამერული გუნდი (ხელმძღვ. თეონა ცირამუა)

მუსიკის ეროვნული კონკურსი, წარმოჩნდნენ კოლექტივები, დირიჟორები, რაც ძალიან კარგია, რადგან ივი ზრდის არა მხოლოდ მუსიკოსებს, არამედ პუბლიკასაც. ფესტივალმა ნათლად გვიჩვენა, თუ რა შედეგები გამოიღო ამ საზოგადოების მოღვაწეობამ. აქვე დავძენ, რომ თქვენ ძალიან კარგი პუბლიკა გყავთ. ერთადერთი, რაც არ მესმის, კონცერტის მსვლელობისას რატომ რეკავს ამდენი მობილური ტელეფონი? არც ის მესმის, ყველა ზარზე რატომ უნდა გარბოდე გარეთ, რა, ყველა პრეზიდენტი ხომ არაა და ყველა ზარი გადაუდებელი? თუ შენ მოხვედი კონცერტზე, 2 საათი გამორთე ტელეფონი და შენი 2 საათი მთლიანად კონცერტს დაუთმე. ჩვენთან, მაგალითად, კონცერტამდე გადის პატარა ვიდეოკლიპი, სადაც ისმის მობილურის ხმამაღალი ზარი და გაფრთხილება, რომ გამორთონ მობილურები. იცით, ზოგჯერ მეც მავიწყდება ხოლე გამორთვა, ამიტომ, უბრალოდ, უკეთესი იქნება ადამიანებს კონცერტის წინ შეახსენო მობილურების გამორთვა ამ სახით, რადგან ეს უფრო ეფექტური საშუალებაა. მსმენელს უნდა ვასწავლოთ, რომ პატივი სცენ სცენაზე მდგომ ადამიანებს.

ბედნიერი ვარ, რომ გავეცანი სომხურ და აზერბაიჯანულ აკაპელა გუნდებს, რადგან ძალიან ცოტა რამ ვიცოდი მათ შესახებ. სომხეთის კამერულ გუნდს შედარებით უკეთ ვიცნობდი, ვიდრე აზერბაიჯანულს, რომელიც ჩემთვის კოსმოსი იყო. მე ვიცოდი, რომ მათ ყავთ შესანიშნავი მომღერლები, აქვთ საუკეთესო მონაცემები, მაგრამ, მათი ნაციონალური ხასიათი, მოდალურობა რამდენად მიესადაგებოდა საგუნდო კულტურას, არ ვიცოდი და ჩემთვის ძალზედ საინტერესო იყო.

ფესტივალს ვუსურვებ გააგრძელოს ეს გზა, რადგან მიმაჩნია, რომ რა გზაც აირჩიეს, ეს ძალიან სწორია. საინტერესოა, რომ ფესტივალში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ პროფესიული, არამედ მოყვარული კოლექტივებიც, რომლებიც ზოგჯერ უფრო შთამბეჭდავად

მღერიან, ვიდრე პროფესიონალები. მართალი გითხრათ, რატომ იყო წარმოდგენილი პროფესიული და მოყვარული კოლექტივები ერთად, არ მესმის. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ზოგჯერ, როგორც ადამიანს, მებადება კითხვები, განსაკუთრებით, როცა ჟიურის წევრი ვარ; ვუსმენ პროფესიონალებს და ვფიქრობ — ისინი თითქოს ყველაფერს სწორად მღერიან — ნოტებს, ნიუანსებს, სწორი ინტონირებაა, ბგერაც ძალიან ლამაზია, ვოკალურადაც ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მერე, როდესაც გამოდიან მოყვარულები, ვხედავ ისინი ამას როგორ აკეთებენ და ჩემზე რაოდენ დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ, არა მხოლოდ როგორც პროფესიონალზე, არამედ როგორც ადამიანზე, ჩემ თავს ვეკითხები — კი მაგრამ, რა მინდა მე უფრო მეტად, აი, ასეთი პროფესიული კოლექტივი, რომელსაც ყველაფერი სტერილურად სწორადა აქვს გაკეთებული, თუ ისეთი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია ესაუბროს ჩემ სულს, ააფორიაქოს ივი?

დაბოლოს, მინდა ვთქვა საქართველოზეც. როდესაც მოვფრინავდი, ჩემ ინტერვიუსთან დაკავშირებით დამირეკა ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა. ვუთხარი, რომ არ მცალია, საქართველოში მივფრინავ-მეთქი. მითხრა: „ბედნიერი ხარ! შენ სიყვარულში იცურავებ "...

გორში, სრულიად სხვა პროექტით, იმყოფებოდა ფრანგი პროდიუსერი სერჟ პულენი, რომელიც ესწრებოდა კონცერტს, კულისებში დავინახე თუ როგორ ულოცავდა „გორის ქალთა კამერული გუნდის" დირიჟორს, თეონა ცირამუას წარმატებას და გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას. ცხადია, დავინტერესდი და მასაც ვთხოვე შთაბეჭდილების გაზიარება.

სერჟ პულენი (საპროდიუსერო ორგანიზაცია „ენ-სი პროდაქსიონის" დამაარსებელი და ხელმძღვანელი) — *გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალი დაემთხვა ჩვენ აქ ყოფნას, ვისარგებლეთ შემთხვევით და ორ საღამოს დავესწარით. განსაკუთრებული საღამოები იყო, მაგრამ, პირველი საღამო მაინც გამორჩეულად მიმაჩნია. როგორც თქვენ აღნიშნეთ, მნახეთ კულისებში. რა თქმა უნდა, ყველა გუნდი ძალიან ლამაზად მღეროდა, მაგრამ, განსაკუთრებული იყო „გორის ქალთა კამერული გუნდი",რაც, უდავოდ, მისი ხელმძღვანელის, თეონა ცირამუას დამსახურებაა — მისით აღფრთოვანებული ვარ! ის ძალიან დიდი არტისტია, დიდი ხელოვანი და შესანიშნავი ხელმძღვანელი, რაც შესანიშნავად ივრძნობოდა სცენაზე. როცა ამ ხარისხს ვხედავ, არ შემიძლია არ აღვნიშნო და იმიტომაც მაშინვე შევედით კულისებში მისალოცად. ჩემი შეფასებით, ესაა საერთაშორისო დონის გუნდი, ამის დასტური ისიცაა, რომ ისინი ოქტომბერ-ნოემბერში ევროპულ ტურნეში მიემგზავრებიან — ვიცით რომ პარიზში, 4-5 ნოემბერს, ქეთი მელუასთან ერთად გამოდიან „ოლიმპიაში", ეს უკვე მრავალზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, ამ შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივადევნებ თვალს ამ გუნდს და იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს საერთო კონცერტსაც გავმართავთ.*

ტრადიცია გრძელდება და გორის ქალთა გუნდს, ჩანს, რომ ღირსეული გამგრძელებლები ეყოლება, რაც გამოჩნდა გორის ბავშვთა გუნდის გამოსვლიდან. ასევე შესანიშნავი იყო რუსთავის ბავშვთა გუნდი; აღვნიშნავდი აგრეთვე თბილისის გოგონათა გუნდის გამოსვლას ომარ ბურდულის ხელმძღვანელობით.

ამ დონის ფესტივალის ჩატარება გორში, ძალიან კარგი იდეაა. ჯერ ერთი, საქართველოს განსაკუთრებულად ნიჭიერი მომღერლები ყავს, ვნებავთ ზოგადად საგუნდო მუსიკაში, პოლიფონიურ სიმღერაში თუ კლასიკაში, მეორეც, ჩვენ განსაკუთრებულად გვიყვარს გორი, ამიტომ მივესალმები ფესტივალის გორში ჩატარებას. ჩემი აზრით, გორი იდეალური ადგილია ასეთი დონის ფესტივალების ჩასატარებლად. ჩემი დიდი სურვილია, მთელი ოჯახით ჩამოვიდე აქ და უკვე მთლიან ფესტივალს დავესწრო.

დაბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო, ფესტივალის აღდგენაში და ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებაში, პირველ ყოვლისა, საგუნდო მუსიკალური საზოგადოების პრეზიდენტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის — ლიანა ჭონიშვილის დამსახურება, მისი გასაოცარი ენერგია, ორგანიზებულობა, პროფესიონალიზმი, რაც გამოჩნდა ფესტივალის მსვლელობის ყველა ნიუანსში, დაწყებული საგუნდო კოლექტივების შერჩევიდან და კონცერტების პროგრამებიდან, დამთავრებული შემეცნებითი პროგრამე-

ბით (მასტერკლასები, ექსკურსიები). ყველა დეტალში იგრძნობოდა მისი დიდი სიყვარული თავისი საქმის — საგუნდო ხელოვნების, თავისი ქვეყნისა და თავისი მშობლიური ქალაქის, გორის მიმართ. მისი ენერგია და მიზანდასახულობა, საქმის სიყვარული ნამდვილად გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფესტივალამდე ცოტა ხნით ადრე ჩაატარა საგუნდო მუსიკის ეროვნული კონკურსი, რომელსაც ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის. თემიდან გადავუხვევ და ვიტყვი, რომ კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ როგორც პროფესიონალი კოლექტივები, ისე გუნდები მუსიკალურ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან. მონაწილეობდა უამრავი ბავშვი, ასრულებდნენ როგორც ქართულ და ევროპულ კლასიკას, პოპ-მუსიკას და ჯაზურ კომპოზიციებს. მუსიკით გატაცებული ამდენი ბავშვი, ეს უკვე კარგი მომავლის საწინდარია. დიდი საქმე გაკეთდა და ამან აუცილებლად უნდა ჰპოვოს გაგრძელება.

ასევე დასაფასებელია გორის ხელმძღვანელობის დიდი ყურადღება ფესტივალის მიმართ. კერძოდ, აღვნიშნავდი გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი კულტურის სამსახურის თითოეული თანამშრომლის დამსახურებას (ბ-ნი გიული ქუთათელაძე, ქ-ნი მარი ორჯონიკიძე და სხვ.), რომლებმაც უზრუნველყვეს სტუმრები საუკეთესო დონის მომსახურებით და ყველა აღაფრთოვანეს სტუმართმოყვარეობით.

ცხადია, გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალი არის არა მხოლოდ ქართული საგუნდო ხელოვნების, არამედ, საზოგადოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ჩვენი მსოფლიო სივრეში ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი და საუკეთესო საშუალება. ღრმად ვარ დარწმუნებული, გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალს, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. როგორც უკვე აღვნიშნე, აქ თავი მოიყარა საგუნდო კოლექტივებმა ესტონეთიდან, ფინეთიდან, განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ იყვნენ საგუნდო კოლექტივები აზერბაიჯანიდან და სასომხეთიდან. მოგეხსენებათ, ამ ორ რესპუბლიკას შორის დღესდღეობით მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური ვითარება და განახლებული საომარი მოქმედებები. სწორედ ასეთ დროს, გორი გახდა ქალაქი, სადაც ამ ორი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საერთო ენა გამონახეს, აპლოდირებდნენ ერთმანეთის გამოსვლას და ერთობლივად იყვნენ მონაწილენი ყველა იმ ღონისძიების, რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამით. ამგვარად, ვფიქრობ, ამ ფესტივალით შესაძლოა საქართველო, და კერძოდ, ქ. გორი ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამაერთიანებელ ცენტრად იქცეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის, ისე პოლიტიკისათვის. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ამ ორი კოლექტივის ჩამოყვანა და მათი ერთ სივრცეში მშვიდობიანი თანაარსებობა ფესტივალის ორგანიზატორების და კერძოდ, ლიანა ჭონიშვილის დიდი ტაქტის, პროცესების კორექტულად მართვის მაღალი უნარის მაჩვენებელია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საგუნდო მუსიკის ფესტივალს უცილობლად სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე გორის ხელმძღვანელობის მხრიდან.

უფლისციხეში

ვუსურვებ ამ შესანიშნავ წამოწყებას — გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალს — სიცოცხლისუნარიანობას და ქართული მუსიკალური კულტურის უძვირფასესი ტრადიციების გაგრძელებას.

უნიკალური თემურ გუგუშვილი

გულგათ ტორაძე

დიახ, უნიკალური! აბა, მაშ, რა ვუწოდოთ იმ გასაოცარ ფაქტს, რომ 65 წლის მომღერალი, თითქოს, აქ არაფერიაო, სისტემატურად გამოდის თბილისისა და უცხოური საოპერო თეატრების სცენაზე ლირიკული და დრამატული ტენორის მთავარი პარტიების შესრულებით, მონაწილეობას იღებს მრავალ, მათ შორის, პერსონალურ, კონცერტში თავის სამშობლოსა და სხვა ქვეყნებშიც.

ქართული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში, ამ მხრივ, თ. გუგუშვილს კონკურენტი რომ არა ჰყავს — ეს უცილობელი ფაქტია, მაგრამ მსოფლიო არტისტულ სამყაროშიც ხომ მხოლოდ სულ რამდენიმე ანალოგის გახსენებას თუ შევძლებთ!

ამას წინათ ხუმრობით ვუთხარი: „თემურ, როგორ არა გრცხვენია? კაცი გაჭაღარავებულხარ და ოცი წლის ბიჭივით მღერი–მეთქი!“ თემურს გაეცინა...

მაგრამ, მოდით, ახლა ხუმრობებს თავი დავანებოთ და სრული სერიოზულობით ვისაუბროთ გამოჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძისა და ირინა არხიპოვას სახელობის პრემიების ლაურეატის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის, ბატონ თემურ გუგუშვილის შესახებ.

თემურ აკაკის ძე გუგუშვილი დაიბადა 1951 წლის 7 მარტს თბილისში. 1973 წელს 22 წლისამ დაამთავრა... რა? არ იფიქროთ — კონსერვატორია, არა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით — ინჟინერ–ტექნიკოსი! იცოდით? (მეც მხოლოდ ახლახან შევიტყვე!). პარალელურად კი სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში გამოჩენილი მომღერლისა და პედაგოგის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით (დაამთავრა 1976 წელს). როგორც მახსოვს, ამ წლებში თემური ბევრი არაფრით გამოირჩეოდა. მისი დებიუტიც საოპერო სცენაზე სამი წლის შემდეგ, მერი დავითაშვილის საბავშვო ოპერაში „ნაცარქექია“ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ფართო საზოგადოებისათვის, თუმცა მოგვეწონა ახალგაზრდა მომღერლის ხმაც და სცენური მონაცემებიც. ღირსეულად კი თემური დავაფასეთ, როდესაც მალე ამის შემდეგ მან ჩინებულად შეასრულა ერთაოზის პარტია ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „პირველი სიყვარული“ (1980). ნათელი გახდა, რომ ჩვენ საოპერო დასს შეემატა ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა მომღერალი.

შემდგომ, ორი წლით (1983–1984) თემური დროებით თვალს მიეფარა: სტაჟირებას გადიოდა იტალიაში, მილანის განთქმულ „ლა–სკალაში“. ამას დაემატა კიდევ ასპირანტურის ორი წელი თბილისში, — კვლავ დიდი ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით და სულ მალე იგი ჩვენი საოპერო თეატრის წამყვან სოლისტად წარმოგვიდგა.

დღემდე თემურს შესრულებული აქვს 30 მთავარი პარტია ქართულ, რუსულ და დასავლეთევროპულ ოპერებში (სარეკორდო ციფრია ჩვენი საოპერო თეატრის ისტორიაში!), ასევე ტენორის პარტიები მოცარტის „რეკვიემში“, ბეთჰოვენის მე–9 სიმფონიაში, ვერდის „რეკვიემში“.

„სარეკორდოა“ ავრეთვე იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც უმღერია ჩვენს შესანიშნავ თანამემამულეს. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, აშშ, იაპონია, ავსტრალია, ჩეხოსლოვაკია, ყოფილი საბჭოთა კავშირის, პირველ რიგში, ცხადია, რუსეთის, ქალაქები. კერძოდ, მოსკოვის „დიდი თეატრი“, პეტერბურგის „მარიას თეატრი“ და სხვ. განსაკუთრებით „წყალობს“ მომღერალი ბელორუსიის დედაქალაქს მინსკს, სადაც იგი ძალიან უყვართ და მას „ოქროს ტენორი“ შეარქვეს. ივივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს შესახებ, სადაც ხშირად მღერის.

თემურს სისტემატურად იწვევენ ჟიურის წევრად ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე, რომლებიც საქართველოში და უცხოეთში იმართება (პეტერბურგი, კიევი, ბაქო, მინსკი).

უკვე დიდი ხანია (1975 წლიდან) ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში (სრული პროფესორი და მიმართულების ხელმძღვანელია), „ნიჭიერთა ათწლედში“, სადაც ვოკალური განყოფილების

გამგეა. იგი ღირსების ორდენის კავალერიც არის.

კარგად მახსოვს 2010 წელს საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის თემურ გუგუშვილის არტისტული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

კონცერტში მონაწილეობდნენ საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტები, გუნდი და ორკესტრი, რომელსაც დირიჟორობდნენ რევაზ ტაკიძე და გოგი ჭიჭინაძე. ყველა მათგანის ხელოვნებას დიდი წარმატება ხვდა.

სოლისტებმა თავი მოგვაწონეს ვოკალური ხელოვნების ოსტატობით. საღამოს მთავარ გმირად კი, ცხადია, თვითონ თემურ გუგუშვილი მოგვევლინა, რომელმაც კიდევ ერთხელ მოგვხიბლა თავისი უკიდეგანო რეპერტუარის თვალმარგალიტებით.

რამდენიმე სიტყვით — ამ კონცერტის შესახებ. მსოფლიო საოპერო კლასიკა წარმოდგენილი იყო ჯილდას და ჰერცოგის დუეტით (ვერდის „რიგოლეტო“), სადაც თემურს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა მარად ახალგაზრდა ლიანა კალმახელიძე, აგრეთვე „სტუმრის სიმღერით“ რ. შტრაუსის „ვარდის კავალერიდან“, კავარადოსის არიით (პუჩინის „ტოსკა“) და ტონიოს სიმღერით დონიცეტის „პოლკის შვილობილიდან“. ეს ნომერი, რომელიც ცნობილია იმით, რომ მასში ერთმანეთის მიყოლებით გვხვდება ცხრა „ზევითა დო“(!) — უკვე დიდი ხანია იქცა ჩვენი სახელოვანი მომღერლის თავისებურ „სავიზიტო ბარათად“, ხოლო თუ ამას დავსძენთ, რომ „ბისზე“ თემური, როგორც წესი, იმეორებს ხოლმე მას. ეს უკვე თვრამეტი „დო“ გამოდის!

მთელი სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ვოკალური ოსტატობის ეს საოცრება ნამდვილად ღირსია შევიდეს „გინესის წიგნში“!

შემიძლია ვთქვა, რომ თ. გუგუშვილი კოტეს პარტიის საუკეთესო შემსრულებელია, რომელიც კი ოდესმე მომისმენია ვიქტორ დოლიძის უბერებელ ოპერაში. ამჯერადაც მან ბრწყინვალედ შეასრულა კოტეს არია და დუეტი ბარბალესთან. ქართული რეპერტუარი წარმოდგენილი იყო აგრეთვე აბესალომისა და მურმანის დუეტით, სადაც მას მხარს უბამდა უფროსი თაობის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი ბატონი ელდარ გეწაძე და მინდიას არიით, რომელიც თემურის ერთ-ერთი საყვარელი საკონცერტო ნომერია.

თეიმურაზ გუგუშვილი

თავისი შესანიშნავი საბენეფისო საღამო თ. გუგუშვილმა დაამთავრა კანიოს განთქმული არიოზოთი ლეონკავალოს „ჯამბაზებიდან“, რომელიც ითვლება მუსიკაში ტრაგიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გამოხატულებად. ჩვენ — მსმენელებს კი — ერთხელ კიდევ განგვაცდევინა ესთეტიკური ტკბობა და ემოციური მღელვარების ჟრუანტელი.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ თემურ გუგუშვილისთვის არ არსებობს ვოკალური სიძნელეები — გაოცებას იწვევს ის არტისტული თავისუფლება, რომლითაც იგი ასრულებს როგორც ლირიკულ, ისე დრამატულ პარტიებს ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ ოპერებში. დრო თითქოს უძლურია მისი ხმის მშვენიერებისა და ვოკალური ოსტატობის წინაშე. ახლადგახსნილ ჩვენს საოპერო თეატრში მან უკვე შეასრულა აბესალომისა და კანიოს პარტიები, ამზადებს მალხაზის პარტიას „დაისში“.

მომღერალი ეწევა აგრეთვე სამეცნიერო — მეთოდიკურ მოღვაწეობას ჩვენში და უცხოეთში. იგი „ვ. სარაჯიშვილის სახელობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარეა“.

თემურ გუგუშვილის ურიცხვი გულშემატკივრები დარწმუნებულები ვართ, რომ უნიკალური მომღერალი კვლავ და კვლავ — დიდი ხნის მანძილზე გაგვახარებს თავისი შესანიშნავი ხმითა და ასეთივე შესრულებით.

დიდი მადლობა ბატონ თემურ გუგუშვილს!

ფილიმონობა ოზურგეთში

სოფო კოტრიკაძე

„ხომ სხვადასხვა სამეფოებში ვყოფილვარ და მომივლია და მათი ყველაფერი შემისწავლია, მაგრამ მთელ ქვეყანაზე არც ერთ ტომს, არც ერთ სამეფოს არა აქვს ისე მრავალი, ისე სრული, ისე გამტაცი, ისე კაცის აღმაფრთოვანებელი წყობილი მუსიკა, გალობა და სიმღერა, როგორც ამ ჩვენს პატარა ერს გვაქვს. ამისთვის დღე და ღამე თავს ვიკლავ მეტის-მეტი შრომით, რომ არ დამრჩეს ნოტებზე გადაუღებელი და დაუწერავი სიმღერა-გალობის სხვადასხვა ხმები“.

წმინდა ფილიმონ მგალობელი (ქორიძე)

XIX საუკუნეში ქართული საეკლესიო გალობის ტრადიცია გაქრობის სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. რუსეთის იმპერია ქართულ ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებასა და ქართული საგალობლების აჟღერებას კრძალავდა. ქართული გალობა სვეტიცხოვლის, შემოქმედისა და გელათის უძველეს სამონასტრო კერებშიც კი აიკრძალა. ქართული სამღვდელოება ვერ ახერხებდა ზეპირი ტრადიციით გადმოცემული საეკლესიო გალობის გადარჩენას. საჭირო იყო ამ საგანძურის რაიმე ფორმით ჩაწერა და ფიქსირება. ეს საქმე იტალიიდან ახლადდაბრუნებულმა საოპერო მომღერალმა — ფილიმონ ქორიძემ ითავა. მან უარი თქვა ევროპაში წარმატებული მომღერლის კარიერაზე და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მთელი ცხოვრება ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების საქმეს შესწირა. სწორედ ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძის, ძმები კარბელაშვილების, რაჟდენ ხუნდაძისა და მათი თანამედროვე მოღვაწეების უდიდესი დამსახურებაა ამ საგანძურის გადარჩენა და ჩვენამდე მოღწევა.

ფილიმონ ქორიძე 1835 წელს, გურიის სოფელ გამოჩინებულში, მღვდელ იესე ქორიძის ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება მან მამის უახლოესი მეგობრისგან — მღვდელ იაკინთესაგან მიიღო. გალობის ნიჭითა და ხმით დაჯილდოებული პატარა ფილიმონი საგალობლებისა და სიმღერების სიყვარულით ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა. მოგვიანებით მან სწავლა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარიებში განაგრძო. ფილიმონის მამას, მღვდელ იესეს და თავად ფილიმონსაც სურდათ, რომ ის სასულიერო პირი გამხდარიყო, თუმცა მისი დიაკვნად კურთხევის პროცესი გაურკვეველი დროით გადაიდო. იმხანად, ფილიმონი სიონის საკათედრო ტაძარში გალობდა. ერთხელ მან სტუმრად ყოფნისას შემთხვევით რამდენიმე იტალიელი მუსიკოსი გაიცნო, რომლებიც თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწეობდნენ. იტალიელებმა ფილიმონის ბანის მოსმენის შემდეგ აღფრთოვანება ვერ დამალეს და მას სწავლის გაგრძელება იტალიაში ურჩიეს.

1868 წელს ფილიმონი დაოჯახდა და მეუღლის ოჯახის ხელშეწყობით იტალიაში გაემგზავრა სასწავლებლად. მისი სასიმღერო კარიერა იტალიაში საკმაოდ წარმატებულად წარიმართა. ფილიმონი კონცერტებს მართავდა წამყვან საკონცერტო დარბაზებში, თუმცა, მეუღლის გარდაცვალების გამო, მალე საქართველოში დაბრუნება მოუწია. 1872 წლიდან ფილიმონს სამოღვაწეოდ პეტერბურგში იწვევენ, სადაც გაიცნობს მის მომავალ მეუღლეს, ზინაიდა ვორობეცს და მალევე მეორედ დაოჯახდება. იმდროინდელი იტალიური პრესა საკმაოდ დადებითად ეხმაურებოდა ფილიმონის საკონცერტო

მოღვაწეობას: „არ არის ჩვენში ისეთი თეატრი, რომელსაც დიდის ამბითა და პატივით არ მიეღოს ჩინებული ბოხი ხმის პატრონი მომღერალი არტისტი ფ. ქორიძე და არც ისეთი ჟურნალი, რომელსაც არ ექოს ის... ქორიძე ისეთი არტისტია, რომელსაც თავისი ხმის ძლიერებითა და გალობის მანერით ყველა უპირველეს თეატრში პატივცემულ იქნება“.

იტალიაში მოღვაწეობის პარალელურად, ფილიმონი ხშირად ჩამოდიოდა სამშობლოში გასტროლებზე. ერთ-ერთ ასეთ ვიზიტს თავად იხსენებს: „1880-83 წლების საოპერო სეზონში მიწვეული ვიყავ მე ევროპიდან ტფილისის თეატრში. შევასრულე თუ არა ვადა სამსახურისა და დავაპირე ევროპაში წასვლა, ამ დროს მოვიდა ჩემთან რამდენიმე ქართველი მგალობელი და მკითხეს: „შესაძლებელია თუ არა ქართული გალობის გადაღება ნოტებზეო?“ — „ძალიან ადვილად-მეთქი“, — ვუპასუხე. იმათ ეჭვის თვალით შემომხედეს. „მობრძანდით ხვალ, მიგალობეთ რაც გინდათ და მაშინ შეიტყობთ, რაც მოხდება-მეთქი“ — ვუთხარი მე. მოვიდნენ, ივალობეს, დავაწყვე ნოტებზე და ვუგალობე მათი ნათქვამი და ფორტეპიანოზედ გავაგონე ახლად დაწერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართული გალობის ნოტებზედ დაწყობა შესაძლებელი ყოფილა“.

ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღებას ფილიმონი 1882 წელს შეუდგა. თავდაპირველად საგალობლებს გალობის აღიარებული მცოდნეებისაგან — მელქისედეკ ნაკაშიძისაგან და ნესტორ კონტრიძისაგან იწერდა. მუშაობა საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა და მოკლე დროში საკმაოდ ბევრი საგალობლის ნოტებზე გადატანა მოხერხდა. ფილიმონმა ამ პერიოდში საკუთარი გუნდიც ჩამოაყალიბა, რომელიც მის მიერ ჩაწერილ საგალობლებს ასრულებდა.

საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების საქმეში დახმარებისათვის ფილიმონ ქორიძემ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს მიმართა. გაბრიელ ქიქოძის ინიციატივით, 1884 წელს ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტმა ფილიმონს 2 წლის განმავლობაში 400 საგალობლის ჩაწერა დაავალა. ჩაწერილ იქნა იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიოლოღოსის წირვები, აღდგომის,



სადღესასწაულო, მღვდლად კურთხევის, ქორწინებისა და მიცვალებულთა საგალობლები. წმინდა ფილიმონი საგალობლებს დიმიტრი ჭალაგანიძისგან, რაჟდენ ხუნდაძისგან, ივლიანე წერეთლისგან და სხვა ცნობილი მგალობლებისგან იწერდა. უკვე ნოტებზე გადაღებულ ვარიანტებს მრავალგზის ამოწმებდნენ ჯერ თავად ფილიმონი, ხოლო შემდეგ — გალობის ცნობილი მცოდნენი.

1890 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ფილიმონს თბილისში დაბრუნება მოუხდა, სადაც მან მაქსიმე შარაძე და ექვთიმე (ერისკაცობაში — ესტატე) კერესელიძე გაიცნო. სწორედ მათ მიერ დაარსებულ სტამბაში იბეჭდებოდა მოგვიანებით ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტირებული საგალობლები. 1893 წელს ფილიმონი ანტონ დუმბაძისაგან საგალობლების ჩასაწერად ოზურგეთში გაემგზავრა. ცნობილი მგალობლისაგან ფილიმონმა საგალობლების აქამდე უცნობი ვარიანტები (ძლისპირები, დიდი პარასკევის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ციკლი „შეხვეტილიანი“, მთელი

ანსამბლი „ფერიცვალება“

წლის სადღესასწაულო საგალობლები, რვა ხმის საგალობლები) ჩაიწერა. წმინდა ფილიმონი ჩქარობდა, რომ ყველა საგალობლის დაფიქსირება მოესწრო. ამიტომაც, ხშირად, მხოლოდ პირველ ხმას იწერდა. ოზურგეთში მუშაობის პარალელურად, ფილიმონმა ბათუმში საეკლესიო გუნდი ჩამოაყალიბა; ამავდროულად, ძველი სიმღერა-საგალობლების ჩასაწერად, გურიის სოფლებშიც დადიოდა. 1895-1911 წლებში ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი საგალობლების 6 კრებული დაიბეჭდა.

საგალობლების ჩაწერის პარალელურად, ფილიმონ ქორიძე აქტიურ სალოტბარო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის მიერ მომზადებული გუნდები მსახურობდნენ ოზურგეთის, ხონის, სუფსის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ბათუმის საკრებულოს ტაძრებში. 1897-98 წლებში წმინდა ფილიმონმა საკუთარი გუნდებით კონცერტები დედაქალაქშიც გამართა.

სიცოცხლის ბოლო წლებში წმინდა ფილიმონი ინტენსიურ მუშაობას მხოლოდ საეკლესიო გალობის სფეროში განაგრძობდა. მან საგალობლების იტალიაში გამოცემა განიზრახა. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მოლაპარაკებას იტალიელებთანაც მართავდა, თუმცა ეს საქმე, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. 1911 წელს იგი ბახმაროში, ტრაგიკული შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში, საკათედრო ტაძრის მახლობლად მდებარე სასაფლაოზე დაკრძალეს. ამჟამად, მისი ზუსტი საფლავი უცნობია. ფილიმონის სავარაუდო განსასვენებელთან, ქალაქ ოზურგეთის ჭადრების ბაღში, მისი ბიუსტია აღმართული.

2011 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ფილიმონ ქორიძე წმინდანად შერაცხა და მას ფილიმონ მგალობელი, — ერისათვის თავდადებული უწოდა. წმინდანის ხსენების დღედ 25 ივლისი დაწესდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თითქმის

ყოველწლიურად, მგალობელ–მომღერლები ფილიმონ ქორიძის ხსენების დღეს ერთად აღნიშნავენ. რამდენიმე წელია, რაც ეს ტრადიცია ქალაქ ოზურგეთში დამკვიდრდა. სიმბოლურია, რომ ფილიმონობა წმინდანის მშობლიურ მხარეში, — გურიაში აღინიშნება და ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს რეგიონისათვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად იქცა.

წლევანდელი ფილიმონობა თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. ღონისძიება ორ დღეს გრძელდებოდა და აერთიანებდა როგორც სადღესასწაულო წირვა–ლოცვასა და პარაკლისს, აგრეთვე ტრადიციული მუსიკის საღამოებს. ფილიმონობის დღესასწაულთან დაკავშირებით ოზურგეთს სტუმრობდნენ მგალობელ–მომღერალთა გუნდები თბილისიდან და ბათუმიდან. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი ანსამბლები. ტრადიციულად, წელსაც, ფილიმონობის მხარდამჭერები იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ფონდი „ქართული გალობა“, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, სტუდია „მრავალჟამიერი“ და საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“.

წლევანდელი ფილიმონობის ორგანიზატორი ახლადდაარსებული გურული ტრადიციული მუსიკის კავშირი იყო. სასიხარულო და მისასალმებელია რეგიონში ამგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც საკუთარი კუთხის ტრადიციების აღორძინებას ისახავს მიზნად. ფილიმონობა კავშირის მიერ განხორციელებული პირველი მასშტაბური ღონისძიება იყო. დღესასწაულის მნიშვნელობაზე და ზოგადად, გურული ტრადიციული მუსიკის კავშირის საქმიანობაზე, მის ერთ–ერთ დამფუძნებელს, — ***გიორგი გორდელაძეს*** გავესაუბრე:

გ.გ. — გურული ტრადიციული მუსიკის კავშირი 2016 წელს, ქალაქ ოზურგეთში შეიქმნა. მისი დაარსების ინიციატორები, ჩვენთან ერთად, დეკანოზი იოსებ ნაკაიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების უფროსი — ვახტანგ ვაშაყმაძე არიან. კავშირის შექმნა სიმღერა–გალობის კუთხით რეგიონში არსებულმა ვითარებამ გადაგვაწყვეტინა. როგორც მოგეხსენებათ, კულტურული ცხოვრება, ძირითადად, მხოლოდ დედაქალაქშია აქტიური, რეგიონები კი — ერთგვარ ინფორმაციულ ვაკუუმში არიან. მახსოვს, როდესაც გასულ წელს ოზურგეთში ფილიმონობის დღესასწაული ჩატარდა, აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფილიმონ ქორიძის ღვაწლზე არაფერი სმენოდათ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. სწორედ ამიტომ, კავშირის მთავარი მიზანია, რომ გურიაში, სიმღერა–გალობის სფეროში, ერთგვარი კულტურული გამოცოცხლება მოხდეს. ვფიქრობთ ინფორმაციულად დატვირთული საჯარო ლექციების ჩატარებას, რომელიც გურიის სასიმღერო და სამგალობლო ტრადიციებს მიეძღვნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდები. გურიაში ტრადიციული მუსიკის სფეროში მოღვაწე უამრავი ადამიანი გვყავდა, რომელთა შესახებაც ადგილობრივებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ. ჩვენი მიზანია, რომ ახალგაზრდებმა რაც შეიძლება მეტი იცოდნენ ვარლამ სიმონიშვილის, ნესტორ კონტრიძისა და სხვათა შესახებ. სწორედ ამიტომ, პერიოდულად ვფიქრობთ სიმღერა–გალობის საღამოების ორგანიზებას. წლევანდელი ფილიმონობა ჩვენი ორგანიზაციის ეგიდით გამართული პირველი ღონისძიება გახლდათ.

ს.კ. — როდიდან აღინიშნება ფილიმონობის დღესასწაული გურიაში?

გ.გ. — ფილიმონობის დღესასწაული ოზურგეთში პირველად 2014 წელს აღინიშნა. მაშინ ამის ინიციატორი ქაშვეთის ტაძრის მგალობელთა გუნდი „აღსავალი“ იყო. საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრის პროექტის — „ქართული გალობის პოპულარიზაციისათვის“ (პროექტის ხელმძღვანელი — დავით შუღლიაშვილი) ფარგლებში, „აღსავალის“ წევრებმა გამოთქვეს ოზურგეთში ჩამოსვლის სურვილი. დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, რომ თავიანთი სტუმრობა და საზეიმო წირვა-ლოცვა ფილიმონობის დღესასწაულისათვის დაემთხვიათ. მსახურებაში „აღსავალთან“ ერთად მონაწილეობდნენ ბათუმის ტრადიციული გალობისა და სიმღერის ანსამბლი „ფერიცვალება“ და ოზურგეთის საკათედრო ტაძრის გუნდი „შემოქმედი“. წირვის შემდეგ გაიმართა მცირე კონცერტი ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში. ამის შემდეგ გაგვიჩნდა აზრი, რომ ამ ღონისძიებას, მომავალი წლიდან, უფრო მასშტაბური სახე მისცემოდა.

2015 წელს ამ იდეის განხორციელება ფონდ „ქართული გალობისა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შევძელით. კონცერტის სრული აუდიოჩაწერა სტუდია „მრავალჟამიერმა“ განახორციელა, ვიდეოგადაღება კი — საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა. ფილიმონობას ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამაც“. მნიშვნელოვანია, რომ ამ ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები.

როგორც მოგეხსენებათ, წმინდა ფილიმონი წარმოშობით გურიიდან, — სოფელ გამოჩინებულიდან იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში ის ოზურგეთში მოღვაწეობდა. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ, ფილიმონის სახლი გაქურდეს და რამდენიმე სანოტო ხელნაწერი დაიკარგა. ფილიმონ ქორიძის სავარაუდო განსასვენებელი ოზურგეთში, ამჟამინდელ ჭადრების ბაღშია, სადაც ყოველ წელს, მისი ხსენების დღეს, საზეიმო პარაკლისი აღევლინება.

ს.კ. — რით იყო გამორჩეული წლევანდელი ფილიმონობის დღესასწაული და რა პრინციპით შეარჩიეთ მონაწილე გუნდები?

გ.გ. — ვფიქრობ, რომ მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, წლევანდელი ფილიმონობა მაინც გამორჩეულად კარგი გამოვიდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურად ამ დღისათვის, ჩვენ გამოვეცით ინფორმაციულად დატვირთული და ფოტომასალით გამდიდრებული სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ფილიმონ ქორიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წიგნის შემდგენელია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სამების საპატრიარქო გუნდის რეგენტი — სვიმონ ჯანგულაშვილი, რედაქტორი — თამარ ასათიანი. ნაშრომი გამოვიდა გურული ტრადიციული მუსიკის კავშირის ინიციატივითა და ბატონი ლუარსაბ ტოგონიძის მხარდაჭერით.

წლევანდელი ფილიმონობა გამორჩეული იყო იმითაც, რომ ის ორ დღეს გრძელდებოდა. 24 ივლისს, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ტრადიციული მუსიკის საღამო, რომელშიც ჩვენ მიერ მოწვეული გუნდები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ტრიო „მოსალხენი“, რომელიც გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე შეიქმნა. მათი დებიუტი სწორედ ფილიმონობაზე შედგა. დედაქალაქიდან გვსტუმრობდნენ მგალობელ-მომღერალთა გუნდები „აღსავალი“, „ადილეი“ და „იალონი“; ბათუმიდან — ანსამბლი „ფერიცვალება“. აღსანიშნავია ადგილობრივი გუნდების ჩართულობაც: მგალობელ-მომღერალთა გუნდი „შემოქმედი“, გოგონათა ანსამბლი „რეხეული“, ტრიოები — „ხელხვავი“ და „ლაზარე“.

25 ივლისს, ფილიმონობის დღესასწაულის ფარგლებში ჩატარდა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი. საღამო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის — „შემოქმედებითი ტურები საქართველოს რეგიონებში“ — ფარგლებში განხორციელდა. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ ოზურგეთის გოგონათა ანსამბლი „რეხეული“ და გორდელაძეების საოჯახო ანსამბლი. „იალონის“ ინიციატივა იყო, რომ ეს კონცერტი ფილიმონობას დამთხვეოდა და ჩვენც, სიამოვნებით დავთანხმდით მათ შემოთავაზებას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფილიმონობა, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო დღესასწაულია, რომელზეც წმინდანის ხსენების დღეს ვზეიმობთ. ყოველწლიურად, ფილიმონობას, ოზურგეთის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება. არ მინდა კრიტიკული ვიყო, მაგრამ კარგი იქნება, თუკი სამომავლოდ, გუნდები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მსახურებაზე გალობის საკითხს. ღონისძიებაში მონაწილე ანსამბლებიც სწორედ ამ პრინციპით შევარჩიეთ: ორიენტაცია მგალობელ-მომღერალთა გუნდებზე ავიღეთ, რადგან გვსურდა, რომ კონცერტზე როგორც გალობა, ისე — სიმღერა, თანაბარად წარმოჩენილიყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ, სპეციალური მოთხოვნა მხოლოდ ქორიძის საგალობლების შესრულებაზე, არ გვქონია.

ს.კ. — რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

გ.გ. — სამომავლო გეგმები საკმაოდ ბევრი გვაქვს. პირველ რიგში, უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ფილიმონ ქორიძეზე ახლადგამოცემული წიგნის პრეზენტაცი-

ფილიმონ ქორიძის ბიუსტი ოზურგეთში

ას ოზურგეთში. ვფიქრობთ, რომ ეს ერთადერთი გამოცემა არ იქნება. ბატონი ლუარსაბ ტოგონიძის ინიციატივაა, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში მოღვაწე ადამიანთა შესახებ გამოცემათა ერთგვარი სერია მომზადდეს. ამჟამად ვმუშაობთ ორ ახალ წიგნზე. გარდა ამისა, მომავალი ფილიმონობისათვის ვფიქრობთ 2015 და 2016 წლების ფილიმონობის აუდიო და ვიდეოალბომების გამოცემას, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია.

რაც შეეხება უშუალოდ ფილიმონობის დღესასწაულს, ეს ჩვენი კავშირისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იქნება. ვფიქრობთ მასშტაბების გაზრდას და ფილიმონობის კვირეულის ჩატარებას. მოგეხსენებათ, რეგიონში ღონისძიების ორგანიზება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული: მაგალითად, საღამოს საათებში ჭირს სოფლებიდან ტრანსპორტირება და ა. შ. რადგანაც ფილიმონობას დადგენილი თარიღი აქვს, ამ დღეს აუცილებლად ჩატარდება საზეიმო წირვა. რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს, ვფიქრობთ, რომ კვირეულის ფორმატი ამისთვის საკმაოდ მოხერხებული იქნება. გარდა ამისა, ჩვენს სპონსორებთან ერთად გვსურს, რომ საფუძველი ჩავუყაროთ მართლმადიდებლური გალობის საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც სწორედ ფილიმონობის კვირეულში, გურიაში გაიმართება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, გალობის სფეროში დღემდე უამრავი პრობლემაა. ფაქტობრივად, სულ რამდენიმე პროფესიონალი გუნდია ამ მიმართულებით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მართლმადიდებლური გუნდები ფესტივალში მონაწილეობის პარალელურად, მსახურებაზეც იგალობებენ. ფესტივალის ორგანიზება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საეკლესიო გალობის პოპულარიზებას ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, ეს ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რეგიონის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისთვისაც.

შეხვედრა ქართული სიმფონიური მუსიკის კლასიკოსთან

თამარ წულუკიძე

შალვა მშველიძე

თითქოს ახლახან იყო კონცერტი, გამართული ჯ. კახიძის მუსიკალურ ცენტრში, განსაკუთრებული ვნებათაღელვა რომ გამოიწვია. ვგულისხმობთ ჯ. კახიძის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში 5 წლის წინ გამართულ საღამოს, რომლის პროგრამაში ერთ-ერთ ნომრად წარმოდგენილი იყო შალვა მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური". ბევრისთვის მოულოდნელი იყო ის ძლიერი ემოციები, ამ დიდი ხნის შეუსრულებელი ნაწარმოების აჟღერებას რომ მოჰყვა. ქართული სიმფონიური მუსიკის პირველი კლასიკური ქმნილება „ზვიადაური" ხომ კარგა ხანია გაქრა საკონცერტო სივრციდან. ამ ხნის მანძილზე ქართულ პროფესიულ მუ-

სიკაში ახალ პროცესებს მიეცა ასპარეზი, რიგმა ქმნილებებმა სამართლიანად მოიპოვეს დიდი გამარჯვება, ზოგიერთებმა მსოფლიო რეზონანსიც. ამ დროს პირველი კლასიკური ნაწარმოებების მიმართ შეიძლება ერთგვარი ის ეჭვიც გაჩნდა, რომ მათი ღირსება ძირითადად ისტორიულ-ქრონოლოგიური მნიშვნელობით შემოიფარგლებოდა. ალბათ ამიტომაც იყო მოულოდნელი, ფაქტობრივად მივიწყებული, ზოგიერთების აზრით „მოძველებული" „ზვიადაურის" შესრულება, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დღესასწაულში გადაიზარდა. ასეთი ზეაწეული განწყობა ხშირი არ არის ჩვენს სააკონცერტო დარბაზებში. რითი შეიძლება აიხსნას ასეთი ძლიერი მოზღვავებული ემოციები?— იმ საღამოს თითქოს ახალი სიმძლავრით ამოხეთქა მშველიძის თვითმყოფმა მუსიკალურმა სამყარომ, მთის ნიადაგზე აღმოცენებულმა და აღორძინებულმა. გარდა ამისა, „ზვიადაური" ხომ ის ნაწარმოებია, რომელიც დრამატურგიული გააზრებითაც, სახეთა მკაფიოებით და შთამბეჭდავი შინაარსით იზიდავს მსმენელს, რაც ამავე დროს დიდი ვაჟა-ფშაველას პოეტური წიაღის მუსიკალურ ამეტყველებას წარმოადგენს. ყოველივე ამან ახალი ენერგიით იხუვლა იმ საღამოს. ცხადია, ეს დირიჟორი ვახტანგ კახიძის დამსახურება იყო ამ მივიწყებული ნაწარმოების ამგვარი რეზონანსი მისი პირველი შესრულებიდან 70 წლის შემდეგ. მისმა ახალი თვალით და ახალი გულისყურით მოწოდებულმა „ზვიადაურმა" დაარწმუნა აუდიტორია ამ ნაწარმოების გაუხუნარობაში და სიცოცხლისუნარიანობაში. იმ საღამოს „ზვიადაური" გაჟღერდა როგორც დღეს მოძალებული ურბანიზმის, ნიჰილიზმის, გლობალიზაციის საპირისპირო მოვლენა. ბოლოს, აჟიტირებული დარბაზი დირიჟორს ფაქტობრივად რომ არ უშვებდა სცენიდან, მაესტრომ ნოტები აიტაცა და თავი დახარა. ამით ხაზი გაუსვა დასადგურებული ზეიმის საფუძველს. იმ შესრულებით მოგვრილი ემოციები კი ალბათ დიდი ხნის მანძილზე გაჰყვება იქ დამსწრე საზოგადოებას.

თურმე უკვე ხუთი წელი გასულა ამ დაუვიწყარი კონცერტის შემდეგ. მას შემდეგ მშველიძის ნაწარმოებმა გაიჟღერა ერთხელ, კონსერვატორიის დარბაზში შეასრულა გერმანიაში მოღვაწე დირიჟორმა იური დადიანმა. ერთი წლის წინ კი ჟურნალ „მუსიკის" ფურცლებზე მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძემ გამოთქვა სამართლიანი საყვედური, რომ ნაკლებად სრულდება ქართული მუსიკა და აქ მშველიძეც მოხსენიებული იქნა, როგორც უსამართლოდ მივიწყებული კომპოზიტორი.

და აი, კვლავ ჯ. კახიძის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ამჯერად უკვე მთელი საღამო დაეთმო მშველიძის მუსიკას. მთლიანობაში კონცერტის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა პროფესიონალი მსმენელისთვის. ამ კონცერტმა კომპოზიტორის შემოქმედებითი სამყაროს სხვადასხვა შრე ამოატივტივა, წარმოჩნდა მშველიძის მაძიებლური ბუნება.

მარია იგლესიასი

კონცეტზე აჟღერდა სიმფონიური სურათი „მზის

ამოსვლა", რომელიც ფერწერულობით, წარმოსახვის დიაპაზონით, ჩამოქნილი ფორმით იპყრობს ყურადღებას.

აფიშაზე აღნიშნული იყო მშველიძის საფორტეპიანო კონცერტის შესრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა — მსოფლიო პრემიერა. ალბათ მტკივნეული უნდა იყის იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი კლასიკოსი კომპოზიტორის ნაწარმოები მხოლოდ ახლა სრულდება პირველად და ისიც უცხოელი სოლისტის მიერ. უდიდესი მადლიერება უნდა გამოვხატოთ ამ შესრულების ინიციატორებისა და განმხორციელებლების მიმართ.

საფორტეპიანო კონცერტი 80-იან წლებში შეიქმნა, ე.ი. ერთ-ერთი გვიანდელი ნაწარმოებია. თუმცა საერთო ხელწერით, გამოსახვის მანერითა და საშუალებებით კომპოზიტორის ადრინდელ თხზულებებს უახლოვდება. ამდენად, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მშველიძის შემოქმედებითი მისწრაფებების, შინაგანი მრწამსის ცვალებადობის თუ უცვლელობის შესახებ გვიქმნის წარმოდგენას.

მართლაც, დიდი მადლიერება გვეთქმის შემსრულებლის, ბრაზილიელი პიანისტის მარია დე ლოს ანხელეს იგლესიასის მიმართ. ის ერთობ რთული ამოცანის წინაშე იდგა, რამდენადაც მისთვის სრულიად უცხო წიაღში უნდა გაეკვლია გზა, სრულიად უცხო ინტონაციის კილო-ჰარმონიული ხვეულებიდან ამოეზიდა და გამოეხატა სათქმელი. ამიტომ, ბუნებრივია, მისი ინტერპრეტაციის მიღმა დიდი გარჯა და ძალისხმევა იდო. წარმატებულ შესრულებას კი ადასტურებს თუნდაც ის აზრი, რომ ნაწარმოები იმსახურებს ყურადღებას და შემდგომ შესრულებას. საყურადღებოა თავად შემსრულებლის მარია იგლესიასის შთაბეჭდილება: „ამ კონცერტს სიმფონიური სტრუქტურა აქვს. ნათლად ჩანს, რომ შ. მშველიძე სიმფონისტი კომპოზიტორი იყო, ისევე როგორც ტექნიკურად ურთულეს, ამ ინსტრუმენტისათვის არასპეციფიკურ საფორტეპიანო პარტიას ემჩნევა, რომ იგი პიანისტი არ გახლდათ. საოცრად მდიდარია ჰარმონიული პალიტრა, რომელიც ქართული ფოლკლორის გავლენას განიცდის. რიტმი კი მუდმივად ცვალებადია, რაც დიდებულს ხდის კონცერტს. საოცარია ნაწარმოების საორკესტრო პარტიტურა, ის მდიდარია სხვადასხვა ინსტრუმენტის განსხვავებული ფერებით, ფლეიტისა და არფის თანაჟღერადობა კი ყოველთვის არაჩვეულებრივია. ზემოჩამოთვლილის გარდა, ასევე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა კომპოზიტორის გავლენა. ჩემი აზრით, ნაწარმოებში იგრძნობა რახმანინოვის, შოსტაკოვიჩის და ამასთან ერთად ქართული მდიდარი ფოლკლორის გავლენა. რაც შეეხება მაესტრო დავით მუქერიას, ის მაღალი დონის მუსიკოსი და არაჩვეულებრივი დირიჟორია. ჩვენ ძალიან ცოტა საორკესტრო რეპეტიცია გვქონდა და ის დიდი პასუხისმგებლობითა და მიზანმიმართულებით მუშაობდა ყოველ რეპეტიციაზე. ეს არ იყო ადვილი ამოცანა, ჩვენ ნაწარმოები სულ ნულიდან უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ის არასდროს შესრულებულა აქამდე. ბატონი დავითი ყოველ ჯერზე ამჟღავნებდა თავის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი დრო და დიდი გამოცდილება. მადლობა მაესტროს!"

კონცერტის ცენტრალური ნომერი მაინც მე-3 სიმფონია, „სამგორად" წოდებული გახლდათ. სწორედ ამ სიმფონიის აჟღერებამ შეგვაგრძნობინა ძიებებით აღსავსე პროცესი, მშველიძისეულ მონუმენტურ-ეპიკურ სიმფონიამდე მიმავალი. „სამგორი" თანამედროვე თემატიკაზე შექმნილი პირველი ქართული სიმფონიური ნაწარმოებია. თავად კომპოზიტორის განმარტებით იგი ეხმიანება ზოგადად ახალი მშენებლობის თემას. იგი შეიქმნა მაშინ, როდესაც იორის წყალი შემოიყვანეს და ეს ადგილი „თბილისის ზღვად" გადააქციეს.

„სამგორი" ასევე პირველი ქართული პროგრამული სიმფონიური ციკლია, რომლის თითოეულ ნაწილს ქვესათაური აქვს მიკუთვნებული. კომპოზიტორის მინიშნებით ნაწარმოები ძველი და ახალი სამყაროს ძალების დაპირისპირებას ასახავს. დღევანდელი გადმოსახედიდან იგი, ალბათ, უფრო განწყობილებათა მონაცვლეობად აღიქმება. ამ მონაცვლეობაში გვიპყრობს კომპოზიტორის მიერ ჩანაფიქრის გადმოცემის ხერხთა მრავალფეროვნება, ფართო გრადაციები. განსაკუთრებით გვხიბლავს ცალკეული საკრავის სოლო აჟღერებისას, როდესაც ამ ინსტრუმენტის შესაძლებლობებს, მის მასშტაბებს წარმოაჩენს (აქ შეიგრძნობა საკრავთმცოდნეობის თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსის დიდოსტა-

ტობა) კომპოზიტორი ქმნის მდიდარ კოლორისტულ-ბგერით სამყაროს, დიდი ფანტაზიითა და სინატიფით აღწევს ტემბრულ ფერადოვნებას. მოულოდნელობების წინაშეც გვაყენებს მაშინ, როდესაც იმპრესიონისტულ-კოლორისტული განვითარების პროცესში უცბად ქართული ხალხური საკრავის იმიტაციის ელემენტებს ჩართავს. ამ შემთხვევაშიც ეროვნული მუსიკალური სტილის ქმნადობის პროცესის მოწმენი ვხვდებით.

ყოველივე ეს დიდი გატაცებით მოგვაწოდა დირიჟორმა დავით მუქერიამ. მან თავისი ინტერპრეტაციით ხაზი გაუსვა მშველიძისეული მუსიკის იმ ღირსებებს, რითიც ივი კვლავ იწვევს ინტერესს. კონცერტმა გულგრილი არ დატოვა აუდიტორია, განსაკუთრებით პროფესიონალი მუსიკოსები.

ელიზბარ ლომდარიძე, კომპოზიტორი: „ძალიან კარგად გაჟღერდა მშველიძის ნაწარმოებები. წლების შემდეგ გამოჩნდა, რომ ის მართლაც ფუძემდებელია ქართული სიმფონიური მუსიკის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა ოსტატობით არის დაწერილი მისი ნაწარმოებები — ფორმის მხრივ, ინსტრუმენტობის მხრივ. „ჩამქრალ ვულკანს" რომ უწოდებდნენ, ეგრე არ არის. გავითვალისწინოთ, რა დროს იწერებოდა ეს ნაწარმოებები, ამ ჟანრების პირველი ნიმუშები საქართველოში. ისინი დღესაც ინტერესს იწვევენ სხვადასხვა კუთხით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ბრწყინვალედ შეასრულა დავით მუქერიამ, მით უმეტეს ადვილი ამოცანის წინაშე ნამდვილად არ იდგა. ორკესტრი ხომ მაღალი კლასის არის. მე ძალიან ნასიამოვნები წამოვედი კონცერტიდან".

დოდო გოგუა, მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი: „დიდი ინტერესით ველოდი ახალ შეხვედრას შალვა მშველიძის შემოქმედებასთან, განსაკუთრებით ამ ორი წლის წინ ვახტანგ კახიძის მიერ მისი „ზვიადაურის" წარმატებული შესრულების შემდეგ, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ნამდვილი ხელოვნება არ ძველდება, პირიქით ინარჩუნებს მხატვრული ზემოქმედების ძალას და აქტუალობას.

უდავოდ წარმატებული იყო დღევანდელი კონცერტი, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით სოლისტს მარია იგლესიასს და დირიჟორ დავით მუქერიას, რომელმაც მშვენივრად აუღო ალღო მშველიძის სიმფონიური აზროვნებისა და მისი ნაწარმოებების ინტერპრეტაციის თავისებურებებს, ვიტყოდი, სირთულეებსაც.

ამასთან, ვფიქრობ, რომ უფრო მომგებიანი იქნებოდა პროგრამაში სიმფონიის ნაცვლად მშველიძის სხვა ნაწარმოებების, თუნდაც მისი შესანიშნავი სიმფონიური პოემის „მინდიასა" და პოლიფონიური სიუიტის ჩართვა.

დავით მუქერია

ეს შესაძლებელია უფრო მრავალმხრივად და შთამბეჭდავად წარმოაჩენდა ქართული მუსიკის ამ აღიარებული კლასიკოსის შემოქმედებითი ნიჭის ძალას".

ამ კონცერტის წარმატებულ შედეგად შეიძლება მოვიჩნიოთ საზოგადოების საერთო განწყობა, რომ კიდევ მოგვეცეს შესაძლებლობა ვეზიაროთ ქართული პროფესიული მუსიკის კლასიკოსის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით კი იმ თხზულებებს, რომლებიც გვავრძნობინებენ მშველიძისეული სამყაროს განუმეორებლობას, იმ ძლიერ ენერგეტიკას და ეროვნულ მუხტს, რომელიც შეიძლება ითქვას მხოლოდ ამ მუსიკას ახლავს და რასთან ზიარებაც უთუოდ სჭირდება დღევანდელ საზოგადოებას.

ქართული მუსიკის პოპულარიზატორი და ქველმოქმედი

მგზია ჯაფარიძე

სერჟ პულენი

გორის საგუნდო მუსიკის I საერთაშორისო ფესტივალზე, სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდი 5 დღის მანძილზე, გავიცანი ფრანგული საპროდიუსერო ორგანიზაციის „ენ-ეს ორგანიზაციონ"-ის წამომადგენლები. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ეს ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა საფრანგეთში და გარდა ამისა, ეხმარება 2008 წლის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს. ჩემთვის ეს ძალიან ამაღელვებელი და სასიხარულო იყო. ლამის ქართველებს დაავიწყდათ 2008 წლის ტრაგედია და დაღუპული მეომრების შეჭირვებული ოჯახები, ამ დროს კი ვიგებ, რომ უცხოელ ადამიანს ისე გულთან მიუტანია ჩვენი სატკივარი, რომ მთელი გულმოდგინებით ცდილობს რამენაირად დაეხმაროს ქვეყანას. ამიტომ, გადავწყვიტე ამ ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის შესახებ მცირე ინფორმაცია მიმეწოდებინა ჩვენი მკითხველისათვის.

საპროდიუსერო კომპანიას „ენ-ეს ორგანიზაციონ" დაუარსებია ცოლ-ქმარ მარი-ანიკ და სერჟ პულენებს, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობენ (აქ მუშაობს მათი ქალიშვილიც). ორგანიზაცია დიდი ხანია მსოფლიო მუსიკის თავისებურებებითაა დაინტერესებული და საქართველოც მათი ერთ-ერთი ძირითადი ინტერესის სფეროა. ამ საქმიანობაში მათ ჩვენი თანამემამულე, ფრანგული ენის სპეციალისტი, მაია მჭედლიშვილიც ეხმარება, რომელიც ამჯერადაც თან ახლდა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბ-ნ სერჟ პულენს და კორსიკელთა ანსამბლ „მერიდიანუსს". მე შესაძლებლობა მომეცა გავსაუბრებოდი ქ-ნ მაია მჭედლიშვილს და ბ-ნ სერჟ პულენს.

***სერჟ პულენი** — პირველ რიგში მინდა გაგაცნოთ*

ჩემი თავი. მე წარმოვადგენ ფრანგულ საპროდიუსერო კომპანიას „ენ-ეს ორგანიზაციონს“, რომელიც დაკავებულია კონცერტების ორგანიზებით საფრანგეთში და სხვადასხვა სახის სპექტაკლებით. ამჟამად გორში ვიმყოფებით, რადგანაც, რამოდენიმე ხნის წინ გავაფორმეთ კონტრაქტი ფოლკლორულ ანსამბლ „მაჩაბელასთან“ და კორსიკულ ანსამბლ „მერიდიანუსთან“, დაგეგმილი გვაქვს კონცერტიც. ჩვენ საერთო საქმეს ვეწევით — ქართული მუსიკის პოპულარიზაციას საფრანგეთში და ა.შ.

***მაია მჭედლიშვილი** — ჩვენი ორგანიზაცია უკვე 10 წელია მუშაობს საქართველოსთან და ამდენივე წელია ვემსახურებით ქართული მრავალხმიანი მუსიკის პოპულარიზაციას საფრანგეთში და ევროპაში. შარშან დავდეთ თანამშრომლობის მემორანდუმი გორის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „მაჩაბელასთან“ (არსენ აზალაძე, გიორგი მოციქულაშვილი, მიხეილ წითელაშვილი, ძმები ლევან და ლაშა აბუაშვილები) და კორსიკულ ანსამბლ „მერიდიანუსთან“ (ჟან ანტუან ორტიკონი, მათიუ გრაზიანი, ლორან დეპაპი და ჟერემი ლუაიე). ბ-ნი სერჟ პულენის ოცნება იყო გაეერთიანებინა ამ ორი ხალხის პოლიფონია და ამ პროექტს დავარქვით "United Polyphony". ჩავატარეთ კონცერტები საფრანგეთში, ერთი კონცერტი გვქონდა პარიზში, 2015 წლის 1 ოქტომბერს. პარიზის კონცერტიდან შემოსული თანხები ჩამოვიტანეთ გორში და გადავეცით 2008 წლის ომში დაღუპული ჯარისკაცების არასრულწლოვან ბავშვებს. აქედან გაჩნდა იდეა, რომ შეგვექმნა საერთო ფონდი, გორის მუნიციპალიტეტმა დააარსა ფონდი, ჩვენ კი ასოციაცია „პეგაზი“, რომელიც ყოველ ჯერზე, ყოველ გასტროლზე მოემსახურება ქველმოქმედებას და დაეხმარება ქართველ ბავშვებს.*

მ. ჯ.** — **იდეა ვისი იყო?

***მ. მ.** — იდეა არის სერჟ პულენის. დავამატებდი, რომ დავეხმარებით არა მხოლოდ ბავშვებს. სერჟი ყველა ძალას ხმარობს, რომ საფრანგეთში თანხების მობილიზაცია მოახდინოს, ცდილობს დააინტერესოს ბიზნესმენები საქართველოთი, დაუკავშირდა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას „როტარი კლუბს“ და მასში გაწევრიანებულ ჩრდილოეთ საფრანგეთის 49 კლუბს, რათა ჩამოვიდნენ და დაეხმარონ არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ ომის ინვალიდებსაც. მაგალითად, ვიცით, რომ კიდურებამპუტირებულ ყოფილ ჯარისკაცებს შექმნილი აქვთ ფეხბურთის გუნდი. მათ აკლიათ სპორტული ეკიპირება, არ აქვთ ძალიან ბევრი რამ და ამიტომ ჩვენ ორგანიზაციას უნდა, რომ თავისი მცირედი წვლილი შეიტანოს ამ საქმეშიც.*

მ. ჯ.** — **როგორ ხვდებიან საფრანგეთში ქათული ანსამბლის კონცერტებს და პირიქით, როგორი წარმატებით ჩაიარა კორსიკელების კონცერტმა ღია ცის ქვეშ გორის რაიონის სოფლებში?

მაია მჭედლიშვილი, მარი-ანიკ პულენი

***მ. მ.** — შესანიშნავად! როგორც უკვე აღვნიშნე, კონცერტები საფრანგეთში ფასიანია და ის თანხა ხმარდება ქველმოქმედებას საქართველოში, ხოლო საქართველოში ჩვენ კონცერტებს ვმართავთ უფასოდ, ხშირად ღია ცის ქვეშ. ეს კონცერტები ძალიან ამაღელვებელია და საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით და ინტერესით ხვდება. წარმოიდგინეთ, კორსიკელები მღერიან ქარ-*

„მაჩაბელას“ და „მერიდიანუსის“ წევრები სერჟ პულენთან ერთად

თულ სიმღერებს, საგალობლებს... „მრავალჟამიერს“, „წმინდაო ღმერთოს“ და სხვ., ქართველები კი მღერიან კორსიკულ საგალობელს, წმინდა მარიამისადმი მიძღვნილ „რეჯინას“ და ა.შ. ეს გულგრილს არავის ტოვებს. საფრანგეთში უკვე ნელ-ნელა ეცნობიან ქართულ მრავალხმიანობას. ამბობენ, რომ ძალიან გავს კორსიკულს, მაგრამ... ყოველთვის არის ეს მაგრამ, რადგან დასძენენ ხოლმე, რომ ქართული მაინც განსხვავებულია. ახლა ანსამბლი „მაჩაბელა“ ემზადება კონცერტისთვის საფრანგეთში, დაახლოებით სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში გამართავენ კონცერტებს. სამი კონცერტიდან შემოსული თანხები ამჯერადაც მოხმარდება ქველმოქმედებას საქართველოში.

მ. ჯ. — ბ-ნო სერჟ, რატომ საქართველო?

ს. ჰ. — ძალიან დიდი ხნის სასიყვარულო ურთიერთობა მაკავშირებს საქართველოსთან. ეს აბსოლუტურად სპონტანურად მოხდა. პირველად, როგორც კი გავცდი საფრანგეთის ფარგლებს, ჩამოვედი საქართველოში. შემდეგ უკვე წავედი ბულგარეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ვიეტნამში... მრავალი ქვეყანა მოვიარე, მაგრამ ისეთი მასპინძლობა, როგორსაც საქართველო გვიწევს, არსად არ შეგვხვედრია. შემდეგ უკვე ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე საქართველოში და ფაქტობრივად, ეს ჩემი მეორე სამშობლო გახდა. დამიჯერეთ, არ ვაჭარბებ, როდესაც საქართველოში ჩამოვდივარ, ძალიან ბედნიერი ვარ!

მ. ჯ. — ყველა ქართველის სახელით მინდა უდიდესი მადლობა გადავიხადოთ, რადგან გორი სწორედ ის ქალაქია, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა 2008 წლის ომის დროს. ვუსურვებ თქვენ ორგანიზაციას წარმატებებს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა!

ყოველთვის მშველის მუსიკასთან სუფთა, პატიოსანი დამოკიდებულება...

ციცინო ჯერვალიძე
2001 წლის 11 აგვისტო

ჯანსუღ კახიძე

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა თავისი 150-ე საოპერო სეზონი გახსნა. ოპერის თაყვანისმცემლებს, ბუნებრივია, დაინტერესებთ ვინ არიან ის ბედნიერი ადამიანები, ვისაც წილად ხვდა პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობაც, ესოდენ მნიშვნელოვან საიუბილეო სეზონზე ეხელმძღვანელათ საქართველოს უპირველესი თეატრისათვის და თეატრის მთელ კოლექტივთან ერთად შეხვედროდნენ ესოდენ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს. ვინ არიან ისინი და როგორია მათი განწყობილება?

„ქნარის“ სტუმარია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ბატონი ჯანსუღ კახიძე.*

ციცინო ჯერვალიძე — მაესტრო, დარწმუნებული ვარ ჩვენი საუბარი, რომელიც თქვენი და ჩვენი საოპერო თეატრის ურთიერთობას შეეხება, გულწრფელი და ორიგინალური იქნება. თქვენ ხომ თითქმის მის განუყოფელ ნაწილად იქეცით. 2001 წელს ოპერის თეატრს 150 წელი უსრულდება, ზაქარია ფალიაშვილს 130, ხოლო თქვენ 65 წლის გახდით. ასეთი დამთხვევა ალბათ შემთხვევითი არ არის და საერთოდ მოსაგონებელი ალბათ ბევრი რამ გაქვთ.

ჯანსუღ კახიძე — *(ეღიმება) თუ თქვენს კითხვას მივყვებით, ეს დამთხვევა ისტორიულად მართლაც საინტერესო გამოდის, იმიტომ, რომ ჩემი 65 წლიდან 30 ნამდვილად ოპერის თეატრში მაქვს გატარებული,*

* თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკადემიური თეატრის ყოველთვიური გაზეთი. გამოდიოდა 2001-03 წწ. (ტექსტი იბეჭდება უცვლელად).

თუმცა ჩემი მოღვაწეობა თეატრში ორ პერიოდს მოიცავს. პირველი პერიოდი, როდესაც მე თეატრში სრულიად ახალგაზრდა მოვედი და ძალიან მალე გავხდი მთავარი დირიჟორი. ხოლო შემდეგ თეატრისათვის ან ვიღაცა აგიტაცებს და ხოტბას შეგასხამს. მე ერთიც მქონია და მეორეც. თუმცა ჩვენს თეატრთან დაკავშირებით მხოლოდ კარგს გავიხსენებ.

მე ვთვლი, რომ ჩემი მოღვაწეობის ორივე პერიოდ-

ჯანსუღ კახიძე დირიჟორობს სასკოლო ანსამბლს. 1946 წ.

დამახასიათებელი ინტრიგებიდან გამომდინარე, მისი დატოვება მომიხდა და მეორე პერიოდი 1982 წლიდან დღემდე. თეატრში მეორედ მობრუნებიდან, მეორედ მოსვლიდან კი არა (იცინის) მეორედ მობრუნებიდან, თითქმის 20 წელი გავიდა. წარმოიდგინეთ, როდესაც შენი ცხოვრების ნახევარს იმ კოლექტივთან, იმ თეატრთან ატარებ, რომელშიც მთელი შენი სულიერი სამყარო გაქვს ჩაქსოვილი და სიყვარული გაღებული... ეს ის ხომ არ არის, მიხვიდე და კედლები ააშენო... კი, კედლები კი რჩება, მაგრამ ხელოვნების შემთხვევაში ვერაფერს ააშენებ, უბრალოდ სულს ტოვებ და იმ სულში კი უკაცრავად პასუხია და ან ვიღაცა ჩაგაფურთხებს, ში, საკმარისად მქონდა კარგი პერიოდები, მე ვიტყოდი რაღაც ეტაპობრივიც კი, არა მარტო როგორც მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელს და მთავარ დირიჟორს... ოპერის თეატრს ჰქონდა თავისი „მწვერვალები“... მაგრამ თეატრის ცხოვრება საერთოდ ხომ იცით როგორია, არის მწვერვალი, მერე ჩავარდნა, ისევ ამოსვლა და ა.შ. ოპერაში კი ეს განსაკუთრებით იგრძნობა ხოლმე, ოპერა ხომ საოცარი სამყაროა, ურთულესი მექანიზმი. სანამ ნამდვილ მუსიკამდე მიხვალ, იმდენი ცხოვრებისეული რამ უნდა გაიარო, რომ მერე უკვე მუსიკასთან მისული ან გამოფიტული ხარ, ან საერთოდ აღარ გაინტერესებს მუსიკა.

ამ კუთხით მე მიმაჩნია, რომ ჩემი მოღვაწეობა ოპერის თეატრში ყოველთვის რაღაც გარდატეხებთან იყო დაკავშირებული. ჩემი უპირველესი ამოცანა იყო, როგორმე გავვემარტივებინა საოპერო ჟანრი. ამისათვის უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდი რეჟისურას, რომელიც ოპერაში ერთგვარ რუტინად გადაიქცა, უინტერესო, დაშტამპულ ქმედებად, რომელიც ხანდახან სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა. მაგალითად, ოპერაში იდგმება ტრაგედია, ვიღაც თავს იკლავს, ვიღაც უნდა მოკვდეს და რეჟისურა კი ისეთ დონეზეა, ისეა მოწოდებული, რომ ღიმილს იწვევს და არა თანაგრძნობას გმირის მიმართ.

ამ თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ ჩემი მოღვაწეობის პირველ პერიოდში რაღაცეები მართლაც გაკეთდა. ამის თვალნათელი მაგალითია „დონ პასკუალესა“ და „დონ ჟუანის“ დადგმა, რომელმაც აბსოლუტურად შემოაბრუნა მანამდე არსებული სარეჟისორო თვალთახედვა. ამ იდეის განსახორციელებლად ისეთი რეჟისორები მოვიწვიეთ, როგორებიც იყვნენ მიხაილოვი, პასენკოვი... პირველად საქართველოში სწორედ მიხაილოვმა დადგა „სემიონ კოტკო“, მაშინ დადგა „ბორის გოდუნოვიც.“ ასე რომ, თეატრში ჩემი მოღვაწეობის პირველ პერიოდში 3-4 კარგი სპექტაკლის გაკეთება მოვასწარი. შემდეგ დავტოვე ოპერის თეატრი და აი, 1982 წელს მოვბრუნდი უფრო მომწიფებული, ცოტა გაბრაზებული, უფრო შემართული, გარკვეული გამოცდილებით სავსე, უკვე ვიცოდი თუ როგორ უნდა დაიძლიოს ოპერის თეატრთან დაკავშირებული სიძნელეები, ამიტომ ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად ავიღე ხელში, ყოველგვარი ძალაუფლების განაწილების გარეშე ვინმესთან და არც მინანია... ახლა რასაც ვერ ვაკეთებთ ან არ კეთდება, ეს ჩვენზე უკვე აღარ არის დამოკიდებული. ჩემი მოღვაწეობის ერთი მონაკვეთი – 1982 წლიდან 1988 წლის ჩათვლით, უაღრესად აქტიური და პროდუქტიული იყო. არ არის ლამაზი, მე რომ ამას ვამბობ, ეს სხვამ უნდა თქვას, თორემ ამ მონაკვეთს შეიძლება „ოქროს ხანა“ ეწოდოს, ისევე როგორც მალერის მოღვაწეობის 10 წელიწადს ვენის თეატრში. მე გავაუქმე მთავარი რეჟისორის ადგილი. მოვიწვიე სამი შესანიშავი რეჟისორი – რობერტ სტურუა, მიხეილ თუმანიშვილი, გურამ მელივა – რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ოპერაში მუშაობის, ის ხომ მუსიკალური რეჟისორია. გვქონდა პატარა პრეზიდიუმი, რომელშიც ზემოთნახსენებ რეჟისორებს უდიდესი მოაზროვნე გივი ორჯონიკიძეც დაემატა. მათ მე ვხელმძღვანელობდი. სწორედ ჩვენში იბადებოდა ის პროექტი, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოში.

დიდ მოვლენად მიმაჩნია ჩვენი თეატრის გასტროლები მოსკოვის დიდ თეატრში 1984 წელს. მართალია, ოპერის თეატრმა მანამდეც მიიღო მოსკოვში სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, ხელოვნების დეკადა იქნებოდა ეს თუ სხვა რამე საიუბილეო თარიღი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იყო თეატრის პირველი დამოუკიდებელი გასტროლები. ორი კვირის განმავლობაში ჩვენ საუცხოო სპექტაკლები ვაჩვენეთ. არ შემრცხვება თუ ვიტყვი, რომ ორი კვირის განმავლობაში მოსკოვი ბანბარებდა. „სალომეᲗ“ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ან არ გინდოდათ მოსკოვში „ბორის გოდუნოვის“ წაღება? პირდაპირ წყვეტა იყო, დარბაზი ინგრეოდა ან როგორი კრიტიკა და გამოხმაურება ჰქონდა ამ ყველაფერს...

ახლა კი ისეთი პირობებია... სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მტკივა გული, რომ ვერაფერს ვშველი, თავს ზემოთ ძალა არაა, იქამდე მივედით, იმასღა ვცდილობთ, რომ რაც გვაქვს ის მაინც შევინარჩუნოთ...

ც.ჯ. – დღევანდელ ყოფაზე დაფიქრება, მართლაც ცუდ განწყობილებაზე აყენებს ადამიანს, ამიტომ იქნებ ისევ წარსულს დავუბრუნდეთ – ყველაფერი მაინც საიდანღაც იწყება, ვინ იყო ის პიროვნება, ვინც პირველმა აღმოაჩინა თქვენში მუსიკალური ნიჭი. დიდი წვლილი ვის მიუძვის თქვენს დაკვალიანებაში?

ჯ.კ. – ბებია-ბაბუებიდან მოყოლებული მთელი ჩემი ოჯახი, დედა, მამა, ჩემი ძმა, ყველანი ვმღეროდით, ოღონდ ხალხურ სიმღერებს. შემდეგში პროფესიულ მუსიკას მხოლოდ მე გავყევი. ჩემს ბავშვობის მეხსიერებას შემორჩა და შემდეგ დედისგანაც მსმენია, რომ იყო ერთი მოხეტიალე მუსიკოსი ქურხული, რომელიც თავისი სტვირით ეზო-ეზო დადიოდა და ხალხურ სიმღერებს ავრცელებდა. ერთხელ ჩვენთანაც მოსულა სტუმ-

რად და ჩემთვის რომ მოუსმენია, დედასათვის უთქვამს – რაც გინდა მომთხოვე, ოღონდ ეს ბიჭი მე გამატანეო. აბა დედაჩემი ჩემს თავს ვინმეს დაუთმობდა? (იცინის) მერე ისევ დედამ ითავა ჩემი მუსიკალური განათლება. და საოცარი ის არის, რომ მთელი წელი მუხლჩაუხრელად იმუშავა, თავისი ხელით მოიყვანა პომიდორი, კარტოფილი, რა ვიცი კიდევ რა, გაყიდა, რომ ჩემთვის როგორმე როიალი ეყიდა. მე უკვე საკმაოდ დიდი, 13 წლის ვიყავი მუსიკის სწავლა რომ დავიწყე. ნათქვამი მაქვს და კიდევ გავიმეორებ – პირველად როიალი რომ დავინახე, კუბო მეგონა, მანამდე ნანახი არ მქონდა, მაგრამ სწავლა დავიწყე და ერთ წელიწადში დიდ წარმატებებს მივაღწიე, ისეთი ინტერესი გამიჩნდა, რომ ვეღარ მაჩერებდნენ.

პირველი ადამიანი რომელმაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიელი დირიჟორი ვილი ჰერერო იყო, თუ არ ვცდები იგი თბილისში 1952 წელს ჩამოვიდა. განსაკუთრებით მინიატურებს აკეთებდა არაჩვეულებრივად. მას რომ მოვუსმინე, სწორედ მაშინ გადავწყვიტე – კარგი პროფესიონალი დირიჟორი უნდა გავხდე-მეთქი. პიანისტი ვიყავი. კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, როცა საგუნდო კაპელაში მიმიწვიეს. მისი ხელმძღვანელი გიორგი ხახანაშვილი მალე გარდაიცვალა და რიგიდან ქორმაისტერი იან დუმინი ჩამოიყვანეს. აი, სწორედ იან დუმინი იყო ის პიროვნება, რომელიც მე ორიენტირად ავიღე, მაშინ მივხვდი, რომ თურმე სხვა რამე ყოფილა სერიოზული მუსიკა და არა ის, რასაც მე ვსწავლობდი და ჩემს წვენში ვიხარშებოდი. დუმინმა დიდი ამაგი დამდო. მას დიდი წვლილიც მიუძღვის გზაზე ჩემს დაყენებაში. სწორედ მან მითხრა პირველად – შენ მარტო გუნდით არ დაკმაყოფილდე, უფრო წინ უნდა წახვიდეო.

ჩემს სადირიჟორო დაოსტატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ბრწყინვალე მაესტროს, ოდისეი დიმიტრიადის, რომელმაც შემამჩნია თუ არა, მაშინვე ხელი მომკიდა და თეატრში მიმიყვანა. რადგან დირიჟორობა საბოლოოდ გადავწყვიტე, დასაოსტატებლად მოსკოვში ან ლენინგრადში უნდა წავსულიყავი. იმ პერიოდში კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი და შემცვლელი არ მყავდა. კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, დავით ჩხიკვიშვილმა თქვა – რაღა იმ სიშორეზე გავუშვათ, აგერ არა გვყავს ოდისეი დიმიტრიადი, აქვე გავხსნათ სადირიჟორო ფაკულტეტი და აქ ისწავლოსო. ჰოდა, ასე გავხდი ბატონი ოდისეის პირველი სტუდენტი (იცინის), თუმცა უამრავი წინააღმდეგობების გადალახვაც დაგვჭირდა, იყო ერთი ამბავი – ქართველებს რაში სჭირდებათ ან თბილისში რა საჭიროა ფაკულტეტიო.

ბატონ ოდისეის აქვს მოამაგის საოცარი თვისება, მე ვიტყოდი, ზოგჯერ გადამეტებულიც კი. საოცრად თბილი პიროვნებაა, უდიდესი ვაჟკაცი, კეთილშობილი, ზნეკეთილი, უნიჭიერესი ადამიანი. გამიმართლა მას რომ შევხვდი და სიკვდილამდე მისი მადლიერი ვიქნები.

ც.ჯ. – რადგან სიტყვამ მოიტანა, ბატონ ოდისეისთან დაკავშირებით მინდა ერთი რამ მეც გავიხსენო. ერთ-ერთ ინტერვიუში მას ვკითხე – ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ ბატონი ჯანსუღი ცნობილია თავისი მძიმე ხასიათით. თქვენთან ეს არასოდეს გამოუმჟღავნებია, არასოდეს გიჩხუბიათ-მეთქი? და იცით, რა მიპასუხა? – არ დაიჯეროთ, არანაირი მძიმე ხასიათი ჯანსუღ ივანიჩს არა აქვს, უბრალოდ მას ვერ უგებენო. რაზე უნდა გვეჩხუბა, როცა უნიჭიერესი სტუდენტი იყო, მე ვასწავლიდი, ის სწავლობდა, გამუდმებულ ძიებაში და წრთობაში იყოო. პირიქით, დღემდე ვამაყობ, რომ სწორედ მე ვიყავი მისი პედაგოგი, მე დავაყენე პირველად ოპერის სადირიჟორო პულტთანო...

ჯ.კ. – (გულიანად იცინის) აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.... ისე მე მართლაც მაქვს გავარდნილი მძიმე და ჯიუტი ხასიათის კაცის სახელი, მაგრამ დიმიტრიადი მართალია იმაში, რომ ვინც მე კარგად მიცნობს, ვინც მე მიყვარს, ვისაც მე ვუყვარვარ (კატეგორიული ტონით) და ჩემი გაგება უნდა, ადვილად საურთიერთობო კაცი ვარ – ალალი, მხიარული, ხუმარა, ენამოსწრებული, გამგები, მოქეიფე და რა ვიცი... თუმც გეტყვით, რომ საერთოდ დირიჟორებს... როგორ გგონიათ, დიდიმო მირცხულავას მსუბუქი ხასიათი ჰქონდა? ან თუნდაც ვახტანგ ფალიაშვილს? და იცით, რატომ? ეს თავად ჩვენი პროფესიიდან გამომდინარეობს. უამრავი ხალხი გეხვევა, ყველას მიაჩნიხარ მხსნელად, ყველას უნდა უშველო, ხოლო თუ ვერ უშველე, გამოდის, რომ

პატარა ჯანო მშობლებთან და ძმასთან ერთად. 1947წ.

ხელს უშლი. სწორედ ამან ჩამომიყალიბა უკარება კაცის ერთგვაროვანი ნიღაბი, რომელიც საკმაოდ კარგად მოვირგე და თქვენ წარმოიდგინეთ, მშველის კიდეც. ისე მიჭირავს თავი, რომ ადვილად არავინ მომეკაროს, არავინ არაფერი მასწავლოს, ვინმემ რამე არ გამიბედოს – ეს ჩემი ნიღაბია და იცით რატომ? ადამიანებმა დამღალეს, თანაც ისეთებმა, არაფრად რომ არ ღირან...

შემიძლია დავიტრაბახო, რომ უამრავი სიკეთე გამიკეთებია. დამიჯერეთ სიკეთე არასოდეს მიკეთებია იმისათვის, რომ სამაგიერო მიმეღო. მე ასე აღზრდილი არა ვარ, მაგრამ სიკეთე ხშირად ჩემთვის მხოლოდ მწვავე დაპირისპირებით გადაუხდიათ და იცით რატომ? უნდათ, რომ სულ მე ვუგორო კვერცხი და თუ ერთხელ სწორედ ვერ გავაგორე და ცოტა მარჯვნივ გაგორდა, მტრისას, აღარაფერს მპატიობენ. ასეთი ურთიერთობისას კი მართლაც აუტანელი ვხდები, ეს მართალია. როცა ცდილობენ დამამარცხონ და ვიცი, რომ მართალი ვარ, ჩემთვის უკან დასახევი გზა აღარ არსებობს და ვიბრძვი, ჯერჯერობით მიმართლებს. ყოველთვის მშველის მუსიკასთან უაღრესად სუფთა. წრფელი, პატიოსანი დამოკიდებულება.

ც.ჯ. – ბატონო ჯანსუღ, თქვენ თქვით, რომ „ორი პერიოდი'' გქონდათ ოპერის თეატრში, მაგრამ ხომ იყო ის პირველი დღე, ალბათ თქვენს ბავშვობაში, როცა ოპერაში სულ პირველად მოხვედით როგორც მაყურებელი და ნახეთ პირველი სპექტაკლი. თეატრში დედამ წაგიყვანათ?

ჯ.კ. – (ეღიმება) თქვენ წარმოდიგინეთ, ბევრი ამბობს... მაგალითად, გიგა ლორთქიფანიძისაგან, ტატული წულუკიძისაგან გამიგია – აი, მე რომ პირველად წავედი ოპერაში, მოვისმინე ეს, მოვისმინე ის, დირიჟორობდა მიქელაძე, ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია და ასე შემდეგ... მე ასეთი რამ არ მქონია. ჩემი ვიზიტები ოპერაში იშვიათი იყო, იმიტომ რომ ეს ჟანრი მაინცდამაინც არ მიყვარდა. არც ის მახსოვს ოპერაში პირველად როდის მოვხვდი. ეტყობა იმდენად უფერული მეჩვენა ყველაფერი, რომ გონებაში არ დამრჩა. მერე დრო რომ გავიდა, მეც მოვმწიფდი და უფრო ახლოს მივედი მუ-

სიკასთან, ოპერაში ყოფნა მაშინაც მაღიზიანებდა. არც სიმღერა მომწონდა, არც დაკვრა, მაგრამ მაინც დავდიოდი ხოლმე, კარგ გოგონებს დავყვებოდით, ეს ომის შემდგომი წლები იყო. იმ პერიოდში ოპერაში მღეროდა დონატოვი, იყო ასეთი მომღერალი, რაღაც მყვირალა. ხალხი გადარეული იყო, იმტვრეოდა დარბაზი. ვგიჟდებოდი, ამისი რა მოსწონთ-მეთქი. არ ვმალავ, ჩვენი ოპერის თეატრის მიმართ სულ კრიტიკული დამოკიდებულება მქონდა. მაგრამ აი – გამოჩნდა ჭაბუკიანის ,,ოტელო", რომელმაც მთლიანად შემძრა, ამიტაცა, ჩემი ცნობიერება ყირაზე დააყენა. მაშინ მივხვდი მუსიკალური დრამის ჟანრი რაც არის, რა დატვირთვა აქვს და მისი საშუალებით რა დიდი რამეების გაკეთება შეიძლება...

ც.ჯ. – თქვენ არა მხოლოდ დიდი ხელოვანი, ღრმად მოაზროვნე პიროვნება და მჭერმეტყველი ბრძანდებით, რომ არა მუსიკა, თქვენგან ალბათ საინტერესო ლიტერატორიც დადგებოდა. როგორ ფიქრობთ, თქვენ ხართ ის ,,კაცი რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარს?''

ჯ.კ. – ვერ დაგეთანხმებით, რომ კარგი მჭერმეტყველი ვარ, ან რომ ჩემგან კარგი ლიტერატორი დადგებოდა, მაგრამ ზოგადი განათლება, ზოგადი განსწავლულობა, გამომგონებლური ფანტაზია, შინაგან სამყაროში წვდომის უნარი, სადირიჟირო ტალანტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ბოლო ხანებში, უფრო სწორედ 1983-85 წლებიდან ძალიან გამიტაცა ფილოსოფიამ, რასაც მანამდე საკმაოდ დაშორებული ვიყავი. სულ ვფიქრობდი, რომ ფილოსოფია და რელიგია განყენებული ცნებებია და არაფერი აქვთ საერთო პრაქტიკულ ცხოვრებასთან. ავიღოთ მაგალითად კვება, ჭამას რომ ეძახიან, რა არის ბოლოს და ბოლოს, უნდა ჭამო და თუ გემრიელია უნდა შეირგო, მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ ამ უბრალო ჭამაშიც კი მთელი ფილოსოფია დევს. აღარაფერს ვამბობ ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა სიყვარული და კაცთმოყვარეობა. რომ გითხრათ ძალიან განსწავლული ვარ და იმდენი მაქვს წაკითხული, რომ ციტატები გადმოვაფრქვიო, ტყუილი იქნება, მაგრამ ქართული ლიტერატურა ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით კი კონსტანტინე გამსახურდია. მიყვარს მისი სიტყვებისა და აზრების ჭიდილი, რომელშიც თითქოს თავად მუსიკის ძიებაა, რომ უფრო კარგად თქვას თავისი სათქმელი. მიყვარს აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც საინტერესო ფაბულებს ქმნის და შიგ უაღრესად საინტერესო საავტორო ინტრიგებს ახვევს. რაც შეეხება ძველ კლასიკოსებს, იყო დრო, როცა აკრძალული იყო ილია, არ უნდა გყვარებოდა აკაკი, თუმცა მე მათ ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ილიასთან იმდენი სიბრძნეა, ყოველი მისი სიტყვა იმდენად ღრმა და ამავე დროს ისეთი ცხოვრებისეულია, სულ მგონია, რომ ჩემს სათქმელს ამბობს, ჩემს შინაგან სამყაროს ეხმიანება და ვნანობ ხოლმე, ეს ხომ ჩემი სათქმელი იყო, რატომ დამასწრო, რატომ მე არა ვთქვი-მეთქი.

საერთოდ, ძალიან მიყვარს პოეზია, მაგრამ ვგიჟდები გალაკტიონზე, იმიტომ რომ მისი პოეზიაა თავად მუსიკა. რა თქმა უნდა, დასავლურ ლიტერატურასაც ვიცნობ... დანტე პირველად რომ წავიკითხე, ვერაფერი გავიგე. მერე ხელახლა მივუბრუნდი და ,,აღმოვაჩინე'' რომ დიდი პოეტი ყოფილა. აღარაფერს ვამბობ ისეთ მწერლებზე როგორიცაა კაფკა, ჰემინგუეი და სხვა. ეს ყველაფერი მერე და მერე შემოვიდა ჩემში, როცა უფრო ღრმა, გააზრებული კითხვა დავიწყე. ბევრი კი მაქვს წაკითხული, მაგრამ ძალიან რომ მიტაცებდეს ვერ ვიტყვი.

ც.ჯ. – თქვენ ბრძანეთ, რომ ფილოსოფიის მიმართ თქვენი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, უფრო ახლობელი გახდა თქვენთვის, ასეთივე განცდა თუ გაგიჩნდათ რელიგიის მიმართაც?

ჯ.კ.–(დაფიქრებით) არა, სამწუხაროდ არა. ისეთი აღზრდა მაქვს მიღებული, რომ დღემდე საშინელი ათეისტი დავრჩი და ეს ჩემს უდიდეს ნაკლად მიმაჩნია. ფილოსოფიისაგან განსხვავებით, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ რელიგია გარკვეული იდეოლოგიაა. ფილოსოფია ყველასათვის ფილოსოფიაა, რელიგიას კი უამრავი მიმდინარეობები აქვს და მაინც პოლიტიკის ნაწილად მიმაჩნია. როცა ერთხელ ვთქვი – ღმერთი არა მწამს-მეთქი, ერთი ჩემი ახლობელი ძალიან გამიწყრა, ლამის გამლანძღა – შენ რა იცი, ღმერთი რა არის, შე სულელო, განა რასაც შენ აკეთებ, ის ღმერთისაგან არ მოდისო? ღმერთი განა თავად შენში არ ზისო? ამას როდის მიხვდები და როდის გაიგებო (იცინის).

ალბათ, მართალი იყო, ხანდახან როცა დავფიქრდები, მეც მიკვირს, საიდან მოდის ამხელა ძალა, თუ გნებავთ ამდენი აზრი, ჩვენგან უმართავი ამდენი მოვლენა, რასაც ვერ ვწვდებით, მაგრამ რადგან არსებობს, ვიღაცისაგან ხომ არის დაშვებული...

ც.ჯ. — ბატონო ჯანსუღ, ისევ საოპერო ხელოვნებას დავუბრუნდეთ. ყოველთვის მაინტერესებდა თქვენი დამოკიდებულება მაყურებელთან (ამ შემთხვევაში მსმენელთან) დირიჟორობის დროს თუ გრძნობთ მათ თანადგომას, უფრო მეტიც მსმენელს თუ შეუძლია თქვენზე გავლენის მოხდენა, დადებითი ან თუნდაც უარყოფითი?

ჯ.კ. — (დაუფიქრებლად) უარყოფითი, უფრო მეტად უარყოფითი, განსაკუთრებით თბილისში, ჩვენს საოპერო თეატრში. ეტყობა გრძელი წარმოდგენების გამო მაყურებელი იღლება. იწყება გასვლა-გამოსვლა, გადაჯდომა-გადმოჯდომა, ლაპარაკი, ხმაური. ეს ყველაფერი ძალიან მაღიზიანებს. ბედნიერი ვარ, როცა მაყურებელი ჩუმად არის. ოღონდ უყურადღებობით ნუ გამაღიზიანებს და თუ ჩუმად იქნება მე მას დავიპყრობ.

ც.ჯ. — 8 სექტემბერს 150-ე საოპერო სეზონი იხსნება, რომელსაც თქვენ წარუძღვებით, სპექტაკლის დაწყებამდე 5 წუთით ადრე რას ეტყოდით მაყურებელს?

ანსამბლი „შვიდკაცა“, მარჯვნიდან პირველი ჯანსუღ კახიძე.

ჯ.კ — გულახდილად რომ გითხრათ, მე ამჟამად ცოტა დეპრესიულ განწყობაზე ვარ ჩვენი საერთო მდგომარეობის გამო, ამიტომ ჩვენს მაყურებელს კარგს ვერაფერს ვეტყვი. ჩემს ცხოვრებაში ტყუილი არ

ოდისეი დიმიტრიადი, ჯანსუღ კახიძე, ზურაბ სოტკილავა.

მითქვამს, განსაკუთრებით, მუსიკასთან მიმართებაში, ამიტომ ჩვენს მაყურებელს ვერ დავპირდები, რომ ეს სპექტაკლი უმაღლესი ხარისხის იქნება. ერთადერთი რაც გვიშველის, ისევ ჩვენი საყვარელი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა იქნება. კარგს ვერაფერს დავპირდები, მაგრამ ვუსურვებ, რომ როგორმე მალე დამთავრდეს ეს საშინელი პერიოდი და ჩვენს თეატრსა და მის მაყურებელს კიდევ ბევრი ოქროს ხანა დადგომოდეს, (ალბათ უკვე უჩემოდ, მაგრამ მაინც დადგომოდეს...).

ც.ჯ. — გიყვართ თქვენი მსმენელი?

— (აღტაცებით) უჰ, ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით მიყვარს მსმენელის მოხიბვლის პროცესი (ეღიმება), იცით, როგორ მიყვარს? კარგ ქალს რომ გაეარშიყები, გინდა დაიპყრო, მოხიბლო, გაიტაცო, ლამაზ ოცნებებში გაახვიო... ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს...

ჯ.კ. — ზაქარია ფალიაშვილს 130 წელი შეუსრულდა. როგორია თქვენი აზრი და დამოკიდებულება „აბესალომ და ეთერის“ მიმართ, მით უმეტეს, რომ იგი პირველად თქვენი თაოსნობით დაიდგა საზღვარგარეთ.

ც.ჯ. — (ფიქრობს) ვეცდები უაღრესად გულწრფელი ვიყო. ზ. ფალიაშვილის მიმართ ყოველთვის სერიოზული დამოკიდებულება მქონდა, რომელიც რამდენიმე შეგრძნებისაგან შედგებოდა. ჯერ ერთი, მე საოცრად უბრალო ქართველი ვარ, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი ქვეყანა და ყველაფერი, რაც მასთან კავშირშია, ვარგა თუ არ ვარგა. აქედან გამომდინარე ჩემს ახალგაზრდობაში ფალიაშვილის მიმართ საკმაოდ კრიტიკულად ვიყავი განწყობილი, რადგან უფრო მოდერნისტული მუსიკა მიტაცებდა და მიმაჩნდა, რომ ფალიაშვილი ერთი ჩვეულებრივი ქართული მოვლენაა, მაგრამ რადგან ქართულია, როგორც ყველაფერი ქართული,

ცისანა ტატიშვილი, ჯანსუღ კახიძე.

ესეც უნდა გიყვარდეს. მერე ჩემი პოზიცია შეიცვალა იმდენად, რამდენადაც შეიცვალა თავად ჩემი დამოკიდებულება მოდერნისტული მუსიკის მიმართაც. როცა მთლიანად შევისისხლხორცე თანამედროვე კომპოზიტორული ტექნიკა, მივხვდი, რომ მართალია, ტექნიკა წინ მიდის, მაგრამ სულიერება დაბლდება და იფიტება. ყოველივე ამის გაცნობიერებამ, მუსიკასთან ჩემი ურთიერთობის დახვეწამ, ჩემი თვალთახედვის შეცვლა გამოიწვია არა მხოლოდ ფალიაშვილის, არამედ დიდი კლასიკოსების მიმართაც. დღევანდელი გადასახედიდან რომ გითხრათ, ნამდვილი გენიოსი რასაც ჰქვია, ჩემთვის შეიძლება თხუთმეტიოდე ადამიანიც არ იყოს, მაშინ როცა ვინც კი რაღაცას ახალს დაწერდა, ყველას გენიოსს ვეძახდი. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მიმართ ჩემი დამოკიდებულება ასეთია – ეს არის ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც სულიერებასა და შთაგონებაზეა დამყარებული. იგი იმდენად გაითავისა ქართველმა ხალხმა, რომ თითქმის სახალხო ნაწარმოებად იქცა, ამიტომაც არის იგი უკვდავი.

რაც შეეხება ჩემს მიერ „აბესალომ და ეთერის“ პოლონეთში დადგმას... თბილისში დიდი უსიამოვნების შემდეგ, იძულებული გავხდი საზღვარგარეთ წავსულიყავი. გარკვეული პოლიტიკის გამო, იქ წასაღებად სწორედ ეს ოპერა შევარჩიე. ვიცოდი, რომ თუ ამ ნაწარმოებით დავაინტერესებდი ევროპას და მას დავდგამდი, ცუდიც რომ გამომსვლოდა, ქართველები მაინც კმაყოფილები დარჩებოდნენ, რადგან ეს „აბესალომ და ეთერის“ პირველი გასვლა იქნებოდა უცხოეთში, თანაც ჩემს სახელთან დაკავშირებული, ეს კი მყარ საფუძველს შემიქმნიდა უკან დასაბრუნებლად. სხვათა შორის, ასეც მოხდა. პოლონეთში დადგმული „აბესალომი“ იმდენად გახმაურდა, რომ როცა შევარდნაძე ცეკას

ჯანსუღ კახიძე, დავით თორაძე, არამ ხაჩატურიანი.

მდივანი გახდა, უკითხავს – სად არის კახიძე, რა უნდა საზღვარგარეთ, ბევრი გვყავს მაგისთანა დირიჟორიო? ჩამოიყვანეთ და მიეცით საშუალება იმუშაოსო.

მართალია, ვამბობ, რომ „აბესალომი“ გარკვეული პოლიტიკისათვის ავირჩიე, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ვერანაირ პოლიტიკას საკმარისი საფუძვლის გარეშე ვერ გაატარებ. ყოველთვის მჯეროდა, რომ ფალიაშვილის მუსიკაში არის ის მუხტი, რომელიც უცხოელებს დააინტერესებდა და უბედნიერესი კაცი ვიყავი, როცა ეს გამართლდა. ევროპაში ვინც კი ეს ოპერა მოისმინა, აღიარა და გაოცებული ამბობდა – რა არის, ჩვენ მხოლოდ „ბორის გოდუნოვს“ და „თავად იგორს“ ვიცნობდით, სად იყო ეს ნაწარმოები აქამდე, რატომ არ იცნობს მთელი მსოფლიოო.

ვერ წარმოიდგენთ, რა სიძნელეები გადავიტანე პოლონეთში „აბესალომის“ დადგმასთან დაკავშირებით – მთელი ოპერა პოლონურად ვთარგმნეთ, მომღერლებს შევასწავლეთ და ბოლოს „ქართულში“ დოლის დამკვრელი რომ ვერ ვიშოვეთ, დოლზეც მე ვუკრავდი, თან ვდირიჟორობდი, თან ვუკრავდი, მაგრამ ეს სპექტაკლი უნდა შემდგარიყო და შედგა. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკამ კი არა, საოცარმა ქართულმა ძარღვმა გაიმარჯვა და უდიდესი აღიარება ჰპოვა. ამიტომაც არის ეს ნაწარმოები უკვდავი.

ც.ჯ. – ბატონო ჯანსუღ, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ჩვენი თეატრის მე-200 საიუბილეო სეზონს მოესწრებით. მოდით დღევანდელი დღე ისტორიის კუთვნილებად ვაქციოთ – დღეს 2001 წლის 11 აგვისტოს, შაბათს, დღის 2-ის ნახევარზე, თქვენს კაბინეტში რას ეტყვით და რას უსურვებთ იმ პიროვნებას, რომელიც 50 წლის შემდეგ ჩვენი თეატრის მთავარი დირიჟორი იქნება და მე-200 სეზონს გახსნის (შეიძლება ის ჯერ დაბადებულიც არ არის).

ჯ.კ. — (ეღიმება) მე ნამდვილად ვერ მოვესწრები... (დაფიქრებით) უნდა გითხრათ, რომ ეს „თანამდებობა“ საკმაოდ სტერეოტიპული გახდა. საოპერო ხელოვნება ურთულესი სამყაროა. ყველა ეპოქას, ყველა პერიოდს, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მართალია ყველაფერი შედარებითია, მაგრამ არიან შემოქმედნი, რომელთა ღვაწლის შეფასებაც შეუძლებელია, მათ არსებობას ხელოვნებაში შეიძლება მხოლოდ ფენომენალური ეწოდოს. მაგალითად „ლა სკალა“ უპირველესი საოპერო თეატრია, რომლის ისტორიაში ტოსკანინის პერიოდი გამორჩეულია. მას შემდეგ უამრავი კარგი დირიჟორი მივიდა „ლა სკალაში“. აბადოც იყო, რიკარდო მუტიც, ყველანი მთავარი დირიჟორები იყვნენ, ყველამ რაღაც ახლებური გააკეთა, მაგრამ ტოსკანინის შემდეგ 70 წელი გავიდა, ეს დრო მაინც შეუვსებელი დარჩა. ასეთივე იყო მალერის მოღვაწეობის 10 წელი ვენის თეატრში. მის შემდეგ ვენის თეატრი თავის გზას აგრძელებს, ბევრი კარგი დირიჟორიც მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ მალერის პერიოდი რჩება ოქროს ხანად. დღეს ვენის თეატრი ერთ-ერთ ჩვეულებრივ თეატრად მიმაჩნია. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში შეიძლება ჩვენი თეატრი თავისი აღტკინებით უფრო მაღლა იდგეს (როცა აქ ყველა კომპონენტი თავის ადგილზეა), ანდა ტყუილად კი არ ვახსენე ჩვენი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც მსოფლიო მოვლენად იქცა. შეიძლება კიდევ 1-2 საუკუნე დასჭირდეს ჭაბუკიანის გამოჩენას, თუმცა ბალეტიც იარსებებს და მის მიერ შექმნილი ქორეოგრაფიაც.

ის პიროვნება, ვისაც 50 წლის შედეგ ჩვენი თეატრის მთავარი დირიჟორობა უწერია, მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს თავისი ადგილის დამკვიდრებას, თუ თვითონ იქნება მთლიანი პიროვნება თუ კარგად შეისწავლის, გაანალიზებს, გაითავისებს და დააფასებს იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ, რაც მე გავაკეთე. ვუსურვებ, რომ სწორედ წინამორბედთა ღვაწლის გათვალისწინებით დასახოს განვითარების ის გზები, რომელიც ჩვენს თეატრს აიყვანს და საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს. სამწუხაროდ, ჩვენ, ვერც ერთმა თაობამ, ეს ვერ მოვახერხეთ. ჩვენი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, რომ

ვფიქრობ — საჭიროა კი დღევანდელ საქართველოში ოპერა? ოპერა ხომ უაღრესად დახვეწილი, ფუფუნების ხელოვნებაა, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება. თუ ასეთი ყოფა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ისე დაიშლება ყველაფერი, რომ მის აღდგენას კიდევ ერთი ნახევარი საუკუნე მაინც დასჭირდება... (ფიქრობს) კეთილი სურვილები ყველაზე ადვილი გამოსათქმელია. იმ პიროვნებას კი, ჩემს მომავალ კოლეგას (ეღიმება) ვუსურვებ, რომ იყოს ძლიერი, მობილიზებული, განსწავლული, მტკიცე ხასიათის, ღრმა პროფესიონალი, თავისი საქმისადმი ერთგული და თავდადებული და თუ ის ასეთი იქნება, მაშინ ჩემი სული მის გვერდით იტრიალებს...

P.S. ამ ინტერვიუდან ექვს თვეში ბატონი ჯანო გარდაიცვალა.

დაუვიწყარი შეხვედრები

ოთარ ტატიშვილი

თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტის სერგეი ბაბაიანის ტალანტმა. მან დიდი პატივი დასდო თბილისის მუსიკალურ საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილებით, შეესრულებინა ი. ს. ბახის კარგად ტემპერირებული კლავირის პირველი ტომი სრულად (24 პრელუდია და ფუგა) — ეს ურთულესი, ყველა მუსიკოსისათვის ძნელად გადასალახი ქვაკუთხედი. მასთან საუბარში გავარკვიე, რომ ის ამას ყველგან არ აკეთებს, არ რისკავს, რადგან მისი მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან გამომდინარე მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე, იცის, თუ სად მოისმენენ ყურადღებით და სიღრმისეულად ინტელექტუალური, პოლიფონიური მუსიკის მწვერვალს. გარდა ამისა, ამ ვრცელი, ურთულესი პროგრამის ნონ-სტოპით შესრულება დიდი რისკი და გმირობაა, რასაც თითზე ჩამოსათვლელი მუსიკოსები ბედავენ, დღევანდელ მსოფლიოს საკონცერტო დარბაზებში.

სერგეი უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩამოდის საქართველოში. ის სიამოვნებით მონაწილეობს კლასიკური მუსიკის უკვე ტრადიციულ და ყოველწლიურ, ყველასათვის საყვარელ ფესტივალში „აღდგომიდან ამაღლებამდე". მან ძალიან შეიყვარა საქართველო თავისი ეროვნული და კულტურული ტრადიციებით, შეიძინა ბევრი თაყვანისმცემელი. საქართველოსთან ასეთი სიახლოვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი საუკეთესო მეგობარი და ჩვენი სასახელო და სასიქადულო, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსი, პიანისტი, შესანიშნავი ადამიანი ალექსანდრე კორსანტია გახლავთ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ამ არაჩვეულებრივი ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია. ბატონი ალეექსანდრე კორსანტია წლების მანძილზე ცდილობს საქართველოში ჩამოიყვანოს როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილი, ასევე ნაკლებად ცნობილი უძლიერესი და საინტერესო შემსრულებლები. შემდგომში კი ისინი სასურველ და სანატრელ არტისტებად იქცევიან ქართველი მსმენელისთვის.

წლები მაკავშირებს უკვე ამ ფესტივალთან. ვცდილობ დავესწრო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული კონცერტების უმეტესობას და ხშირად ვმონაწილეობ კიდეც, როგორც ავტორი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ფესტივალის ორგანიატორებს, ქალბატონებს — მანანა ხვედელიძეს, მანანა დავითაშვილს, ირინა სახამბერიძეს და რაც მთავარია, ბატონებს — ალექანდრე კორსანტიას და ლაშა ჟვანიას, ფესტივალს დიდი მადლს ჰფენს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევა და პატრონაჟი. ფესტივალის სახელი კი "აღდგომიდან ამაღლებამდე" კიდევ უფრო აძლიერებს მონაწილეთა პასუხისმგებლობის გრძნობას, როგორც მედიატორისა, მსმენელსა და ხელოვნებას შორის. ხელოვნება, ამ შემთხვევაში კლასიკური მუსიკა, გვევლინება ადამიანის სულის სრულყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მასაზრდოებელ წყაროდ. სასიხარულოა ის, რო ყოველ წელს ფესტივალი ძალას იკრებს და საინტერესო სიახლეებით მდიდრდება. სასიხარულო და მნიშვნელოვანია ისიც, რომ სულ უფრო და უფრო მეტად ჟღერს ფესტივალზე ქართული მუსიკა, როგორც წინა პერიოდის, ისე თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები.

2015 წელს, ფესტივალის ფარგლებში, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი! ჩატარდა სამი თანამედროვე კომპოზიტორის (ელიზბარ ლომდარიძე, გიორგი შავერზაშვილი, ოთარ ტატიშვილი) საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ბატონ ალექსანდრე კორსანტიას და ფესტივალის ყველა ორგანიზატორს ამისთვის.

ფესტივალი ხელს უწყობს ახალი ურთიერთობების, შემოქმედებითი და პირადი კონტაქტების დამყარებას.

მე პირადად ამ ფესტივალს ვუმადლი ძალიან ძვირფასი მეგობრების შეძენას. მაგალითად, ამ წლების მანძილზე დავმეგობრდი სერგეი ბაბაიანთან. ის მესტუმრა კიდეც შინ და მეგობრულ წრეში შეასრულა ჩემი ერთ-ერთი საფორტეპიანო პიესა.. თან დასძინა, Я уже полюбил это произведение! ჩემთვის ეს დიდი პატივი გახლდათ. ის არაჩვეულებრივად საინტერესო მოსაუბრეა. ბუნებრივია, ასეთი რანგის მუსიკოსს, უმეტესად საკუთარი ხედვა და შეფასების კრიტერიუმი გააჩნია. ის არ გახლავთ საკუთარ თავში და სამყაროში ჩაკეტილი პიროვნება. უყვარს ხალხთან ურთიერთობა, ყოფით საკითხებსა თუ მაღალ მატერიებზე საუბარი, თუმცა კარგად იცის დროის ფასი და საკუთარ საქმესთან დამოკიდებულებაში უაღრესი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა ახასიათებს.

სერგეი ბაბაიანი, ოთარ ტატიშვილი

რამდენააც ვიცი, ამჯერად ფესტივალზე უნდა ჩამოსულიყო ბაბაიანის ყოფილი მოწაფე, ახლა უკვე მისი კოლეგა და მეგობარი, დღეს ერთ-ერთ საუკეთესო პიანისტად მიჩნეული და მიღებული მსოფლიოს ყველა საკონცერტო დარბაზში, ჩაიკოვსკის I პრემიის ლაურეატი დანილ ტრიფონოვი. მას ქართველი კლასიკური მუსიკის მოყვარულები კარგად იცნობენ და დიდი ინტერესით ელოდნენ, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისი ვიზიტი თბილისში ამჯერად ვერ შედგა. იმედია, მომავალში დანილ ტრიფონოვიც აუცილებლად გვეწვევა.

რიგით მე-11 ფესტივალის ფარგლებში არაერთი დაუვიწყარი და შთამბეჭდავი საღამო გაიმართა. მაგალითად, ჯ. ვერდის „დონ-კარლოსის" საკონცერტო შესრულება ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, შესანიშნავი ქართველი და უცხოელი მომღერლების მონაწილეობით. ასევე უნიკალური მუსიკოსის, პერკუსიონისტის ხენ ციმბალისტას გამოსვლა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. ფესტივალზე შესანიშნავად ჟღერდა სამების ტაძრის გუნდი, სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით. დამაგვირგვინებელ კონცერტზე, ალექსანდრე კორანტიამ ბრწყინვალედ შეასრულა ს. პროკოფიევის ერთ-ერთი შედევრი, მე-3 საფორტეპიანო კონცერტი. სამწუხაროდ, რეგიონებში ჩატარებულ საღამოებს ვერ დავესწარი, რაზეც ძალაინ მწყდება გული. სხვადასხვა, უჩვეულო გარემოში ხომ მუსიკაც სხვანაირად აღიქმება და სხვავვარად გამახსოვრებინებს თავს.

ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე", მის მეგობრებს, განსაკუთრებით კი სერგეი ბაბაიანს ვუსურვებ დღეგრძელობას და მომავალ წარმატებებს.

დარწმუნებული ვარ, პროფესიული მუსიკის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს მომავალშიც არაერთი მუსიკალური ზეიმი ელით. რამდენადაც ვიცი, მიუხედავად თავდაუზოგავი, დამღლელი შრომისა და გარჯისა, ფესტივალის ორგანიზატორები უკვე შეუდგნენ მომავალი წლის საკონცერტო პროგრამების შედგენას. ვფიქრობ, ასეთი მონდომებისა და ერთგულების წყალობით, ფესტივალის ხარისხი, მისი მასშტაბი უთუოდ გაიზრდება და მისდამი ინტერესი არ განელდება. მჯერა, რომ "აღდგომიდან ამაღლებამდე" კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება ქართველი მსმენელისათვის. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, კლასიკური და კერძოდ, ქართული პროფესიული მუსიკის მომავლისათვის.

მანანა დოლიძე-ანდრიაძისა

გიორგი კრავეიშვილი

წელს ქალბატონ მანანა ანდრიაძის დაბადებიდან 65 წელი შესრულდა. 11 მაისს ამ თარიღსვე მიეძღვნა მესამე სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის პრობლემები“. კონფერენციას თან ახლდა კონცერტიც სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდის, თბილისის კონსერვატორიის მგალობელთა სტუდენტური გუნდისა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური გუნდის მონაწილეობით. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ ეკატერინე ონიანი, თამარ ჩხეიძე, ხათუნა მანაგაძე და სხვა მკვლევარები.

მანანა ანდრიაძე თბილისში 2013 წლის 19 თებერვალს ხანგრძლივი ავამდყოფობის შედეგად გარდაიცვალა, 2014 წელს გამოვიდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი „გახსენება“, ქართულ და რუსულ ენებზე (რედაქტორ-შემდგენელი მარინა ქავთარაძე; რუსული თარგმანი ნინო წითლანაძე).

წიგნში, სადაც 60-მდე ავტორი (მათ შორის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები) დიდი სიყვარულით და დანანებით იხსენებს მას, მოთხრობილია მის ღვაწლზე, იშვიათ ადამიანურ თვისებებზე. მარტო აქ წარმოდგენილი სტატიების სათაურების თვალის გადავლებითაც კი იქმნება ქალბატონი მანანას პიროვნული პორტრეტი: „მისი სახელი სინათლის და სიკეთის სიმბოლოა“, „უფაქიზესი სულის პიროვნება“, „ღირსეულად განვლილი ცხოვრება“, „ჩემი ცხოვრების მასწავლებელი“, „ადამიანი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია“, „სულიერი და ხორციელი სილამაზით შემკული ქალბატონი“, „ასეთი ადამიანები ახლოს არიან ღმერთთან“, „გამორჩეული“, „ჭეშმარიტი ინტელიგენტი“, „ღიმილიანი ქალბატონი“, „ადამიანი, რომელმაც ბევრის გაკეთება მოასწრო“... მოცემული წერილებიდან იკვეთება საერთო აზრი, რომ მანანა ანდრიაძის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი. აღსანიშნავია, რომ წიგნს თან ახლავს ვიდეოდისკიც, რომელიც მის ცხოვრებას ასახავს. ერთადერთი შენიშვნა, რაც მაქვს პირადად ამ გამოცემის მიმართ, არის ის, რომ ბევრი ფოტო, სამწუხაროდ, შავ-თეთრია, რაც წიგნის ხარისხზე, ვფიქრობ რომ, ცოტა უარყოფითად აისახება, თუმცა ეს სრულიადაც არ აკნინებს იმ ტიტანურ შრომას, რაც ამ წიგნშია ჩადებული. როდესაც ამ ნაშრომს გავეცანი, გადავწყვიტე, რომ ქალბატონი მანანას შესახებ პატარა „გახსენება“ მეც დამეწერა. ჩვენს ჯგუფს ივი, 2009-2010 წლებში, მუსიკალური ფორმის ანალიზს ასწავლიდა და ამრიგად, საშუალება გვქონდა ახლოს გაგვეცნო ივი. სამწუხაროდ, ჩვენ მისი ბოლო ჯგუფი ვიყავით. ქართულ პრესაში მანანა დოლიძე-ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, მათ შორის ჟურნალ “მუსიკაში” (2013, №3), დიმიტრი თუმანიშვილის. ჩე-

მი წერილის დაბეჭდვა იმხანად ვერ მოხერხდა, და ამიტომ მცირეოდენი სახეცვლილებით ახლა გთავაზობთ.

შესავლის ბოლოს, ინფორმაციის სახით მინდა აღვნიშნო, რომ გამოიცა მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი 2014 წლის კონფერენციის მასალები „საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები, სერიიდან „მუსიკისმცოდნეობის საკითხები“ (სამეცნიერო შრომების კრებული). გამოცემაზე მუშაობდნენ რედაქტორთა ჯგუფი: თამარ ჩხეიძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მარიკა ნადარეიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქეთევან ბაქრაძე, მანანა ტაბიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ლიტერატურული რედაქტორი), მაია კაჭკაჭიშვილი (ინგლისურენოვანი ანოტაციების რედაქტორი). ასევე რეცენზენტები: ეკატერინე ონიანი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და აწ განსვენებული დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. ვიმედოვნებ, რომ დღის სინათლეს მალე იხილავს თავად მანანა დოლიძე-ანდრიაძის შრომათა კრებული (ან ტომეულები).

ქალბატონ მანანას სანამ ახლოს გავიცნობდი, რატომღაც საკმაოდ მკაცრ და პირქუშ პიროვნებად მყავდა წარმოდგენილი. ეს „შთაბეჭდილება“ პირველივე ლექციაზე ნათქვამმა სიტყვებმაც გამიმძაფრა, მან განაცხადა, რომ შემდეგში 10 წუთის შემდეგ კარებს ჩაკეტავდა და ვერავინ ვეღარ შემოვიდოდა. თავიდან სიმკაცრედ მივიჩნიე, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, ივი ამ შემთხვევაშიც მართალი იყო.

პირველივე ლექციებზე დავრწმუნდი, რომ ქალბატონი მანანა, მართალია, უაღრესად პრინციპული და ზოგჯერ საკმაოდ მკაცრი, მაგრამ, სამართლიანი და თბილი პიროვნება იყო. არ მახსოვს შემთხვევა დაღლილობის გამო ვინმეს მიღებაზე უარი ეთქვას ან თავისი თანამდებობიდან (პრორექტორის – გ. კ.) გამომდინარე ცხვირი აებზუებინოს. უაღრესად გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მას ყოველთვის შეეძლო სტუდენტი მიეღო და შესაბამისი პასუხიც გაეცა. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვან. ერთ-ერთი საკითხის ირგვლივ (თუ არ ვცდები საქმე ფაქტურას ეხებოდა) რამდენიმე შეკითხვა მქონდა და მივედი ქალბატონ მანანასთან, მან ბოდიში მომიხადა – ახლა ექვსის ნახევარია და სასწრაფოდ რექტორთან ვარ შესასვლელიო, მაგრამ საათს შეხედა და უცებ თქვა: – გიორგი, მოდი, 5 წუთი დრო მაქვს და მკითხე რაც გაინტერესებსო. –

მე ვუთხარი — ქალბატონო მანანა, დაღლილი იქნებით დაისვენეთ, ხვალ მოვალ-მეთქი, — მან კი მიპასუხა — არა, გიორგი, რადგან მოხვედი, მკითხე, რაც გაინტერესებსო, — ვკითხე და დაუზარებლად, მოკლედ გამაგებინა ყველაფერი. მისგან სიტყვა „დავიღალე" მხოლოდ ორჯერ გავიგონე, ერთხელ, როდესაც უკიდურესად გადაღლილმა მითხრა: —გიორგი, გთხოვ, ხვალ მოდიო. თურმე იმ დღეს იმდენი შეხვედრა ჰქონია, რომ წესიერად ჭამაც კი ვერ მოუსწრია. მეორეჯერ კი მისი დაღლა მაშინ გავიგეთ, როდესაც უკვე ავად იყო.

2010 წლის შემოდგომაზე მოულოდნელად შევიტყვეთ, რომ ქალბატონი მანანა ავამდმყოფობის გამო სამკურნალოდ ჩინეთში მიემგზავრებოდა. მას მერე, 2011 წლის დასაწყისში კონსერვატორიის შესასვლელში სრულიად შემთხვევით შევხვდი, იგი ჩინეთიდან ახლადდაბრუნებული იყო. მართალია, შემართება კვლავ ძველებური ჰქონდა, მაგრამ ფიზიკურად უკვე მოტეხილიყო. საუბარი უჭირდა ... მოვიკითხე, გამოჯანმრთელება ვუსურვე, მანაც წარმატებები მისურვა და ბოლოს დააყოლა — მაპატიე, გიორგი, მეტს ვერ დაგელაპარაკები, დავიღალეო და გაემართა რექტორის მისაღებისკენ. მე იგი უკვე აღარ მინახავს.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუკი აღვნიშნავ, რომ შრომისმოყვარეობას, სამართლიანობასა და სათნოებასთან ერთად ქ-ნ მანანას იუმორიც უხვად ჰქონდა მონიჭებული. ერთხელ მას სამჯერ მივაკითხე, ორ მისვალზე არ დამხვდა (შეხვედრაზე იყო გასული), მესამე მისვლაზე კი უკვე კაბინეტში იჯდა. მითხრა: — რა ვქნა, გიორგი, რექტორი კაბინეტში ზის, პრორექტორები კი დავრბივართო, — მე კი ვუპასუხე: — არ სჯობს, რომ თქვენ იყოთ რექტორი-მეთქი? — მან კი სიცილით მომიგო: — რავა, რო კაბინეტში შემომისახლდე? — გამოგიტყდებით, იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ფრაზა, რომ იუმორს ვერ მივხვდი და შენიშვნად მივიღე. არაფერი მითქვამს, თუმცა გავშრი, ის კი სიცილს აგრძელებდა და პირველ წინადადებას მეორეც მკვრცხლად მოაყოლა: ახლა რომ შემოგიშვა, ხომ აღარ გახვალ აქედან? — ეს იყო და სიცილი მეც ამიტყდა, ორივემ გულიანად ვიცინეთ, შემდეგ კი საქმეზე გადავედით.

ერთხელ ქალბატონი მანანა ბიბლიოთეკაში ჩამოვიდა და გაგვაფრთხილა, რომ 10 წუთის შემდეგ ავსულიყავით ლექციაზე. როცა გავიდა ეს 10 წუთი, უცებ თავს დამადგა ბიბლიოთეკის მაშინდელი გამგე გენრიეტა (კუკუნი) ესებუა და მითხრა, რომ მანანა დოლიძე მიბარებდა. მე როდესაც ვუთხარი, რომ ასეთ პიროვნებას არ ვიცნობდი, ქალბატონმა კუკუნიმ ჩვეული სიფიცხით მითხრა: — აქ 10 წუთის წინ არ იყოო?! — მე კი ჩემ ცოდნაში დარწმუნებულმა მივუგე: — აჰა, შეგშლიათ, ეგ ხომ ანდრიაძეა-მეთქი, — შეშლით შენ გეშლებაო, — ეგრევე მითხრა, — არ იცოდი, რომ ანდრიაძე მისი მეუღლე გივია, თავისი გვარი კი დოლიძეაო? ქალბატონმა გენრიეტამ ჩემ სახეზე გაოცება რომ ამოიკითხა, — მითხრა, — არ მეგონა თუ არ იცოდიო. როდესაც ქალბატონ მანანასთან ავედი კაბინეტში და ეს მოვუყევი, მან იცოდა რა ჩემი ცნობისმოყვარეობის ამბავი, სიცილით მომიგო: — გიორგი, ეს როგორ გამოგეპარა? — ეს ამბავი ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო, ვინაიდან მთელი კონსერვატორია მას ანდრიაძის გვარით იხსენიებდა. ამ ამბიდან მალე ქალბატონმა მანანამ მთხოვა ბიბლიოთეკაში თავისი მოწმობის ამოტანა, სურათს რომ დავხედე, — ვუთხარი: — ახალგაზრდობაშიც რა სიმპათიური ყოფილხართ—მეთქი, — გაეღიმა.

მინდა დავუბრუნდე იმ შემთხვევას, როდესაც მე მისგან პირველად გავიგე სიტყვა ,,დავიღალე". მახსოვს, სახლამდე რომ მივაცილე, ვუთხარი, — ახლა კი დაისვენებთ-მეთქი, — მან ღიმილით გადმომხედა და მითხრა — გგონია, ვისვენებ? — აბა, ჩემს შვილიშვილს ჰკითხე, თუ ვისვენებო.

ვწუხვარ, რომ მისი სიცოცხლე მცირე დროს მოიცავს (1951 წლის 12 მაისი – 2013 წლის 19 თებერვალი), მაგრამ იგი ნათელი პიროვნება იყო და ასეთად დარჩება იგი ჩემთვის სიცოცხლის ბოლომდე.

ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

გურაგ ოიკაშვილი

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე) არსებობის 47 წლის მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციას არ ღალატობს და უწინარეს პრიორიტეტად ქართველი კომპოზიტორების ქმნილებათა სასცენო ცხოვრების ხელშეწყობას მიიჩნევს, რაც 47-ე თეატრალურმა სეზონმაც ცხადჰყო — დეკემბერში შედგა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა (რომლის თაობაზე იხ. „მუსიკის“ წინა ნომერში მანანა ახმეტელისა და კახა ცაბაძის შეფასებები), 3 ივნისს კი თეატრმა ოთარ თაქთაქიშვილის ლირიკულ-კომიკური ოპერის „პირველი სიყვარულის“ პრემიერა წარმოადგინა.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერას „პირველ სიყვარულს“, რომელიც 1979 წელს შეიქმნა (თბილისის ოპერის თეატრში პრემიერა 1980 წლის 30 დეკემბერს შედგა), საფუძვლად დაედო რეზო გაბრიაძის ლიბრეტო, შექმნილი მისივე მოთხრობის „უცხო ჩიტის“ მიხედვით (მანამდე კი, 1973 წელს, ეს მოთხრობა საფუძვლად დაედო ელდარ შენგელაიას ცნობილი ფილმის „შერეკილების“ კინოსცენარს).

გამოჩენილი ქართველი მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძე ასე აფასებს „პირველ სიყვარულს“: „ოპერა გამოირჩევა მელოდიური კონცენტრირებულობით, ფაქტურის სიმკვეთრით, მუსიკალური ენის დემოკრატიულობით. „პირველი სიყვარული“ საინტერესოა, ყოფითი კომიკური პერიპეტიისა და ფანტასტიკური სიმბოლიკის, სერიოზულისა და პაროდიულის, ბანალური-

სა და ამაღლებულის, ერთი შეხედვით, პარადოქსული შეხამებით. შესაბამისად, მუსიკალური დრამატურგია დაფუძნებულია სრულფასოვანი, დასრულებული მუსიკალური ნომრების მიმდევრობაზე".

ქართული მუსიკის დიდოსტატი ოთარ თაქთაქიშვილი კი თავის ოპერა „პირველ სიყვარულთან" და-

სცენა სპექტაკლიდან

კავშირებით აღნიშნავდა: „ოპერა ეძღვნება მათ, ვინც ისწრაფვის თავი დააღწიოს მდაბალ გრძნობათა ობივატელურ სამყაროს, ვინც მიისწრაფვის მშვენიერებისა და ამაღლებულისაკენ. ოპერა დასცინის დღემოკლე, მწირი მიზნებით გატაცებულ ადამიანებს, ცდილობს დიდების კვარცხლბეკზე აიყვანოს პიროვნებები, რომელთათვისაც გატაცება, ოცნება და ნათელი სიყვარულია უპირველესი".

„პირველი სიყვარული" ქუთაისში 1991 წელს დაიდგა დირიჟორ მალხაზ კობახიძის, რეჟისორ ლერი პაქსაშვილის, მხატვარ თემურ არსენიძის, ქორეოგრაფ ასლან იუსუპოვის მიერ. ამჯერად თეატრმა სწორედ 1991 წელს დადგმული სპექტაკლის აღდგენილი და განახლებული ვერსია შესთავაზა მსმენელებს. „პირველი სიყვარულის" აღდგენა-განახლებაზე იმუშავა შემოქმედებითმა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით — რევაზ ჯავახიშვილი (დირიჟორი), მაია გაჩეჩილაძე (რეჟისორი), თემურ არსენიძე (მხატვარი), ვახტანგ უშვერიძე (ქორეოგრაფი).

„პირველი სიყვარულის" საპრემიერო შესრულებაში ქუთაისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორის რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ თეატრის სხვადასხვა თაობის სოლისტები: ნაირა კიკოლიაშვილი (მარგალიტა ამყოლაძე), ემილ ჩარგაზია (ტრიფონია დამყოლაძე), რამაზ კუბლაშვილი (ერთაოზი), კალისტრატე ხარჩილავა (ხუტა ოდიშარია), იავო ბუხრიკიძე (ნოშრევან კუჭუხიძე), მიხეილ ქებაძე (იტალიელი ნეგოციანტი), ჟანეტა მაჩალაძე (ტელეგრაფისტი ღერონტი), ლაშა თითბერიძე (ქრისტეფორე მგალობლიშვილი), მოცეკვავე ანა ჩიქვილაძე (თამუნია), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი - ნათია გოგუაძე) და ორკესტრი.

თეატრის ყველა შემოქმედებითი სეგმენტისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მაქსიმალურმა მობილიზებამ და პროფესიონალიზმმა შედეგი გამოიღო და პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, თეატრმა კი კიდევ ერთი ისეთი სარეპერტუარო სპექტაკლი შეიძინა, რომელსაც, ვფიქრობ, აუდიტორია არ მოაკლდება.

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს საინტერესო შემოქმედებითი გეგმები აქვს, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ერთს გაგიმხელთ — 5 ოქტომბერს თეატრალური სეზონის გახსნაზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური თანადგომით და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართება ჯუზეპე ვერდის „ტრავიატას" პრემიერა, რომლის მხატვრულ-სცენურ კონცეფციაზე დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი თემურ არსენიძე და ქორეოგრაფი ვახტანგ უშვერიძე მუშაობენ.

კიდევ ერთხელ „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის" თაობაზე

დიდი რეზონანსი მოჰყვა „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის" (ავტორ-შემდგენლები რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე) გამოცემას. "მუსიკის" წინა ნომერში გამოქვეყნდა ნაწილი გამოხმაურებებისა. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მუსიკოსების გამოსვლებს წიგნის პრეზენტაციაზე, როსტომ ჩხეიძის სიტყვას მისი საავტორო სატელევიზიო გადაცემიდან „წიგნის თარო", აგრეთვე ფეისბუკის გამოხმაურებას.

„ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის" პრეზენტაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, 17 თებერვალი, 2016



ვაჟა აზარაშვილი

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი: ეს არის ერთ-ერთი ბედნიერი დღე ჩვენთვის, იმიტომ, რომ ასეთი რამ ჩვენ დღემდე არ გვქონია. მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ქ-ნ რუსუდანს და ქ-ნ მზიას, რომლებმაც თავი გადადეს

ამ საქმისათვის, ასევე ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ საქმეს. ვულოცავ ყველას, მუსიკოსებს, არამუსიკოსებს, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ერის საგანძური.

ელდარ გეწაძე, მომღერალი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი: ექვსი დღეა რაც ვნახე ეს ნაშრომი და ექვსი დღეა მინდა ჩემი ბედნიერება გავუზიარო ყველას. მე მაქვს ასეთი თვისება: ამგვარ გა-



ᲔᲚᲓᲐᲠ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ

მოცემაში პირველად უნდა ვნახო ის ადამიანი, ვინც არის ჩემთვის ძვირფასი. ამ შემთხვევაში პირველად გადავშალე, და, რა თქმა უნდა, ვნახე ... ჩემი თავი, მერე ვნახე ჩემი მეუღლე. მერე ჩემი პედაგოგი დათიკო ანდღულაძე და ჩემი სამეგობრო. მერე დამებადა პატარა ეშმაკობანი, ვნახე ადამიანები, რომლებიც მე მეამაყება და პირველი ვნახე ფილიმონ ქორიძე. სხვათა შორის, პირად საუბარში რუსუდანს ვუთხარი, რომ (როცა უკვე ვიცოდი ამ წიგნის არსებობა), ტერეზა შტოლცი თუ გაგიგონია-მეთქი. ისე ამომწურავად მიპასუხა, გამიკვირდა. როცა მივედი და წიგნში ვნახე ადამიანის ბიოგრაფია, რომელიც მე მეამაყება, იმიტომ, რომ შტოლცი იყო ვერდის ყველაზე საყვარელი მომღერალი ქალი და მისი დებიუტი სწორედ ჩვენ საოპერო სცენაზე შედგა. რატომღაც ვფიქრობ, რომ ჩვენ საზოგადოებას დღეს ესირცხვება შალიაპინის ხსენება, არის ასეთი ხალხი. ვერაფრით ვერ დავიყოლიე ვერავინ, რომ თქვან, დაიბადა იქ, სადაც დაიბადა, მაგრამ მუსიკოსი შალიაპინი ხომ დაიბადა თბილისში. ვინც ჩამოდიოდა თბილისის საოპერო თეატრში, ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული, სულ ყველა პირად საუბარში ამბობდა ხოლმე, რომ „შალიაპინის აჩრდილი დავინახე კორიდორში“-ო. ეს ჩვენი თეატრის დიდი წონაა და მე მიხარია, რომ ამ წონის თეატრში უკვე სამ ათეულ წელზე მეტია ვმოღვაწეობ. მე მყავს გაბნეული მეგობრები სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და დიდი სიამოვნება მივიღე, რომ ისინი, ვინც ჩემთან ერთად იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დღესდღეობით, რაღაც გაუგებრობის გამო, ვითომ სხვაგან არიან, წიგნში ყველას თავიანთი ადგილი აქვს მიჩენილი. ასევე ის ადამიანები, რომლებიც დღეს აქ არ არიან, მაგრამ დაბადებული არიან ამ ჩვენს მიწაზე და, სხვათა შორის, მათ ეამაყებათ, რომ ისინი აქ ცხოვრობდნენ. ჩვენ რატომ უნდა დავკარგოთ ეს ხალხი? და მე მინდა მადლობა გადავუხადო წიგნის ავტორ-შემდგენლებს, რომ ეს ხალხი კი არ დავკარგეთ, არამედ ძალიან ძვირფასი ადგილი მიუჩინა ამ ორმა ქალბატონმა ამ უზარმაზარ ნაშრომში. რომ გითხრათ მთლიანად წაკითხე — მოგატყუებთ, მაგრამ, რომ გადავხედე, დავიწყე გადაშლა, რაღაც წარმოუდგენელი რამაა! ერთს რომ ნახავ, მერე გინდა შეადარო იმას, იმას რომ ნახავ — შემდეგ ამას და ამაში ისე გადის დრო, ისე გადის დღე, ღამეც კი, რომ აბსოლუტურად შეუმჩნეველია და ტვინში სულ ერთი რაღაც გიტრიალებს — როგორ მოახერხეს ამდენი! როგორ მოახერხეს, იმიტომ ვამბობ, რომ მათ ეკუთვნით უდიდესი მადლობა არა მარტო ჩემგან, არამედ ჩვენი მომავლებისაგან, რომლებიც გადაშლიან ამას. მაგალითად, ჩემი მოწაფე ნახავს, რომ მე, თურმე, რაღაც გამიკეთებია, ჩემ პედაგოგს რაღაც გაუკეთებია. დიდი მადლობა ამ შრომისათვის. მინდა ასეთი რამ ვთქვათ, რომ ესენი არიან მემატიანეები და ვფიქრობ, რომ მომავალში ეს ორი ადამიანი დარჩება, როგორც მუსიკის დიდი მემატიანეები.

მანანა ახმეტელი, მუსიკისმცოდნე, , საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი : სამწუხაროდ, წიგნს ვერ გავეცანი კარგად, მაგრამ თვალის გადავლებითაც ნათელია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი შესაძენია, რომ ძალიან სერიოზული, თავდადებული ნამუშევარია, უაღრესად სკრუპულოზური შრომის შედეგია. საერთოდ ასეთია საენციკლოპედიო გამოცემების სპეციფიკა. საზოგადოდ, ფაქტია ძალიან მნიშვნელოვანი — რაც უფრო მეტი ენციკლოპედია, რაც უფრო მეტი ცნობარი, ამგვარი გამოცემა არსებობს, მით უფრო განათლებული და წიგნიერია ქვეყანა. სწორედ აქეთკენ მივყევართ ამ გამოცემასაც. რიგით ეს, მე მგონი, მეექვსე ენციკლოპედიაა. ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს ჩვენმა სახელოვანმა მუსიკოსმა ია კარგარეთელმა გამოსცა „მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი“, შემდეგ ამას მოჰყვა ქ-ნ თამარ დაფქვიაშვილის „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი“, შემდეგ ბ-ნ გრიგოლ ჩხიკვაძემ, შემდეგ ქ-მა ალისა ყიფშიძემ, ანზორ თამარაშვილმა, რომელიც ახალციხეში მოღვაწეობს, მაგრამ, ეს სრულიად განსხვავებულია ამ ნაშრომებისგან. მე ვიტყოდი — ეს არის ლექსიკონი-მემატიანე, რომელიც, გარდა იმისა, რომ არის მხოლოდ ქართულ მუსიკაზე კონცენტრირებული, ავტორები ძალიან ფართო კრიტერიუმით მიუდგნენ ამ საკითხს. მასში ჩანს დიდი კოლეგიალური ეთიკა, კოლეგების, მუსიკოსების მიმართ პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება, ერთგვარი მადლიერება ყველა ადამიანის მიმართ, ვინც ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში იღვაწა, მუშაობს, არავინ უყურადღებოდ არ დარჩენილა, ეს მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მათი შრომა დაფასდა. ამიტომაც მე გულწრფელად ვულოცავ ჩემ ძვირფას კოლეგებს, ქ-ნ რუსუდანს, ქ-ნ მზიას, რომლებიც ასე დგანან ჩვენი მუსიკალური კულტურის სადარაჯოზე და ასეთი შესანიშნავი გამოცემა შეგვძინეს. მადლობა მათ ასეთი თავდადებული, ასეთი უანგარო შრომისათვის. კიდევ ერთხელ გმადლობთ და კიდევ ერთხელ ვულოცავ ასეთ წარმატებული და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგს.

მანანა ახმეტელი

ლალი კაკულია, მუსიკისმცოდნე : დიდი მადლობა, რომ ნება მომეცით გამოვსულიყავი და ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა ამ წიგნის მიმართ. მართლაც, შეუძლებელია ეს წიგნი ხელში დაიკავო, გადაფურცლო და არ იგრძნო ძალიან დიდი სიხარული და მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ეს წიგნი შექმნეს. აქ ბევრი ისაუბრეს, მაგრამ, ამომწურავად ამ წიგნის ირგვლივ საუბარი ძალიან ძნელია. მისი მრავალმხრივობა, მართლაც რომ გაოცებას იწვევს. ყველა ის, ვისაც უმუშავია ამ ტიპის გამოცემებზე, იცის რა დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული მასალის მოგროვება. როგორა აქვს ამ ორ ავტორს გამოყენებული არსებული ენციკლოპედიები, არსებული ცნობარები, ცნობილი ლექსიკონები, ავტორების მითითებით და ყველაფრისმომცველად, დაწყებული სულხან-საბადან, დამთავრებული ჩვენი დღევანდელობით. წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ეს არის უპირველესი წყარო და ფასდაუდებელი ნაშრომი, იმიტომ, რომ ეს არის ბიძგი სამეცნიერო კვლევებისთვის და იმისთვის, რაც ვერ იყო მოპოვებული. წიგნი ისეა შედგენილი, რომ სამომავლოდ წარმართავს ახალგაზრდა

მკითხველის სურვილებს, მიზნებს იქითკენ, რომ ეს რაღაცნაირად ამოავსოს. გარდა იმისა, რომ თემატურად არის ყოვლისმომცველი, არის პროფესიული მუსიკა, ფოლკლორი, ესტრადა, ჯაზი, კინომუსიკა და სხვ., მითითებულია, რომელ მხატვარს ყავს დახატული ესა თუ ის პიროვნება, როგორაა ეს შესრულებული, ზეთში, გრაფიკაში თუ სხვა. მინდა ვთქვა, რომ ეს წიგნი არის ჩვენი სიამაყე, ჯერ როდის ამბობდა გივი ორჯონიკიძე,

ლალი კაკულია



გულბათ ტორაძე

რომ ასეთი წიგნი არის ერის კულტურის მაჩვენებელი. თუ გინდა, რომ რაიმე კვლევა ჩატარდეს, უპირველეს ყოვლისა, ცნობარები უნდა არსებობდეს კომპოზიტორების, მხატვრების, ჟანრების, და ეს ყველაფერი ჩვენს წინაშე არის და ჩვენი პროფესიის ხალხს ეს სამუშაო გაადვილებული აქვს. დიდი მადლობა ქ-ნ რუსუდანს და ქ-ნ მზიას, რომ ასეთი ფუნდამენტური გამოცემა დადეს. გარდა იმისა, რომ შინაარსობრივად არის ტევადი, ვიზუალურადაც მიმზიდველია, რაც მის წონას კიდევ უფრო აძლიერებს.

გულბათ ტორაძე, მუსიკისმცოდნე, მუსიკოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების ქურუმი: მე სრული შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს არის ძალიან ფუნდამენტური, რომ იტყვიან, სკრუპულოზური ნამუშევარი. პირდაპირ ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს! კიდევ უნდა დავუმატო ის, რომ ეს შესანიშნავი წიგნი პრწყინვალედ გამოსცა კულტურის სამინისტრომ. მადლობის მეტი რა გვეთქმის! კიდევ რისი თქმა შემიძლია — ის, რაც მე წავიკითხე, არის სავსებით კარგი, მაღალ დონეზე, როგორც ეკადრება და როგორც ამას იმსახურებს ქართული მუსიკა.

თამარ წულუკიძე, მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი: „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ წარდგენა, დიდი ზეიმი უნდა გახდეს მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოებისთვის, ყველა მუსიკოსისათვის, ყველა მუსიკის მოყვარულისათვის. ეს გახლავთ პირველი, უნიკალური მუსიკალური ენციკლოპედიური გამოცემა, რომელიც ეძღვნება ქართულ მუსიკალურ კულტურას. ჩვენ დღეს მოწმენი გავხდით ორი მუსიკისმცოდნის, ქ-ნი რუსუდან ქუთათელაძის და ქ-ნი მზია ჯაფარიძის თავდაუზოგა-

ვი ათწლიანი შრომის შედეგის. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ისინი არიან ის ადამიანები, რომლებიც შეებნენ ამ ვეებერთელა საქმეს, ვინაიდან, ყველას მოეხსენება ამ ორი ქალბატონის ცხოვრების მოწოდება, საზრისი, ეს გახლავთ ქართული მუსიკისადმი ერთგულება, ქართული მუსიკის სამსახური და სწორედ დღეს

თამარ წულუკიძე

ნინო გარკალაია

სახეზეა ასეთი ტიტანური შრომის შედეგი. დღეს ჩვენ მოწმენი ვხდებით, რომ საქართველოში მუსიკალური ხელოვნება პირველ ადგილზე აღმოჩნდა ხელოვნების დარგებს შორის, რომელსაც მიეძღვნა ასეთი ფუნდამენტური გამოცემა. მართალია, ხელოვნების სხვა დარგებშიც არის მცდელობა და მიდის მუშაობა განახორციელონ ასეთი საშური საქმე, მაგრამ, მუსიკალური ხელოვნება, ამ ავტორების წყალობით პირველ ადგილზე მოექცა. თუ რაოდენ დიდ სირთულეს წარმოადგენდა ამ საქმის გაძღოლა, ეს ყველაზე მეტად გასაგები იქნება იმათთვის, ვისაც, თუნდაც ერთი სტატია მაინც მოუმზადებია ენციკლოპედიური გამოცემისთვის. თუ რაოდენ სარგებელის მომტანი არის ეს საქმე, ყველაზე მეტად გასაგები იქნება იმისთვის, ვინც მუშაობის, კვლევის პროცესში წაწყდომია იმ სირთულეებს, რასაც წარმოადგენს ინფორმაციის მიუწვდომლობა, ინფორმაციის არარსებობა, ეს კი განსაკუთრებით ეხება ცალკეულ პიროვნებებს. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს გახლავთ ენციკლოპედიური გამოცემა, რომელიც ძალიან მრავალფეროვანი სპექტრით მოიცავს ქართულ მუსიკალურ კულტურას. ეს გახლავთ წიგნი, რომელშიც მოქცეულია ქართული მუსიკის წარსული, აწმყო და მომავალი, ვინაიდან ის განკუთვნილი არის სწორედ მომავლისათვის.

გამოხმაურება ფეისბუკის გვერდზე, 26 აპრილი, 2016.

ნინო ბარკალაია, პიანისტი, ორგანისტი, მუსიკისმცოდნე, საფრანგეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერი, უნივერსიტეტის „პარიზი 8“ ესთეტიკისა და მუსიკისმცოდნეობის დოცენტი, მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგი: მე მომართვეს საჩუქარი: „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2015“. ავტორები რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე.

მე მერგო უდიდესი პატივი აღმოვჩენილიყავი ამ ლექსიკონის ფურცლებზე ჩემი საყვარელი ქართველ-ებრაელი კომპოზიტორის იოსებ ბარდანაშვილისა და ბალანჩივაძე-ბალანჩინის სახელოვანი საგვარეულოს გვერდით. ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს... ამ გამოცემაში შეკუმშული ფორმითაა აღბეჭდილი ქართული აკადემიური და ფოლკლორული მუსიკის ისტორია. ავტორებისა და გამოცემის კონსულტანტების კოლოსალური შრომის შედეგად (რომელთა შორის მე მაქვს პატივი ვიცნობდე პროფესორ თამაზ გაბისონიას), ჩვენ ახლა გვაქვს შესაძლებლობა ერთი წყაროს საშუალებით მივიღოთ სარწმუნო და ავტორიტეტული ცნობები მოცემულ თემაზე. მე მადლობას ვუხდი ავტორებს, ღრმად პატივცემულ მზია ჯაფარიძეს და რუსუდან ქუთათელაძეს (გულწრფელად რომ ვთქვა, სიტყვებიც არ მყოფნის, ისეთი შთაბეჭდილებით ვარ აღსავსე !!!). ქ-ნი მზია ჯაფარიძის სიტყვებიდან ვიცი, რომ ახლა იწყება ახალი გამოცემის მზადება.

ტელეგადაცემა „წიგნის თარო“. 21 მაისი, 2016.

როსტომ ჩხეიძე, მწერალი, მკვლევარი: გადავიდეთ დიდი ბრიტანეთის ნახევარკუნძულზე და ერთი ლეგენდა გავიხსენოთ, ლეგენდა სასამართლო პროცესისა, როცა მსჯელობენ თუ რა სასტიკი სასჯელი გამოუტანონ დამნაშავეს: ციხე? — არ კმარა! გადასახლება? — არ კმარა! კატორღა? — არ კმარა! რაღაც განსაკუთრებული სასჯელი უნდა მოიფიქრონ და დაადგენენ: — მიესაჯოს ლექსიკონის შედგენა. ეს ცოტა პარადოქსული, ცოტა მხიარული, იუმორისტული ამბავია თითქოს, მაგრამ, ძალიან დიდი დრამატიზმით სავსე. ეს გადმოცემა, ეს ლეგენდა მიგვანიშნებს, როგორი ძნელი, როგორი დამთრგუნველია ლექსიკონის შედგენა და როგორი დასაფასებელი არიან პიროვნებანი, რომელნიც ლექსიკონის შედგენას მოკიდებენ ხელს და ბოლომდე მიიყვანენ. უმადური შრომაა, უმადური, მაგრამ აუცილებელი ქვეყნისათვის. ეს ამბავი გავიხსენე იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, გამოიცა „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, შემდგენლები რუსუდან ქუთათელაძე და მზია ჯაფარიძე. პროექტის მენეჯერი მიხეილ ოძელი. შეხედეთ, როგორი გრანდიოზული წიგნია შინაარსითაც, აგებულებითაც გრანდიოზულია. როგორია ამხელა წიგნის ლექსიკონად გაზრება, თავმოყრა უამრავი მასალისა, დალაგება, ეს მაშინ, როცა წინამორბედი არა გყავს. ისინი იხსნებენ, რომ 30-იან წლებში მუსიკოლოგმა გრიგოლ ჩხიკვაძემ თავი მოუყარა პრესაში გაფანტულ პუბლიკაციებს მუსიკის შესახებ და ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ამ მასალების თავმოყრით, ისეც არის, რომ თავის დროზე რამდენიმე ტომად თავმოყრილი წიგნები არ გამოცემულა და გარდა ამისა, მათ ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომელსაც გაითვალისწინებ ლექსიკონის შედგენისას, მაგრამ ის ლექსიკონი არ ყოფილა. რამდენიმე ათასი სტატია არის აქ თავმოყრილი. ზოგად შინაარსს შემდგენლები ასე გადმოგვცემენ: „გამოცემა შეიცავს ინფორმაციას ქართველ კომპოზიტორებზე, მუსიკისმცოდნეებზე, ოპერისა და ბალეტის არტისტებზე, ქართულ ხალხურ შემსრულებლებზე, მგალობლებზე, ღვაწლმოსილ პედაგოგებზე, ესტრადისა და ჯაზის მუსიკოსებზე, ვისაც წვლილი შეუტანია აღნიშნულ ჟანრებში. აგრეთვე, ხალხურ და აკადემიურ გუნდებს, ორკესტრებს, ანსამბლებს“.

ამასთან, საჭიროდ მიიჩნიეს, ჩაერთოთ იმ პროფესიის ადამიანებიც, რომელთა მოღვაწეობაც ქართულ მუსიკასთანაა დაკავშირებული: რეჟისორები, ბალეტმაისტერები, ქორმაისტერები, მოცეკვავეები, მხატვარ-სცენოგრაფები, მწერლები. „ენციკლოპედიაში“ ადგილი დაუთმეს საქართველოსთან და ქართულ მუსიკასთან დაკავშირებულ არაქართველ მუსიკოსებსაც. არაერთი ტერმინიც არის განმარტებული. აი, როგორი მრავალფეროვანი შინაარსი აქვს, ყველაფერს რომ მოიცავს და როგორი ძნელი იყო ამის შედგენა, როგორი ერუდიცია სჭირდებოდა და დამქანცველი შრომა.

როცა ლექსიკონის შედგენას იწყებენ, თავიდან ძალიან სახალისოც არის, მაგრამ მერე და მერე, ძალიან ძნელდება ეს ჯაფა და ლამის გამოეცალო. წარმომიდგენია, რამდენჯერ გადაწყვიტეს შემდგენლებმა, რომ ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე, მაგრამ მათმა შეუპოვრობამ საბოლოოდ თავისი გაიტანა და ეს შესანიშნავი

წიგნი გვიბოძა. მე დავესწარი ამ წიგნის წარდგინებას და უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც იქ მოვისმინე. გამოვიდნენ პროფესიონალები, რომლებმაც ცალკეული შენიშვნები გამოთქვეს, რაც ბუნებრივია. ამხელა წიგნი რომ შედგება, რანაირად შეიძლება, რომ იქ რაღაცა გულს არ დაგაკლდეს, იქ რაღაცის შევსება არ მოგინდეს, რაღაცის დაზუსტება, მაგრამ ის შენიშვნები გამოჩნდა ყოვლად უმნიშვნელო ამ გრანდიოზულ საქმესთან შედარებით. ყველამ აღნიშნა, რომ ძალიან დიდი ფაქტის მოწმენი ვართ, ეს ძალიან გამოადგებათ იმ ადამიანებს, რომელნიც გადაწყვეტენ, რომ სხვა დარგის ასეთივე ენციკლოპედიური ლექსიკონები შეადგინონ და ერთად რომ მოიყრის ეს ყველაფერი თავს, ახლა წარმოიდგინეთ, როგორ გადაიშლება და წარმოდგება ქართული კულტურის სურათი. რა თქმა უნდა, მუსიკა არ არის ამოწურული, ისევე, როგორც არაფერი არ არის ამოწურული როცა ერი აგრძელებს ცხოვრებას. აქ არის რა მასალაც დაგროვდა ამ ეტაპზე და ამის მერე გავა ხანი და ახალ-ახალი მასალა დაგროვდება. თვითონ შემდგენელნიც, ალბათ, შეეცდებიან, რომ ცოტა ხნის მერე განახორციელონ მეორე გამოცემა, უფრო შევსებული, უფრო დაზუსტებული. რაც მთავარია, ძალიან კარგი ფუნდამენტია შექმნილი. აი, ამ წიგნს ახლა ასე რომანივით ვერ წაიკითხავ, მაგრამ, ცალკეულ სტატიებს რომ გაეცნობი, შეყვები, ნახავ, რომ პროფესიონალების ხელით არის შესრულებული და ეს პროფესიონალიზმი უნდა გაყვეს შემდგომ გამოცემებსაც. ის ადამიანები, რომლებიც ასეთივე სალექსიკონო ენციკლოპედიის შედგენას მოკიდებენ ხელს, გაეცნობიან ამ წიგნს, მიხვდებიან, რომ უკვე თამასა ძალიან მაღლაა აწეული და უფლება არ ექნებათ, რომ ის ქვემოთ ჩამოწიონ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რამდენი ჯაფა და შრომა ჭირდებოდა თითო ცნობის და დეტალის მოპოვებას. აღმოჩნდა, რომ უამრავი რამ უცნობია, უამრავ ხელოვანზე ჩვენ ძალიან ზოგადი წარმოდგენა გვქონდა და მათი ბიოგრაფია რომ დავადგინოთ, სხვადასხვა წყაროებიდან უნდა მოვიძიოთ მონაცემები. გარკვეული ტერმინები ზოგადად ჯერ არ არის დაზუსტებული და შემდგენლებს თვითონ უხდებათ, არა მარტო ამ ყველაფრის თავმოყრა, არამედ კვლევა, თავიანთი მოსაზრების გამოთქმა, სხვაგვარად წარმოუდგენელია. საბოლოოდ, შეიქმნა შესანიშნავი წიგნი, როგორც გითხარით — სასჯელი, მაგრამ ეს სასჯელი არის ჩვენთვის ძვირფასი საფუძვარი — „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო შემდგენლების გვარ-სახელები, რომლებსაც ლეგენდის მიხედვით ყველაზე დიდი სასჯელი ერგოთ — რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე, პროექტის მენეჯერი — მიხეილ ოძელი. ეს არის მისალოცი საქმე არა მარტო ჩვენ მუსიკოსთათვის, არამედ ყველასთვის, ვისაც აღელვებს ქართული კულტურის ბედი და ვისაც აქვს სურვილი, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს ჩვენი ღვაწლი, ჩვენი წვლილი. აი, ასეთი წიგნები საშუალებას მოგცემენ, რომ ზოგადი სურათი რაც შეიძლება სრულყოფილი იყოს.

როსტომ ჩხეიძე

გიორგი გაგნიძე

ბედნიერია ერი, რომლის წიაღში იბადება ნიჭიერება, რომელიც ამაყად ატარებს ეროვნულ თვისებებს და ასახელებს თავის ქვეყანას.

საქართველოს აქვს უამრავი მაგალითი ასეთი ღირსეული მამულიშვილების, რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი უძველეს ქართულ კულტურას. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, რეჟისორი რობერტ სტურუა, კომპოზიტორი გია ყანჩელი, დირიჟორი ჯანსუღ კახიძე... მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, პაატა ბურჭულაძე... მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია, თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხიკვაძე... მოცეკვავეები: ვახტანგ ჭაბუკიანი, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი და ა.შ.

ყველა მათგანი თავისი შემოქმედებით გასცდა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს და შეუერთდა მსოფლიო კულტურის საგანძურს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ტრადიცია გრძელდება და იმედია, ისეთივე კვალს დატოვებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არამედ სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს დიდ ევროპულ კულტურაში.

ამ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი — ჩვენი სახელოვანი ბარიტონი — გიორგი გაგნიძე, რომელიც ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის მოვიდა საქართველოს სახალხო არტისტის თამაზ ლაფერაშვილის კლასში სადაც მე ვმუშაობდი კონცერტმაისტერად. კონსერვატორიის მესამე კურსზე, კამერული მუსიკის კლასში, დაიწყო მისი ფორმირება, როგორც მუსიკალურად და ვოკალურად, ისე არტისტულად.

მანამდე გიორგის ჰყავდა შესანიშნავი პედაგოგები, ბატონები: ჯონი სარალიძე და დიზი ხელაშვილი, რომლებიც ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ გიორგის მონაცემებს.

ულამაზესი ხმის ტემბრის მქონე ყმაწვილი ძალზედ დაინტერესებული და მონდომებული იყო, და როცა ის ოპერის თეატრის სოლისტი გახდა, მთელი საოპერო სახეები გამოძერწა მაესტრო ლაფერაშვილის ხელმძღვანელობით. ბ-ნი თამაზი თვითონ იყო ბრწყინვალე საოპერო მსახიობი, მას „ოპერის ჟან გაბენს“ უწოდებდნენ. სწორედ მან დაინახა და განავითარა დამწყებ მომღერალში არტისტული ნიჭი. შემდეგში, უკვე უცხოეთში მოღვაწეობისას, ხშირად აღნიშნავდნენ გიორგის მაღალ არტისტულ და მუსიკალურ კულტურას და ვოკალურ ტექნიკას.

ვიქტორია ჩაპლინსკაია, თამაზ ლაფერაშვილი, გიორგი გაგნიძე

თბილისის ოპერის სცენაზე მისი დებიუტი შედგა 1994 წელს მურმანის პარტიით, ზ. ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. მას მოჰყვა მთელი რიგი წამყვანი პარტიები ქართულ ოპერებში: ზ. ფა-

ელენე ოგრაგცოვა, გიორგი გაგნიძე

ლიაშვილის „დაისი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ბ. კვერნაძის „კოლხთა ასული“; დასავლეთ ევროპულ რეპერტუარში: ჯ. ვერდის ოპერები — „ბალ-მასკარადი“, „მაკბეტი“; ჯ. როსინის — „სევილიელი დალაქი“, პ. მასკანის — „სოფლის ღირსება“, ჟ. ბიზეს — „კარმენი“, გ. დონიცეტის — „სიყვარულის ნექტარი“, პ. ჩაიკოვსკის — „პიკის ქალი“ და ეს ყველაფერი ჩვენი თეატრის სცენაზე ისეთი დიდი პროფესიონალების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ და არიან: ჯ. კახიძე, რ. ტაკიძე, რ. სტურუა, გ. მელივა, გ. ლორთქიფანიძე და სხვ.

აქტიური საოპერო მოღვაწეობის პარალელურად, ახალგაზრდა მომღერალმა გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში, თ. ლაფერაშვილის კლასში, უკვე საოპერო სოლო სიმღერის განხრით. ამ პერიოდში საოპერო პარტიების გარდა ჩვენ მოვამზადეთ რამდენიმე სოლო კონცერტის პროგრამა, როგორებიცაა: პ. ჩაიკოვსკის და ს. რახმანინოვის მონოგრაფიული საღამოები, ქართული მუსიკის კონცერტი, სადაც ბ-მა თამაზმა საყვარელ მოწაფეს ქართული მუსიკის სიყვარული გადასცა. მაგალითად, ს. ნასიძის ვოკალური ციკლი „ქართული ხალხური პოეზიიდან“ დაწერილი იყო თამაზ ლაფერაშვილისათვის და მან მთელი სპექტრი ნაწარმოების სპეციფიკური ნიუანსებისა გიას გაუზიარა. აგრეთვე ჩვენ ერთობლივად მოვამზადეთ რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის პროგრამა, რის შედეგადაც გიამ არაერთ წარმატებას მიაღწია: ლაურეატობა — 1995 წ. I ეროვნულ კონკურსზე, 2000 წ. — ლ. გენჯერის საერთაშორისო კონკურსზე, 2001 წ. — ე. ობრაზცოვას საერთაშორისო კონკურსზე და 2005 წ. ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე „ვერდის ხმები“, ქ. ბუსეტოში, I პრემიის ლაურეატობა, სადაც ჟიურის თავმჯდომარის, უდიდესი ესპანელი ტენორის ხოსე კარერასის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

აქედან იწყება გ. გაგნიძის თავბრუდამხვევი კარიერა. იგი საცხოვრებლად გადადის გერმანიაში და 2005 წლიდან ხდება ქ. ვაიმარის ნაციონალური ოპერის თეატრის სოლისტი.

კონკურსის შემდეგ „ლა სკალას“ თეატრარტ-დირექტორი ლუკა ტარჯეტი გიორგის იწვევს ოპერა „ტრავიატას“ პრემიერაზე, რითაც 2007წ. ხსნის ამ თეატრის სეზონს უდიდეს დირიჟორთან, ლორინ მააზელთან ერთად. აქ შედგა გიორგი გაგნიძის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ტანდემი უდიდეს მუსიკოსთან ლორინ მააზელთან, რამაც მოუტანა დიდი შემოქმედებითი მსოფლიო გამარჯვებები. ეს იყო საგანსტროლო ტურნეები — იაპონიაში და ესპანეთში, ნიუ-იორ-

კის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად; სპექტაკლები: ტოკიოში, მილანში, ვალენსიაში, სან-ფრანცისკოში, მილანში, ისეთი სპექტაკლებით, როგორებიცაა: ჯ. ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „სიმონ ბოკანეგრა“, „ლუიზა მილერი“. 2009 წელს შედგა გიორგის დებიუტი მეტროპოლიტენ-ოპერის თეატრში სკარპიას პარტიით, პუჩინის ოპერაში „ტოსკა“, ლორინ მააზელის დირიჟორობით, რაც პირდაპირი ეთერით აჩვენეს 56 ქვეყანაში.

გიორგი გაგნიძის საგასტროლო რუკა მოიცავს მთელ მსოფლიოს, ესაა: ბარსელონა, ციურიხი, ვენა, მადრიდი, მილანი, პარიზი და ა.შ.

თითქმის არ დარჩა ბარიტონის წამყვანი პარტია, რომელიც არ იყო გიორგის რეპერტუარში, ჩვენი დროის უდიდესი დირიჟორების ხელმძღვანელობით: ლ. მააზელი, ჯ. ლევაინი, გ. დუდამელი, ფ. ლუსტი და სხვ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ოპერებისა, მის რეპერტუარში არის: ლეონკავალოს „ჯამბაზები“, ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ნაბუქო“, მანძონის „ფრანჩესკა და რიმინი“, ახლახანს ასრულებული გიორგის დიდი ხნის ოცნება — „ფალსტაფი“ და მუსორგსკის „ხოვანშჩინა“.

ისეთი დიდი მომღერლების შეფასებით, როგორებიც არიან ხოსე კარერასი და პლასიდო დომინგო: „გაგნიძე კი არ ასრულებს რიგოლეტოს, ის დაბადებულია რიგოლეტოდ“. — გამოჩენილი ხელოვანების მხრიდან ასეთი შეფასება, არის ძალიან დიდი აღიარება.

გიორგის გამარჯვებებზე ძალიან ბევრია დაწერილი, გამოცემულია რამდენიმე DVD დისკი მსოფლიოს უდიდეს ვარსკვლავებთან ერთად: პუჩინის „ტოსკა“, ვერდის „აიდა“.

გადატვირთული გრაფიკის გამო, ბოლო წლებში გიორგი თავისი ქვეყნის იშვიათი სტუმარი იყო, ამიტომაც, 14 წლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის ოპერის განახლებულ სცენაზე შედგა მისი გასტროლი ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში“ — ტონიოს პარტიაში (მანამდე მან „ჯამბაზები” მეტროპოლიტენ ოპერაში იმღერა), და ბრწყინვალე არტისტულობითა და ვოკალური სრულყოფილებით შეასრულა ეს პარტია — ეს იყო ნამდვილად ხელოვნების ზეიმი.

გიორგიმ გამოავლინა კიდევ ერთი მამულიშვილური ღირსება — 12 აპრილს იყო გიორგის მაესტროს, თამაზ ლაფერაშვილის დაბადების დღე და მადლიერმა მოწაფემ „ჯამბაზებში“ თავისი გამოსვლა საყვარელი მაესტროს ხსოვნას უძღვნა. გიორგიმ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ფესტივალ „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში გამართულ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებით საღამოში. მან ძალიან ღრმად და კოლორიტულად შეასრულა კომპოზიტორის ოთხი რომანსი.

მე ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოში ცნობილი ბარიტონი გიორგი გაგნიძე არის ჩვენი, ქართული ვოკალური სკოლის აღზრდილი და მონაპოვარი, რომელმაც თავისი შემოქმედებით, ჩვენ მდიდარ მშობლიურ კულტურას, კიდევ ერთხელ გაუთქვა სახელი მსოფლიოში.

რუსუდან ხოჯავა

ცოტა რამ ისტორიიდან და დღევანდელობაზე

„მუსიკა მელოდიაა, რომელიც სამყაროს ტექსტს წარმოადგენს“.

არტურ შოპენჰაუერი



ავადხსენებულ საბჭოთა პერიოდში თბილისის მუსიკალური ცხოვრება მეტად საინტერესო სურათს გადაგვიშლიდა — მსოფლიოს ჭეშმარიტი და არა პიარის მეშვეობით „შექმნილი“ ვარსკვლავები: ანი ფიშერი, ისააკ სტერნი, კარლო ცეკი, ვან კლიბერნი, ჯორჯ სელი თავისი კლივლენდის ორკესტრით, ბაირონ ჯანისი, ვილჰელმ შტროსისის კამერული ორკესტრი; იმდროინდელი მსოფლიოს მიერ აღიარებული საბჭოთა ვარსკვლავები: სვიატოსლავ რიხტერი, ემილ გილელსი, ჰენრიხ ნეიგაუზი, დავით ოისტრახი, იაკობ ფლიერი, მარია გრინბერგი, მარია იუდინა, როზა ტამარკინა, მსტისლავ როსტროპოვიჩი, დანიილ შაფრანი, მარინე იაშვილი, ბელა დავიდოვიჩი, ლაზარ ბერმანი... იმავდროულად თბილისში მცხოვრები მოსკოვში აღზრდილი მუსიკოსები. ყოველივე ამას დიდი სიყვარულით უძღვებოდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, რომელიც იმხანად სავსებით ამართლებდა თავის სახელწოდებას (ბერძნულად phileo – მიყვარს, harmonio — ჰარმონია). ჰარმონიაზე ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ამას გარდა, საქართველოს ფილარმონია დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა რესპუბლიკაში — დიდ ქალაქებში სისტემატიურად ატარებდა კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რომლებშიც მონა-

რუსუდან ხოჯავა

წილეობდნენ საქართველოს საუკეთესო მუსიკოსები, კონცერტებს ცნობილი მუსიკისმცოდნეები უძღვებოდნენ.

დაუვიწყარია ის ლექციები, რომლებსაც ჩვენი დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე ატარებდა მუსიკალურ ცენტრში. მახსენდება ერთხელ რომ მითხრა — მე მინდა ქართველებს კლასიკური მუსიკა შევაყვაროო.

წლების მანძილზე კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება ტარდებოდა, რომლის ინიციატორი და მუდმივი მონაწილე გახლდათ ქართველი პიანისტი, ქართული საფორტეპიანო მუსიკის პროპაგანდისტი, ანასტასია ვირსალაძის მოწაფე თინათინ გოგოლაშვილი.

თინათინ გოგოლაშვილმა საფუძველი დაუდო კამერული კონცერტი-ლექციების ციკლს — არა მხოლოდ დიდი ქალაქების, არამედ რაიონების, და-ბა-სოფლების (მათ შორის მაღალმთიანის — მაშინ თითქმის ყველა სოფელში მუსიკალური სკოლა არსებობდა) მუსიკალური სასწავლებლების, მუსიკალური სკოლების, საგანმანათლებლო სკოლებთან არსებული მუსიკალური სტუდიების მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის. კონცერტების პარალელურად შემსრულებლები ატარებდნენ ღია გაკვეთილებს (ეხლანდელი ტერმინოლოგიით — მასტერკლასებს).

ამ საინტერესო ღონისძიებაში ჩართული იყვნენ თვით თინათინ გოგოლაშვილი — მშვენიერი პიანისტი; ცნობილი საფორტეპიანო დუეტი, ასევე ქართული მუსიკის პროპაგანდისტები მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი და ამ წერილის ავტორიც.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ შემსრულებლები თავის მისიას, არავითარი ფორმალური მიდგომა ტრადიციული ქართული სუფრით! მხოლოდ მუსიკა! საუკეთესო

იყო თინათინ გოგოლაშვილის მიერ შესრულებული შუმანის გენიალური „საბავშვო ალბომი“, მედეა ფანიაშვილის და მედეა ალთუნაშვილის მიერ შესრულებული ბრამსის ნაწარმოებები, ქართველ კომპოზიტორთა დუეტები...

მე, ამ სტრიქონების ავტორი, დიდ ადგილს ვუთმობდი ი.ს. ბახის ნაწარმოებებს, აგრეთვე XVIII საუკუნის საკლავირო სონატებს — ფ. ე. ბახის, სკარლატის, რუტინის, მეგიულის, ბორტნიანსკის, ჰაიდნის. ტარდებოდა კონცერტები მიძღვნილი მოცარტისა და ბეთჰოვენის იუბილეებისადმი.

აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს ლექცია — კონცერტები ტარდებოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სასწავლო დაწესებულებათა მეთოდური კაბინეტის და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის სამმართველოს ხელშეწყობითა და მეთვალყურეობით, რაზედაც არაერთი ოფიციალური მადლობის წერილი არსებობს. იმაზე, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტები აქტიურად მონაწილეობდნენ მუსიკალური აღზრდისა და განათლების საქმეში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი გამოსცემდნენ ქართველი მუსიკოსების — მანანა ავაზაშვილის (მანანა ავაზაშვილი საკავშირო მეთოდკაბინეტის მიწვევით მთელი წლის განმავლობაში ატარებდა ლექციებს მოსკოვის მუსიკალური სკოლების პედაგოგებისათვის, დღეს ესპანეთში მოღვაწეობს და მადრიდის კონსერვატორიაშიც იწვევენ ლექციების ჩასატარებლად), ლია ნიქაბაძის და ჩემს მეთოდურ ნაშრომებს; ლია ნიქაბაძის, მანანა ავაზაშვილის შედგენილ სანოტო კრებულებს ბავშვებისათვის, მუსიკალური ნაწარმოებების რედაქციებს.

რაოდენ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხსენებული მეთოდ-კაბინეტები ფლობდნენ ინფორმაციას იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც მუსიკას სწავლობდნენ, კონცერტებს ესწრებოდნენ. აღსანიშნია, რომ მათ შორის არ შეინიშნებოდნენ ცუდი საქციელის ჩამდენები, ნარკომანები.

მუსიკის სწავლების აღმზრდელობით, ინტელექტის განვითარების მნიშვნელობაზე ამ წერილში აღარ დავიწყებ საუბარს. ეს თემა დღევანდელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მეც შევეცადე ჩემი მოკრძალებული აზრი გამომეთქვა ჩემს ერთ-ერთ წიგნში.

ლექცია-კონცერტებს დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ყველგან. ერთ ასეთ კურიოზსაც გავიხსენებ: ერთ მიყრუებულ მთის სოფელში ბეთჰოვენის სონატებს ვუკრავდი. კონცერტის შემდეგ ერთ-ერთი ბავშვის ბებია მეუბნება: „ბეთჰოვენისნაირი თუ არა, თქვენნაირი მაინც გამოსულიყო ჩემი შვილიშვილიო...“

კონცერტის დასრულებისას ბავშვებს გამოკითხვასაც ვუტარებდი. ბავშვები ფურცელზე სახელს და გვარს არ აფიქსირებდნენ — უნდა დაეწერათ მუსიკის რომელ სახეობას ანიჭებდნენ უპირატესობას. შენახული მაქვს 407 გამოკითხვის ფურცელი.

ბევრი მოსწავლე კლასიკურ მუსიკას ანიჭებს უპირატესობას, ზოგიც ესტრადას.

ლექცია- კონცერტების მნიშვნელობაზე და წარმატებებზე ადგილობრივი გაზეთებიც წერდნენ: ქუთაისი, მარტვილი, თელავი, წყალტუბო, სამტრედია, გორი, ფოთი, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“...

მაგალითისათვის მოვიყვან ამონარიდს ონის გაზეთ „ვანთიადიდან“:

„გასულ წელს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მიზნით კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი ჩვენს სამუსიკო სკოლაში, რომლის ინიციატორი და წამომწყები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, ფილარმონიის სოლისტი თინათინ გოგოლაშვილია.

გასული წლის მაისში პირველად ჩვენი სკოლის ისტორიაში თ. გოგოლაშვილმა გამართა საფორტეპიანო კონცერტი ბავშვებისათვის. ეს ტრადიცია გრძელდება და კონცერტები უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამას წინათ ონის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში კონცერტი გამართეს პიანისტმა თ. გოგოლაშვილმა და მომღერალმა ედიშერ მირიანაშვილმა,

რომლებიც მოსწავლეთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგნენ.

თ. გოგოლაშვილის მიერ შესრულებული იქნა მენუეტები (ძველებური ცეკვაა), ბახის, მოცარტის, შუბერტის; გავოტები (ძველებური ცეკვა) — გლაზუნოვის, პროკოფიევის; გრიგის საბავშვო ალბომიდან პიესები „ჩიტი“, „პეპელა“, „გაზაფხული“.

ოქტომბრის თვეში ჩვენს დედაქალაქში მიმდინარეობდა რუსული მუსიკის ფესტივალი, ამასთან დაკავშირებით თ. გოგოლაშვილმა შეასრულა ჩაიკოვსკის ნაწარმოებები“.

ლექცია-კონცერტებთან ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი მოგონებაა დაკავშირებული. ლეჩხუმში, ცაგერში ვატარებდი კონცერტს. ვერ ავედი სვანეთში, ქალაქ ლენტეხში, სამაგიეროდ, კონცერტზე ლენტეხიდან ჩამოვიდა მუსიკალური სკოლის რამოდენიმე პედაგოგი. კონცერტის შემდეგ, ვახშამზე — ლენტეხელებმა იმღერეს „ლილეო“. უნდა ვაღიარო, რომ ეს სიმღერა და მათი შესრულება ერთ-ერთი უძლიერესი შთაბეჭდილება გახლავთ ჩემს მუსიკალურ პრაქტიკაში. სიტყვებიც არა მაქვს გადმოგცეთ ის არაამქვეყნიური შეგრძნება. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ერი, რომელმაც შექმნა ეს სიმღერა და ასე ასრულებს, უდავოდ გამორჩეულია სხვა ეროვნებებს შორის და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ღვთის ნაბოძებია.

მასტერკლასი მრავალ მიზანს ისახავს — სხვადასხვა პიანისტური სკოლის გაცნობა-განხილვა და ამის მეშვეობით თვალსაწიერის გაფართოება; მუშაობის პროცესში დასახული გზების დადასტურება; სხვადასხვა საკამათო საკითხების და ნაწარმოებების ინტერპრეტაციათა მრავლობითობის პრინციპის წინ წამოწევა.

გარდა წმინდა პროფესიული საკითხებისა, რაც მეტად ფასეულია, კარგია თუ წამოიჭრება მუსიკის აღქმის ზოგადსაკაცობრიო საკითხებიც.

რადგან სიტყვამ მოიტანა მუსიკის აღქმის ზოგადსაკაცობრიო საკითხები, არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ახლახან წაკითხული:

„ორფევსი — აპოლონისა და მუზა კალიოპას შვილი, სიმღერით და ქნარზე დაკვრით ამშვიდებდა ტალღებს, შეეძლო გადაეადგილებინა კლდეები და ხეები, აშოშმინებდა მძვინვარე ნადირებს და განწმენდდა ადამიანებს ბოღმისა და ბოროტებისაგან. მაგრამ მანაც ვერ შეძლო გამოეყვანა ევრიდიკე მკვდართა სამეფოდან. ამის მერე მისი მუსიკა სავსე იყო სევდით და ევრიდიკეზე დარდით.

დიონისემ და მისმა მხლებელმა ბაქხანალიის მონაწილე ქალებმა, რომლებიც ვერ იტანდნენ სევდას, გადაწყვიტეს ჩაერთოთ ორფევსი თავის ბაქხანალიებში, მაგრამ რადგანაც ეს არ გამოუვიდათ, გადაწყვიტეს გასწორებოდნენ მას. მაგრამ არც ქვებმა, არც ჯოხებმა, რომლებიც ორფევსის მუსიკას ემორჩილებოდნენ, ორფევსს ზიანი არ მიაყენეს.

მხოლოდ ხმაურით, ჭყივილით, საყვირების ღრიალით დაფდაფების ბრახუნის მეშვეობით ჩაახშეს რა ორფევსის სიმღერა და ქნარი, გაგლიჯეს ორფევსი.

ბუნება დიდხანს და უნუგეშოთ ქვითინებდა“...

მოვითხოვ პატიებას, დღეს ხომ ყველას აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება: მსგავსი მოვლენის მომსწრენი ხომ არ ვართ ჩვენ დღეს (რასაკვირველია ეს ყველას და ყველაფერს როდი ეხება)?

მუსიკა ხელოვნების სხვა დარგებიდან ყველაზე ახლოა ღმერთთან, იგი გადმოღვრაა ღვთაებრივი ბუნების — ღვთაებრივი ენერგიის ემანაციაა.

მუსიკის უპირველესი დანიშნულება ღვთის დიდებაა (ფსალმუნი 150), ადამიანთა გულების განწმენდა, სიკეთისაკენ სწრაფვაა.

მუსიკის უდიდეს გამაკეთილშობილებელ როლზე ბევრი გენიალური მუსიკოსი და მოაზროვნე მსჯელობდა.

„მუსიკა ცოდნის უმაღლეს სამყაროში ერთადერთი არამატერიალური მისასვლელი გზაა სამყაროში, რომლითაც გარემოცულია ადამიანი, თუმცა არ ძალუძს მასთან შეხება“. ბეთჰოვენი.

სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი

სასწავლებლის პედაგოგი ირმა მორალიშვილი

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში აფხაზეთის მუსიკალურმა სასწავლებელმა აღნიშნა მისთვის მნიშვნელოვანი თარიღი – თბილისში ყოფნის 20 წლისთავი.

განგებამ რთული ბედი უწყალობა ამ ტრადიციულ სასწავლებელს – არასაკუთარ მიწაზე გაევრძელებინა არსებობა. თუმცა მათ თბილისში მუშაობის შეძლებისდაგვარად ნორმალური პირობები შეუქმნეს. სასწავლებელი წლების მანძილზე განაგრძობდა აქტიურ სასწავლო და შემოქმედებით ცხოვრებას, ინტენსიურად წარსდგებოდა საზოგადოების წინაშე. აქტიურობით გამოირჩეოდნენ ცალკეული პედაგოგები, რომლებიც არა მხოლოდ თავიანთი პედაგოგიური შრომის შედეგს წარმოაჩენდნენ, არამედ თავადაც ერთვებოდნენ საკონცერტო ცხოვრებაში. ყოველივე ამაში ლომის წილი მიუძღოდათ სასწავლებლის დირექტორებს, ქალბატონ ეთერ გვაძაბიას და ბატონ დავით ოკუჯავას.

დავით ოკუჯავა: *მე დიდი პატივი და მისია მაკისრია – სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელობა. აქ აუცილებლად უნდა ვახსენო ჩემი წინამორბედი დირექტორი – აწ გარდაცვლილი ქალბატონი ეთერ გვაძაბია, ცნობილი პიანისტი, კონცერტმაისტერი, სოხუმელი კომპოზიტორის საშა ესებუას მეუღლე. ის, რომ სასწავლებელმა თბილისში განაგრძო არსებობა, ჩვენი სასიქადულო პიროვნების, ქალბატონი სვეტლანა ქეცბას დამსახურებაა. მან, იმ დროს აფხაზეთის კულტურის მინისტრმა (მანმადე სოხუმში, თბილისში ჩამოსვლამდე ის გახლდათ სასწავლებლის დირექტორი), 1996 წელს, თავი მოუყარა დევნილობაში მყოფ პედაგოგებს და აღადგინა ეს ორგანიზაცია. თავიდან სასწავლებელი იმყოფებოდა თბილისის რ. ლაღიძის სახ. მე-4 სამუსიკო სკოლის შენობაში, მისი დირექტორი ლერი ხარატი სრულიად უანგაროდ უწყობდა ხელს ამ კოლექტივს, 2010 წლიდან კი უკვე მოვიპოვეთ ფართი ჩიტაიას ქუჩაზე.*

2010 წლიდან ცნობილმა რეფორმამ, რომელიც შეეხო საქართველოში მუსიკალურ სასწავლებლებს, ჩვენც უკან დაგვხია. ამის შემდეგ დაგვერქვა სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულება – სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. მუსიკალური სასწავლებელი. მანამდე აქ აფხაზეთიდან, გალის რაიონიდანაც კი ჩამოდიოდნენ სასწავლებლად, სტატუსის შეცვლის შემდეგ

კი ისინი იძულებულნი არიან სოხუმში მიიღონ განათლება.

ჩვენი მოღვაწეობის შედეგების მაჩვენებლად, ალბათ, სასახელო კურსდამთავრებულების დასახელებაც კმარა. მაგ. ჩვენი საამაყო მარიკა გულორდავა, რომელმაც ლა სკალას ვოკალური ხელოვნების აკადემია დაამთავრა, არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია და ახლა ევროპის სხვადასხვა სცენებზე გამოდის. არც ისე დიდი ხნის წინ, ჩვენი კურსდამთავრებული ასევე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ალუდა თოდუა მიიწვიეს დიდ თეატრში (მასთან ერთად სწავლობდა და ასეთივე იმედებს ვამყარებდით ზვიად ხუხუაზე, რომელსაც დიდი უსიამოვნება შეემთხვა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მისი მდგომარეობაც გამოსწორდება და განაგრძობს მოღვაწეობას). არაერთმა ჩვენმა აღზრდილმა დაამთავრა კონსერვატორია, ზოგი ახლა სწავლობს. კიდევ სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენი სასწავლებლის პედაგოგი ნინა უსტინოვა ჩაირიცხა უნგრეთში, ლისტის აკადემიაში.

ახლა ჩვენი ერთ-ერი მთავარი პრობლემაა სასწავლებლის სტატუსის დაბრუნება, იმედი გვაქვს, კულტურის სამინისტრო გაითვალისწინებს ამ საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობას და იმოქმედებს საამისოდ. ჩვენ ოფიციალურად დამოკიდებულები ვართ აფხაზეთის მთავრობაზე, მათ კი საკმარისი რესურსები არ გააჩნიათ ჩვენი უზრუნველყოფისთვის, ამიტომ სურვილი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობის მფარველობაც მოვიპოვოთ. საერთოდ, მომავლის იმედით განვაგრძობთ ცხოვრებას!

ინტერესი გამოიწვია საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტის გამართვამ, რომელშიც მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები. საიუბილეო კონცერტმა დამსწრე საზოგადოებას სევდანარევი სიხარულის განცდები აღუძრა.

გივი მუნჯიშვილი: *აფხაზეთის მუსიკალურ სასწავლებელთან ბევრი თბილი და დაუვიწყარი მოგონება გვაკავშირებს. სოხუმში ამ სასწავლებელში წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ჩვენი კონსერვატორიის აღზრდილები: ვალია ანთელავა და რიმა ბჟანია, ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, ომის დრო დაიღუპა. ასევე ჩვენი გაზრდილი იყო ვიაჩესლავ აიბა, ძალიან კარგი ქორმაისტერი.*

მე, როდესაც კაპელაში ინტენსიურად ვმოღვაწეობდი, აქტიური კავშირი მქონდა აფხაზეთთან და აფხაზურ მუსიკასთან. ხშირად ვასრულებდით რაჟდენ გუმბასა და ვალერი ჩიჩბას ნაწარმოებებს. ეს პერიოდი ძალიან ნაყიფიერი იყო აფხაზური კულტურისათვის, ჩვენთან ინტენსიური კავშირის შედეგად ის იზრდებოდა, ვითარდებოდა.

სამწუხაროა, რომ სოხუმის მუსიკალური სასწავ-

ალუდა თოდუა

ლებელი პოლიტიკური მიზეზების გამო, თბილისში საქმიანობს, მაგრამ სასწავლებლის ხელმძღვანელობის, ამჯერად პირადად დავით ოკუჯავას სასახელოდ უნდა ითქვას, კოლექტივის წარმატებული ცხოვრების შესახებ. დავით ოკუჯავა მის მეუღლესთან მადინა ტეხოვასთან ერთად გმირულ საქმეს ეწევა. ერთი წლის წინ ქალბატონმა მადინამ ჩაატარა ოსური მუსიკის საღამო, ახლა კი ბატონმა დავითმა სასწავლებლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ვიმედოვნებ, რომ ოდესმე გონს მოვლენ ისინი, ვიზეც არის დამოკიდებული აფხაზეთის პოლიტიკური ვითარება და სასწავლებელი განაგრძობს წარმატებულ ცხოვრებას მშობლიურ ქალაქში. ეს სჭირდება არა მხოლოდ სასწავლებელს, არამედ თვით აფხაზურ მუსიკას.

ვაჟა აზარაშვილი: *ყოველთვის დიდი ურთიერთობა გვქონდა აფხაზეთთან, ვმეგობრობდი აფხაზ კოლეგებთან. მახსოვს ცალკეული ფაქტები. მაგალითად,*

საიუბილეო კონცერტზე: დავით ოკუჯავა, დიმიტრი ჯაიანი

ქალბატონი სვეტლანა ქეცბას ინიციატივით სოხუმში ჩატარდა სიმღერების დახურული კონკურსი. რადიო-ორკესტრი ინტენსიურად ჩადიოდა სოხუმში, ასრულებდა აფხაზი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

სოხუმის სასწავლებელი წლების განმავლობაში ძალიან ნაყოფიერად მუშაობდა, ბევრი კარგი კადრი აღზარდა. ახლაც დავით ოკუჯავა თავის კოლექტივთან ერთად ძალზე ერთგულად მუშაობს. ახლაც არიან ისეთები, ვინც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

მე ჩემი გრძნობები გამოვხატე სიმღერით „სოხუმი ისევ გულში გვიხუტებს" მამია ჩორგოლაშვილის ლექსზე, ამას ვასრულებდით მერაბ დონაძე და მე ვოკალურ კვარტეტთან ერთად.

იმედია, დაგვიბრუნდება ჩვენი ძირძველი ქართული მიწა. ის სჭირდება აფხაზეთის მოსახლეობასაც და აქ მყოფ დევნილებსაც. ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ეს არის ერთიანი ქართული კულტურა.

ვახტანგ მაჭავარიანი: *სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის საიუბილეო კონცერტმა რიგი მოგონებები გადმომიშალა. გამახსენდა ჩვენი ოჯახის ურთიერთობა აფხაზეთთან. მამას — ალექსი მაჭავარიანს ამ მხარესთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ ის ოჩამჩირის რაიონიდან იყო სსრკ-ს ორგზის მოწვევის დეპუტატი. მამას უშუალო დიდი ძალისხმევით აშენდა სოხუმის კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი „ლილე". მას ჰყავდა მოწაფეები სოხუმიდან. საერთოდ, ძალიან უყვარდა აფხაზეთში, სინოპში ჩასვლა. იქ იყო მამას დარგული ხე, ისევე როგორც ანდრია ბალანჩივაძის, რევაზ ლაღიძის, როდიონ შჩედრინის დარგული ხეები.*

მეც ძალიან მიყვარდა აფხაზეთი — სინოპი, ბიჭვინთა. იქ მეგობრებიც მყავდა, ერთი იქაური ძალიან ლამაზი გოგო მომწონდა — მედეა.

ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო, რომ სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის საიუბილეო კონცერტზე შესრულდა მამას ნაწარმოებები. მართალია, ციკლი „დედა-ენა" აჟღერდა არასრული ფორმატით, მაგრამ ძალიან მესიამოვნა, რომ ეს იყო ხარისხიანი შესრულება, სადაც ჩადებული იყო არამხოლოდ შრომა, არამედ სიყვარულიც. მაგრამ ისევ უნდა გამოვთქვა შენიშვნაც, რომ როგორც ანბანში არ შეიძლება ანი-ბანის დაწყება და გაწყვეტა, აუცილებლად უნდა ჩახვიდე ბოლომდე, ისე არ მიმაჩნია სწორად ციკლის არასრულად შესრულება. მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში სრულად შეასრულებენ.

ამ კონცერტზე ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა და მე გამიკვირდა, რომ ამის შესახებ არ გამოაცხადეს. აქ პირველად შესრულდა ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესების ციკლი, დაწერილი 1950 წელს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ნინა უსტინოვას აღმფრენით და მასალის სრული შემეცნებით შესრულება. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ასეთი სიურპრიზებისთვის მე საკმაოდ მაქვს მასალა.

მადლობას ვუხდი სოხუმის სამუსიკო სასწავლებელს საიუბილეო კონცერტზე მაჭავარიანის ნაწარმოებების შესრულებისთვის, საერთოდ კარგი დონისთვის. ისინი ურთულეს პირობებში ეწევიან შემოქმედებით მუშაობას და აქვთ კარგი შედეგი. ვულოცავ მათ აქ ყოფნის 20 წლის იუბილეს და ვუსურვებ, რომ 25 წლის იუბილე აღენიშნოთ სოხუმში.

წელს, 5 ივლისს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში გაიმართა ქართულ მუსიკალურ კულტურისათვის მეტად მნიშვნელოვანი გამოცემის, წიგნი–ალბომის „ფოლკლორული ანსამბლების“ პრეზენტაცია. ესაა „ფოლკლორის ეროვნული ფონდის“ პირველი პროექტი სერიიდან „ქართული ფოლკლორის საგანძური“. ალბომი გამოიცა პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით. პროექტის ხელმძღვანელია გიორგი უშიკიშვილი, პროექტის დირექტორი — თამაზ ბიჩინაშვილი, მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი და ტექსტის ავტორი ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ოთარ კაპანაძე, ქორეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი და ტექსტის ავტორი ქორეოგრაფი, ქორეოლოგი გიორგი ალიმბარაშვილი, მთავარი რედაქტორი — ზურაბ გაიპარაშვილი. ასისტენტები გიორგი კრავეიშვილი, სოფო კოტრიკაძე. წიგნი მაღალი ხარისხითაა გამოცემული და ახლავს შესანიშნავი ფოტომასალა (ფოტოგრაფები: ვაჟა პაპიაშვილი, ლევან პატარაია, ლაშა შალამბერიძე, გოგა ჩანადირი); გამოყენებულია თენგიზ მირზაშვილის ფერწერული ნამუშევრებიც.

ქართული ხალხური საგუნდო საშემსრულებლო სასცენო ტრადიცია სათავეს XIX საუკუნიდან ბოლოდან იღებს. ამ ხნის მანძილზე უამრავი კოლექტივი შეიქმნა, უამრავმა ადამიანმა შეიტანა წვლილი ქარ–

თული სიმღერის მოძიება, შენახვა-პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ, ისტორიამ ყველა სახელი ჩვენამდე ვერ მოიტანა. აღნიშნული გამოცემა სწორედ ასეთი კოლექტივების, მათში მოღვაწე ადამიანების, ისევე როგორც ფოლკლორული ნიმუშების დღევანდელი მახასიათებლების შთამომავლობისათვის შემონახვის საუკეთესო საშუალებაა. ამასთან, გამოცემა

წიგნის პრეზენტაცია გ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და გალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში.

თავისი ფორმატით, უდავოდ, უნიკალურია. საქმე ის გახლავთ, რომ სპეციალურად ამ ალბომისთვის, 2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა ვიდეოგადაღებები (ოპერატორები: დავით ალავერდაშვილი, ვაჟა პაპიაშვილი, ლევან პატარაია; მონტაჟი — ოგანეზ ოგანესიანი; აუდიოჩანაწერი დაამუშავეს გიორგი ყანჩელმა, ლევან შანშიაშვილმა — „რადიო შოკოლადი"). შესაბამისად, გამოცემას თან ერთვის 6 DVD, რაც საშუალებას გვაძლევს მაღალი ხარისხის ჩანაწერით ვნახოთ სხვადასხვა ანსამბლების მიერ შესრულებული სასიმღერო და ქორეოგრაფიული ნიმუშები. მეორე მხრივ, ეს გამოცემა პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს მსოფლიო სივრცეში. გამოცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე ახლავს ინფორმაცია ყველა ანსამბლზე, ანსამბლების წევრთა მოკლე ბიოგრაფიები, დისკზე წარმოდგენილი სიმღერებისა და ცეკვების ანოტაციები.

ალბომში წარმოდგენილია თითქმის ყველა ეთნოგრაფიული კუთხე: ქართლი, კახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, მესხეთი და ა.შ., გარდა „ჩვენებურებისა", ალბომში აგრეთვე არ შევიდა სახელმწიფო ანსამბლები და საბავშვო კოლექტივები. სულ წარმოდგენილია 54 ანსამბლი და 6 ქორეოგრაფიული კოლექტივი. როგორც პროექტის ავტორები აღნიშნავენ, შემოქმედებითმა ჯგუფმა ისეთი კოლექტივები შეარჩია, რომლებიც შეძლებისდაგვარად იცავენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ხალხურ საშემსრულებლო ნორმებს და ამავე დროს, საკუთარი საშემსრულებლო მანერითაც გამოირჩევიან. თუ გადახედავთ მასალას, დარწმუნდებით, რომ ანსამბლების უმრავლესობა, მართლაც მღერის ავთენტურ ფორმას ინარჩუნებს და თითოეული მათგანი ატარებს ინდივიდუალურ ნიშნებსაც. ალბომში ვხვდებით ბევრ უნიკალურ, საინტერესო ნიმუშს, როგორც სასიმღერო, ისე საცეკვაოს. ქორეოგრაფიული ანსამბლებიდან, ძირითადად წარმოდგენილია აჭარა, ამიტომ ალბომში შეხვდებით „ხორუმისა" და „განდაგანას" რამდენიმე ვარიანტს, რაც მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან ერთი და იგივე ცეკვის სრულიად სხვადასხვა, უნიკალურ ილეთებსა და ნიუანსებს წარმოაჩენს.

ვულოცავთ ამ შესანიშნავ და უნიკალურ გამოცემის შემოქმედებით ჯგუფს, მის ყველა მონაწილეს და ვუსურვებთ, რომ ასეთი ძვირფასი გამოცემებით მომავალშიც გაემდიდრებინოთ ქართული მუსიკალური კულტურა.

მომნუსხავი სიმღერა

თამარ ჩინჩალაძე- მარი

გასაკვირი არ არის, რომ თბილისელი მელომანებისათვის ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გამართული საღამო, რომელიც დაუვიწყარი მომღერლის ჯემალ მდივანის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო, ორგანიზატორებმა, ფაქტობრივად, „დაისის“ პრემიერის დღეს დაამთხვიეს. როგორც სახლ-მუზეუმის დირექტორმა, კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ ბრძანა: „მუზეუმში დავამკვიდრეთ ტრადიცია, რომ „აბესალომის“ და „დაისის“ პრემიერის დღეებში ვიგონებთ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ამ ოპერების უკვდავყოფაში.

როდესაც მე ბატონი ჯემალის ასაკი ვიკითხე, პასუხმა გამაოცა. სულ მეგონა, რომ ის იმდენი ხანი იღვწოდა საოპერო ხელოვნების სარბიელზე, რომ ასაკით უფრო მეტის უნდა ყოფილიყო“.

საღამოს წამყვანმა თამარ წულუკიძემ გაიხსენა ის წინაპირობა, რომელიც უძღოდა ამ საღამოს: „ორი წლის წინ მუზეუმში ვაწყობდით „დაისის“ პრემიერისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას. ეხლა მახსენდება ის ვნებათაღელვა, რომელიც თან ახლდა ამ გამოფენის მოწყობის პროცესს. ერთ-ერთი ძლიერი ემოცია დაკავშირებული იყო ბატონი ჯემალის სახელთან. თვალწინ მიდგას — როგორ გადმოგვცა მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა მაგდამ ფოტოსურათები, საიდანაც წარმოგვიდგა ბატონი ჯემალის „კიაზო“ — ძლიერი, ვაჟკაცური, ჩაფიქრებული, ისეთი, როგორი პიროვნებაც თავად გახლდათ.

ეს იყო შესანიშნავი მომღერალი, რომელმაც თავიდანვე, პირველი ნაბიჯებიდანვე მიიქცია ქართველი მსმენელის ყურადღება. თავისი საოცარი სიმღერით

ჯემალ მდივანი — ონეგინი. პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“.

იმდენად განცვიფრებაში მოჰყავდა ადამიანები, რომ ისინი მზად იყვნენ რაღაც კანონები და ჩარჩოები დაერღვიათ, მაგალითად, თავის დროზე შალვა მშველიძეზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი ინიციტივით ჩაირიცხა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში, როდესაც ოთარ თაქთაქიშვილმა მოუსმინა,

მისცა რეკომენდაცია ჩაებარებინა კონსერვატორიაში. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების პირველ ტურზე იმდენად მონუსხა შემფასებლები, რომ რექტორმა სულხან ცინცაძემ ტური შეწყვიტა და იმ დღეს აღარავისთვის მოუსმენიათ, ჯემალის ჩარიცხვა კი გამოცდების დასრულებამდე გადაწყდა.

მნიშვნელოვანი იყო ბატონი ჯემალის დებიუტი ჩაიკოვსკის „პიკის ქალში" (ელეცკის პარტია). სადაც პარტნირობას უწევდნენ შესანიშნავი საოპერო მომღერლები: ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, მ. ამირანაშვილი. მან ბევრი დაუვიწყარი სახე შექმნა ქართულ ოპერებში: კიაზო, მურმანი, თარაში, გელა.

ბატონი ჯემალი გახლდათ ფრანსისკო ვინიასის კონკურსის ლაურეატი. ამ კონკურსში მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა, ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა კონკურსის ისტორიაში, რადგანაც აქ მონაწილეობის მიღება მომღერალს შეუძლია მხოლოდ ერთხელ. კომისიის თავმჯდომარე გახლდათ იტალიელი ბარიტონი ჯინო ბეკი, ხოლო კომისიის წევრები იყვნენ: პლასიდო დომინგო, მონსერატ კაბალიე, ჯულიეტა სიმიონატო. მისი სიმღერით მოხიბლული ჟიური ფეხზე წამოდგა და მიუხედავათ კონკურსის მკაცრი წესებისა, ტაშით დააჯილდოვა ქართველი მომღერალი. ამის შემდეგ მას ქონდა უამრავი შემოთავაზება მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრებისაგან, თუმცა უპასუხოდ დატოვა ყველა, მან თავიდან ბოლომდე უერთგულა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს.

მისი მოულოდნელი გარდაცვალება დიდი დარტყმა იყო საზოგადოებისათვის, თეატრისათვის და ოჯახისათვის. მინდა გავიხსენო მისი გამოსვენება ქაშვეთის ტაძრიდან. ივი ათასამდე მადლიერმა, ცრემლმორეულმა თაყვანისმცემელმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. ქაშვეთის ტაძრიდან მომავალი პროცესია შეჩერდა ოპერის თეატრთან, ჟღერდა მისი ჩანაწერი — „კიაზოს" არია „სულო ბოროტო". იმ წუთებში მისი სიმღერა ისე აღიქმებოდა, რომ აქ იყო ჩაქსოვილი მთელი ის ტკივილი, რომელიც თან წაიღო და ის ტკივილიც, რომელიც მან მიაყენა საზოგადოებას უდროო წასვლით.

ძალიან ამაღელვებელი იყო ჯემალ მდივანის მეგობარი-კოლეგების მოგონებები.

ელდარ გეწაძე: დღევანდელი დღე დიდი გამოძახილია იმ შორეული ჩემი ბავშვობისა, როდესაც მე და ჯემალი სრულიად ახალგაზრდები დავდიოდით ზესტაფონის ქუჩებში.

ჯემალი ჩემზე ორი წლით ადრე მივიდა თეატრში, ეს იყო მისი შემოქმედების დიდი აღიარების დასაწყისი. უკვე მთელი თბილისის საზოგადოება შეყვარებული იყო მის ხმაზე, სიმღერაზე და მის პიროვნებაზე. მინდა გავიხსენო ერთი მომენტი: 1984 წელს მოსკოვში დიდ თეატრში გვქონდა გასტროლი. ეს იყო ტრიუმფი... მოსკოვში ცხოვრობდა დიდი მელომანი, აკადემიკოსი ლეანტოვიჩი, ნომერ პირველი ფიზიკოსი. კაცი, რომელიც არამხოლოდ დიდი თეატრის, არამედ მსოფლიო საოპერო თეატრების საქმის კურსში იყო. ჯემალის სიმღერის მოსმენის შემდეგ (იგულისხმება რ. შტრაუსის „სალომეში" შესრულებული „იოქანაანის" პარტია. — რედ.) მან ხმამაღლა აღიარა: „მე მომისმენია მთელ მსოფლიოში შვიდი უდიდესი იოქანაანისათვის, მაგრამ ასეთი ბრწყინვალე შესრულება ჯერ არ გამიგია, გაოცებისაგან არ ვიცი რა ვთქვა".

მე შემიძლია ჩამოთვალო ჯემალის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული 25 პარტია. მინდა გავიხსენო 1991 წლის გასტროლი გერმანიაში, „აბესალომ და ეთერი" — დირიჟორობდა ჯანსუღ კახიძე, ჯემალი იყო მურმანი, თემურ გუგუშვილი — აბესალომი, ხოლო ეთერი — სრულიად ახალბედა იანო ალიბეგაშვილი, ეს მისი პირველი შესრულება გახლდათ. უნდა გითხრათ, რომ მე ასეთი მურმანი საერთოდ არ მომისმენია, რაც იმ დღეს გერმანიის მიწაზე აჟღერდა. ძალიან ამაყი ვიყავი, რომ საერთოდ შესრულდა ეს ოპერა, თანაც ჩემი თაობა აჟღერებდა ამ უდიდეს ქმნილებას. სპექტაკლის შემდეგ ჩატარდა ქართული მუსიკის გალა კონცერტი, რომლის შემდეგ პრესაში დაიბეჭდა სტატია „როგორი ღარიბი ყოფილა გერმანული მუსიკა, რომ არ ვიცოდით ქართული ოპერის შესახებ", ამას წერდნენ ბეთჰოვენის, ვაგნერის სამშობლოში.

რაც შეეხება ჩემი და ჯემალის ურთიერთობას, დიდი ზურაბ ანჯაფარიძე ამბობდა, ასეთი ხმა გავრცელდა თეატრში: ზესტაფონიდან ჩამოვიდა წყვილი ხარ-კამეჩი, რომელიც ასე ეწევა ჭაპანას და ასეთი უღა-

ლატოა ამდენი ხნის განმავლობაში. მე მეამაყება ჩემი და ჯემალის ტოლობა და სწორობა. შემიძლია ვთქვა, რომ მისი მსგავსი პიროვნება არ მინახავს. მე ყოველთვის ვცდილობ გავაკეთო ისეთი რამ, რომ დავემსგავსო მას. არ შემიძლია არ გავიხსენო მისი ქველმოქმედების შესახებ, მაშინ, როცა ჩვენი ხელფასი სულ რაღაც 2. 5 დოლარი იყო, ის მთელ ხელფასს სრულად აძლევდა თავის შეჭირვებულ კოლეგებს. ამას არ მომატყუებინებს აქ მყოფი ბატონი გურამ ქაშაკაშვილი, მისი უდიდესი მეგობარი და დიდი ქველმოქმედი, რომლის მხრებზეც არის ჩვენი ვოკალისტების ჭაპანი. მას განსაკუთრებით უყვარდა ჯემალი, ეს იგრძნობოდა ყოველ ნაბიჯზე და მიაჩნდა, რომ იგი ჩვენს შორის საუკეთესო იყო. როდესაც საჭირო გახდა ერთი მომღერლის დაფინანსება, ჯემალი მივიდა მასთან და სთხოვა: — გურამ! ეს კაცი უნდა დააფინანსო, ძალიან კარგი მომღერალია. — როგორია, შენისთანა ხმა აქვს? — ჰკითხა ბატონმა გურამმა, — ვფიცავ, რომ ჩემზე უკეთესია — დაუფიქრებლად უპასუხა მან (ეს მომღერალი გახლდათ ლადო ათანელი — ე. გ.). ასეთი ცოტა მეგულება, ჯემალი ამას აკეთებდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ვლადიმერ კანდელაკი: ჯემალს ჰქონდა ბრწყინვალე ხმა. ის იყო დიდი მოქალაქე, უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი. ჩვენ ხშირად დავდიოდით გასტროლებზე ერთად და ვხედავდი, როგორი მოწონება ჰქონდა, როგორი წარმატება, როგორ უყვარდათ და პატივს სცემდნენ. გარდა იმისა, რომ დიდი მომღერალი იყო, პიროვნულადაც გამოირჩეოდა, მისგან შეუძლებელი იყო მცირე ღალატიც კი. ვწუხვარ, რომ ის ადრე გარდაიცვალა.

მახსენდება ერთი შემთხვევა: ჯემალს და ელდარს კონკურსში უნდოდათ მონაწილეობის მიღება, თუმცა ცოტა არ იყოს ასაკი არ უწყობდათ ხელს. ჯემალი შეეკითხა ნოდარ ანდღულაძეს: — ასაკი ცოტა ხომ არ დაგვეკლოო? — ნოდარმა უპასუხა: — დაიკელით, მაგრამ ისე არ დაიკლოთ, რომ ჯარში წაგიყვანონო.

ვაჟა აზარაშვილი: მე მისი ყველა სპექტაკლი მინახავს. ის იყო ყველა ქართველი კომპოზიტორის მეგობარი, ძალიან ერთგული კაცი, კეთილი, საუკეთესო მასპინძელი, ყველაფრით შემკული იყო ბატონი ჯემალი.

ჯემალ მდივანი — მურმანი. გ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ალეკო ხომერიკი: ყოველთვის განებივრებული ვიყავი საუკეთესო პარტნიორებით: მ. ამირანაშვილი ე. გეწაძე, მ. თომაძე. ჯემალი იყო ერთ-ერთი საუკეთესო. მინდა ერთი ეპიზოდი მოგიყვეთ: კონსერვატორია რომ დავამთავრე, საერთო საცხოვრებელში დარჩენა აღარ შემეძლო, ჯემალმა შემომთავაზა მასთან გადავსულიყავი საცხოვრებლად, სადაც 6 თვე გავატარე. მასთან და მის ოჯახთან ერთად ცხოვრეების ეს პერიოდი დიდი სითბოთი მახსენდება.

ჯემალმა ისეთი სიმღერა იცოდა, ყველაფერს დაგავიწყებდა,თითქოს მკერდში რაღაც ჰქონდა ჩადგმული. ერთხელ სცენაზე გასვლის წინ ვკითხე კიდეც, ხომ

არაფერი გაქვს დამაგრებულითქო. ისე ისმოდა მისი ხმა დარბაზში, რომ ასხივებდა. არ დამავიწყდება მისი გელა, მურმანი, კიაზო, როდრიგო, დი ლუნა და სხვა.

ჩვენ მოგვაკლდა კაცი, რომლის ხმის ადგილიც

ჯემალ მდივანი — იოქანაანი. რიხარდ შტრაუსის ოპერა „სალომე“.

ჯერჯერობით შეუვსებელია.

ლიანა კალმახელიძე: ჯემალს დიდი სიყვარულით, სითბოთი ვიხსენებ. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები გვაქვს. სპეციალობის მერე სოლფეჯიოს ვაბარებთ. ვიცით, რომ აბარებს ბრწყინვალე ბარიტონი, ის პირველია. ვიცით, რომ ცოლ-შვილი ყავს, ყველას გვაინტერესებს ვინ არის.

გამოცდაზე ვარ და უცებ მესმის: — გოგო! — შემოვტრიალდი — რა გნებავთ? — დაწერე კარნახი? — კი მაგრამ, ვინ ხართ, რა გნებავთ ? — ჯემალი ვარ მდივანი — უი, რას ამბობთ, რა გნებავთ? — ხომ გადამაწერინებ? — რა თქმა უნდა, გადაწერეთ. — ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა.

საოპერო სტუდიაში ერთად ვიყავით, შემდეგ თეატრში, ჩემი არაჩვეულებრივი ფიგარო იყო, ან როგორ თამაშობდა. მახსოვს მოკოვში მისი ძალიან დიდი წარმატება. ოპერა „სალომეს“ ესწრებოდა დიდი პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი, რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე არ განძრეულა, ისე იყო მონუსხული ჯემალის სიმღერით, ბოლოს თქვა: — როგორი შთამბეჭდავია. იოქანაანის პარტიით მან ერთ-ერთი საუკეთესო სახე შექმნა.

ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი დავკარგეთ. ის იყო ქველმოქმედი და არაჩვეულებრივი ადამიანი.

მისი ერთ-ერთი პარტნიორი ოპერა „ლელაში“ მზია დავითაშვილი, რომელსაც ეჭვიანი მეუღლე ჰყავდა, იუმორით იხსენებს, როგორ გააფრთხილა ჯემალი — სცენაზე ხელი არ მომკიდოო — რას ნიშნავს, არ მოგკიდო — წარბები აზიდა ჯემალმა და ჰკითხა: — შენ სად მუშაობ?

გურამ ქაშაკაშვილი: შარშან ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე და მე მას ვაჩუქე ჩემი გამოცემული წიგნი „საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ფუძემდებლები“. — რატომ მჩუქნი ამ წიგნს? — მკითხა მან. — იმიტომ გჩუქნი, რომ მინდა დაწერო სცენარი, — ვუთხარი — ფეროს კლუბში გაიზარდა უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, ჯემალ მდივანი — ჩვენი ბრწყინვალე ბარიტონი, დღეს აქ არის ელდარ გეწაძე. ის ნიკო ქაშაკაშვილის აშენებულ სასახლეში გაიზარდა. რეზო ჩხეიძემ გადამკოცნა და მადლობა გადამიხადა.

ასე რომ, ჯემალის ბიოგრაფია დაიწყო უბრალო მუშიდან, ელექტრო ზეინკალიდან. ჩვენი მეგობრობა მას შემდეგ განმტკიცდა, რაც მე ზესტაფონის ფეროსქარხნის დირექტორი ვიყავი და აქედან მოყოლებული ვმეგობრობდით.

მინდა გავიხსენო ის ჩანაწერები, რომლებიც ჯე-

მალის ოჯახს გადავეცი. როცა ის ბარსელონადან გამარჯვებული დაბრუნდა, ჯინო ბეკის ჩანაწერები მისცა ჩვენს სასიქადულო მომღერალს ზ. ანჯაფარიძეს. ზურაბმა კი თავისი ნათქვამი ფირზე ჩაწერა: „ჯემალ,

ჟურნალისტი ***ვლადიმერ სარიშვილი*** თავის სტატიის («Баритон исцелявший печаль»), ბოლოს წერს: „ხსოვნის საღამოს ფარდის დაშვებამდე ჩვენ შემოვინახეთ ეპისტოლარული ისტორია: თბილისის ოპერაში



GINO BECHI
VIA A SUSINI, 16
50 125 — FIRENZE
TELEF. 055 681 18 46

VILLA "LA LANTERNA"
24 marzo 1981

Egr.Sig.Mdivani,

ho molto gradito la sua lettera e certamente,fra qualche giorno,quando mi recherò nuovamente in Portogallo, troverò la copia ma a quel tempo lei avrà già ricevuto la mia risposta.

Sono lietissimo che l'evolversi degli eventi sia favorevole ad una mia venuta in U.R.S.S. sia a Mosca che, eventualmente,in Georgia per il Corso.

Pertanto colgo l'occasione di inviare a lei ed a tutti gli amici cordialità vivissime e tanti auguri per una brillantissima carriera rimanendo,naturalmente,in attesa dell'invito ufficiale da parte della autorità competenti.

Ad un prossimo incontro la saluto coridlamente

ჯინო ბეკის წერილი

მოხიბლული ვარ ჯინო ბეკის რეპერტუარით, მაგრამ, ბიჭო, შენ იმისთანა ხმა გაქვს, მიხედე იმ ხმას და ვინაა შენთან ჯინო ბეკი!“ — მე მინდა მადლობა ვუთხრა ჯემალ მდივანის უკვდავების დღეს, საღამოს ორგანიზატორებს, იმისათვის, რაც ჩვენი საოპერო ხელოვნების პატრიარქის, ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის სახლში ხდება, იმისათვის, რომ იღვწიან სახელოვანი მომღერლების (ზოგჯერ უსამართლოდ მივიწყებულების) გახსენებისათვის და უკვდავებისათვის.

ერთ დღეს ჯემალ მდივანის სახელზე დიდი ჯინო ბეკის ხელმოწერილი წერილი მოვიდა: „დიდი მადლობა შენი გენიალური ხმისათვის, მე ძალიან მინდა ვნახო შენი ქვეყანა, სადაც ასეთი ხმები იბადებიან“ — წერდა ბეკი, უმრავლესობის აზრით ყველა დროის და ქვეყნის პირველი ბარიტონი.

მათ შორის გაიბა მიმოწერა. ხუთი თუ ექვსი წერილი არსებობს, რომელიც ინახება ჯემალ მდივანის ოჯახში, როგორც ძვირფასი რელიკვია“.

„რეგიონ-ოპერა“ — ახალი საოპერო თეატრი საქართველოში

ნინო მაჭავარიანი

ახალი საოპერო თეატრის შექმნა, გარდა საჭირო სახელოვნებო რესურსებისა, დიდ ორგანიზატორულ ძალისხმევასაც მოითხოვს. ქუთაისში საოპერო თეატრის გახსნა უდიდესი კულტურული მოვლენა იყო,

სცენა „დაისიდან“

რომელიც წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა, თუ არ იქნებოდა სახელმწიფოს ნება. დღეს, როდესაც საქართველოს საოპერო თეატრებიდან მრავალი მომღერალი წავიდა საზღვარგარეთ, მუსიკოს-შემსრულებელთა დიდი ნაწილი თეატრის გარეშე დარჩა და, რაც მთავარია და აღსანიშნავი, ისინი პროფესიონალი და საინტერესო ხელოვანები არიან. ბუნებრივად დაიბადა იდეა, შექმნილიყო კიდევ ერთი პროფესიული კოლექტივი, რომელიც დაასაქმებდა მათ და თავის მხატვრულ სათქმელს ეტყოდა საოპერო მუსიკის მოყვარულებს. სიტუაცია მომწიფდა და ამ უდიდესი წამოწყების ინიციატორი გახდა საოპერო მომღერალი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ზურაბ ბუხრაძე თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად. ესენი არიან: საქართველოს სახალხო არტისტი, რუსეთის ნაციონალური ხელოვნების პრემიის, „ოქროს ნიღბის“ მფლობელი ანზორ შომახია, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვადიმ შუბლაძე, საოპერო მომღერალი, ანსამბლ „რუსთავის“ წამყვანი სოლისტი დავით გველესიანი, საოპერო მომღერალი, რეჟისორი, პროდიუსერი, კიევის ივან კოზლოვსკის სახელობის ხელოვნების სახლის პრეზიდენტი ტატიანა ზოზულია, მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი ლევან წიქვაძე, ხელოვნებათცოდნე ვოჩა ბაღაშვილი, პიანისტი, კონცერტმაისტერი ნანა ბახტაძე და სხვ.

რაც შეეხება ზემოთაღნიშნული საქმის თაოსანს, ზურაბ ბუხრაძეს, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან ვიტყობთ, რომ იიგი მოღვაწეობდა თბილისის საოპერო სტუდიაში, ქუთაისის საოპერო თეატრში, ბათუმის საოპერო თეატრში. დიდმა მსტისლავ როსტროპოვიჩმა სწორედ ბათუმის თეატრის სპექტაკლში მოსმენის შემდეგ, ის ნოვოსიბირსკის დიდ სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მიიწვია სოლისტად. აქ მან იმღერა ბარიტონის თითქმის ყველა წამყვანი პარტია, როგორც რუსული, ასევე ევროპული რეპერტუარიდან. ნოვოსიბირსკში მისი მოღვაწეობის პერიოდში ჩატარდა თეოდორ შალიაპინის სახელობის კონკურსი, სადაც ზ. ბუხრაძემ პირველი ადგილი დაიკავა. „ოქროს ხმა — დებიუტი“ ერქვა ამ ჯილდოს.

ზურაბ ბუხრაძემ ჩამოაყალიბა დიდი ქართველი მომღერლის, დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფონდი და ჩაატარა სამი ბარიტონის კონცერტი (სამი ტენორის და სამი ბანის კონცერტები უკვე იცოდა მუსიკალურმა სამყარომ). ეს მოხდა 2009 წელს, ქუთაისში, ჩვენი სასიქადულო

პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთაისის მერიისა და მაშინდელი პირველი ლედის პატრონაჟით. კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერლები უცხოეთიდან: სომხეთიდან — პლაჩიდო დომინგოს მოწაფე, სომხეთის სახალხო არტისტი ბარსეგ თუმანიანი, კიევიდან — უკრაინის დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ოპენკო და საქართველოდან — საერთაშორისო პრემიების ლაურეატი ზურაბ ბუხრაძე. კონცერტს დირიჟორობდნენ ვადიმ შუბლაძე და ბაადურ სამადაშვილი.

სცენა „დაისიდან“

2010 წლის 30 აპრილს ქ. საჩხერეში მან და მისმა თანამოაზრეებმა საქართველოს სხვადასხვა საოპერო თეატრებიდან და მუსიკალური თეატრებიდან მოწვეული მუსიკოსების ძალებით დადგეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, სადაც, თავად შეასრულა კიაზოს პარტია. ამ წარმატების შემდეგ მათ გადაწყვიტეს დაეარსებინათ რეგიონული საოპერო თეატრი.

2013 წელს თბილისის კულტურულ ცენტრში ჩატარდა პრესკონფერენცია „რეგიონ –ოპერის“ დაარსებასთან დაკავშირებით. 2014 წლის 22 მარტს საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსდა საქართველოს მცირე საოპერო თეატრი „რეგიონ-ოპერა“.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა დააფინანსა ახალი თეატრის პირველი სპექტაკლი — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ (რეჟისორი ლევან წიქვაძე, დირიჟორი ირაკლი ჩოლოყაშვილი), რომელიც „რეგიონ-ოპერამ“ წარმოადგინა ტექნიკური უნივერსიტეტის განახლებული დარბაზისა და ქ. რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრის სცენებზე. სპექტაკლის შემდეგ ამ თეატრით დაინტერესდნენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი და ქალაქის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, რომელთაც გამოთქვეს თეატრის დაფინანსების სურვილი, იმ შემთხვევაში, თუკი მას ეწოდება რუსთავის საოპერო თეატრი.

„დაისის“ პრემიერა ქალაქ რუსთავში ვერ შედგებოდა ცნობილი მეტალურგისა და მეცენატის, გურამ ქაშაკაშვილის ფინანსური მხარდაჭერისა და ძალისხმევის გარეშე.

ახლადშექმნილი „რეგიონ-ოპერის“ მხარდამჭერები არიან ღირსეული და მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები: მედეა ამირანაშვილი, პაატა ბურჭულაძე, ალეკო ხომერიკი, ბარსეგ თუმანიანი, ევგენი ვალენსკი (ნოვოსიბირსკის ოპერისა და ვარშავის ფილარმონიის ორკესტრის დირიჟორი), ალექსეი ლუდმილინი — მ. როსტროპოვიჩის ორკესტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სხვ.

2014 წელს „რეგიონ-ოპერამ“ ჩაატარა თეოდორ შალიაპინის დაბადებიდან 140 და დავით გამრეკელის დაბადებიდან 100 წლისთავებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები.

„რეგიონ-ოპერა“ უკვე მიწვეულია გასტროლებზე კიევში, ბურსასა და სტამბულში. საგასტროლო რეპერტუარიც შერჩეული აქვს — სამი ბარიტონის კონცერტი და ზ. ფალიაშვილის „დაისი“. მას დღეს მხოლოდ სპონსორები — ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება.

AIR (დავით გაგუას ფოტო)

Tbilisi Open Air 2016

ანტონ კოკაია

29-31 ივლისს თბილისის ახალ იპოდრომთან უკვე მერვედ გაიმართა Tbilisi Open Air - მუდმივად მზარდი მულტიჟანრობრივი ფესტივალი, რომელიც დღეს უკვე ამიერკავკასიაში ყველაზე მასშტაბურია. უნდა ითქვას, რომ შარშანდელი სიურპრიზებისა და ერთობ შთამბეჭდავი მონაწილეთა სიის, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, „ლაინაფის" ფონზე, წელს ფესტივალის მომლოდინეებმა თამასა მნიშვნელოვნად აწიეს, რაც ზოგ შემთხვევაში საკმაოდ არარეალურიც იყო. ამის გამო, ჰედლაინერების (მთავარი მონაწილეების — რედ.) დასახელებას თავიდან ოდნავი უკმაყოფილებაც კი მოჰყვა, თუმცა ბევრი იყო ისეთი, ვინც მათი გამოცხადების წუთიდან სულმოუთქმელად ელოდა დუეტი Air-ის, ბენდ U.N.K.L.E-ს თუ დემიენ რაისს.

რამდენიმეწლიანი არსებობის მანძილზე, ფესტივალი თითქმის ყოველ წელს ახალ ადგილას ტარდებოდა, მათ შორის იყო ძველი იპოდრომი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია. წელს ორგანიზატორთა არჩევანი ლისის ტბასთან, თბილისის ახალი იპოდრომის ახლოს მდებარე სივრცეზე შეჩერდა. გარდა იმისა, რომ ეს ადგილი საკმაოდ ახლოსაა თბილისის ცენტრთან (ამას ემატება ისიც, რომ სამი დღის მანძილზე უწყვეტად გადიოდა ავტობუსების სპეცრეისები), მისი კიდევ ერთი დიდი უპირატესობა გარშემორტყმული ქარსაცავი ზოლია. ვინც შარშან ფესტივალს დაესწრო, კარგად იცის, რომ ეს არცთუ უმნიშვნელო საკითხია.

საფესტივალო სივრცეში, ე.წ „ლისის საოცრებათა ქვეყანაში", განთავსებული იყო სამი ძირითადი სცენა - მთავარი, Night/LTFR Stage და Pirate Bay. თუ დღისით არტისტები ერთმანეთის პარალელურად მთავარ და LTFR სცენაზე გამოდიოდნენ, ღამის 12 საათიდან გათენებამდე Night Stage და Pirate Bay ფუნქციონირებდა, რომლებიც მთლიანად ელექტრონულ მუსიკას ეთმობოდა. ამასთან, ადგილზე მისულებს სხვა მრავალი გასართობი დახვდათ - უამრავი ბარი, ფრენბურთის მოედნები, სამკითხველო სივრცე და ა.შ. გამოსარჩევია „მიფასის" სცენაც, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო გამოსვლა, მათ შორის იყვნენ დამწყები და ცნობილი შემსრულებლები.

უკვე წლებია, ფესტივალს თან ახლავს კონკურსი Newcomers (ახალი სახეები — რედ.), რომლის მიზანი ახალი ქართველი არტისტების აღმოჩენა და წახალისებაა. ალბათ, მიხვდებოდით, რომ კონკურსში გამარჯვებულებს ფესტივალზე გამოსვლის შესაძლებლობა ეძლევათ. წინა მონაწილეებს შორის უკვე არაერთი პოპულარული ჯგუფია (LOUDSpeakers, Me & My Monkey, The Mins), წელს კი სპეციალურმა ჟიურიმ, მსმენელთა ხმების გათვალისწინებით, ინდი-როკ ბენდი Bedford Falls გამოარჩია.

პარასკევს, 29 ივლისს, ფესტივალი სწორედ მთავარ სცენაზე გამოსულმა Bedford-მა გახსნა, რომელიც

სცენაზე დაახლოებით ერთსაათიანი დაგვიანების შემდგომ გამოვიდა. ამას მოჰყვა აზერბაიჯანული Dijah-ისა და რუსული პოსტ-პანკ ბენდის, ქართველი მსმენელისთვის არცთუ ისე უცნობი Motorama-ს გამოსვლა. მთავარ სცენასთან ხალხის რაოდენობა განსაკუთრებით

„ლისის საოცრებათა ქვეყანა“

Skye & Ross-ის გამოსვლისას გაიზარდა – ბრიტანელმა მუსიკოსებმა პუბლიკა მარტივად აიყოლიეს ცნობილი სიმღერებით, ხშირი ინტერაქციითა და მოხდენილი მელოდიებით. მათმა შთამბეჭდავმა გამოსვლამ მშვენიერი ატმოსფერო შექმნა დღის მთავარ მოვლენამდე, ფრანგული დუეტის, Air-ის გამოსვლამდე. თავიდან ფეხებამდე თეთრებში გამოწყობილი ნიკოლა გოდინი და ჟან-ბენუა დუნკელი სცენაზე დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის გამოვიდნენ. დუეტი საქმეს პრაგმატულად მიუდგა – აუდიტორიასთან ზედმეტი კომუნიკაციის გარეშე მათ თავიანთი სეტი ერთ ამოსუნთქვაზე ააჟღერეს, შეასრულეს გასული დეკადის ისეთი ჰიტები, როგორებიცაა – „Playground Love“, „Sexy Boy“ და „La Femme d'Argent“. სამწუხაროდ, „Air“-ის პერფორმანსის დასრულების შემდგომ, ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, Night Stage-ზე დაგეგმილი გამოსვლები ბოლო დღისთვის გადაიდო.

თუმცა სამი დღის მანძილზე ეს ლაინაფთან (მონაწილეთა სია) დაკავშირებული ერთადერთი პრობლემა სულაც არ ყოფილა – მომდევნო დღეს, შაბათს, ერთმანეთის მიყოლებით სამმა ქართულმა ბენდმა („Young Georgian Lolitaz“, „Kung Fu Junkie“ და „Backwarmer“) გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ტექნიკური ხარვეზების გამო ფესტივალზე აღარ დაუკრავდნენ. „ქართველი მუსიკოსების მიმართ უთანასწორო დამოკიდებულების გამო YGL აღარ ვუკრავთ Tbilisi open-ზე. არ გვინდა დროის ნაკლებობის და გაუმართაობის გამო უხარისხო სეტი მოვასმენინოთ ჩვენ მსმენელს. „სოლიდარობა ყველა ქართულ ბენდს!" – ნათქვამია „ლოლიტების“ ოფიციალურ განცხადებაში. როგორც გაირკვა, ჰედლაინერების მიერ მოთხოვნილი ხანგრძლივი „საუნდჩეკის" (ხმის გასწორება – რედ.) გამო, ქართული ჯგუფებისთვის სათანადო დროის გამოყოფა ვეღარ მოხერხდა. ანალოგიური რამ წინა დღესაც მოხდა, როცა მთავარი ჰედლაინერის სამსაათიანი

სამზადისის მიზეზით, „Bedford Falls"-ს სცენაზე ოდნავ გვიან გამოსვლა და საკონცერტო ნომრის შემოკლება მოუხდა, „Kung Fu Junkie"-ს გამოსვლა მეორე დღისთვის გადაიდო და შემდგომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთოდაც გაუქმდა. მიუხედავად გულდასაწყვეტი ამბებისა, საღამოს, დღის მთავარი ჰედლაინერის, ბრიტანული ტრიპ-ჰოპი ბენდ „U.N.K.L.E"-ს გამოსვლისას ეს ყველაფერი ცოტასღა ახსოვდა. ჯეიმს ლაველის კოლექტივმა პუბლიკა თავიდანვე იოლად აიყოლია და მუხტი ყველას შოუს ბოლომდე გაჰყვა. იქამდე კი წინა გამომსვლელის, სტივი ვაის ვიტარის პარტიებმა აღაფრთოვანა აუდიტორია. რაც შეეხება LTFR Stage-ს, შაბათს აქ უდავოდ გამორჩეული დუბლინელი რეპერის, რეჯი სნოუს სეტი იყო. საბედნიეროდ, შაბათს შემსრულებლებმა უპრობლემოდ აითვისეს Night Stage, რომელიც ლეგენდარულმა დეტროიტელმა ტექნოს არტისტმა, მუდიმენმა გახსნა.

მესამე დღეს ლაინაფს აღარავინ დაკლებია, თუმცა გარკვეულ პრობლემებს მაინც ჰქონდა ადგილი – არტისტების სცენაზე გამოსვლის დრო განსხვავდებოდა იმისგან, რაც ჩვენთვის იყო ცნობილი, ამის გამო Tricky-ს გამოსვლა ნაცვლად თორმეტისა, პირველი საათის შემდგომ დასრულდა, „Vazhmarr"-ს კი Pirate Bay-ს გახსნა დაახლოებით საათნახევრით გვიან მოუწია. მთავარ სცენაზე კვირას პირველი Quartet Diminished გამოვიდა, რასაც რობი კუხიანიძისა და ქეთათოს ერთობლივი პერფორმანსი მოჰყვა. მოულოდნელად გაირკვა, რომ ერეკლე დეისაძე, ნაცვლად მთავარი სცენისა, LFTR-ზე უნდა გამოსულიყო. თუ წინა გამომსვლელების შემთხვევაში LTFR სცენის პუბლიკა ძალზედ მცირე იყო, ნაცნობი მელოდიების გაგონებისას მას უამრავი ადამიანი მოაწყდა. დეისაძეს, რომელმაც გამოსვლა შედარებით მცირერიცხოვანი მსმენელის წინაშე დაიწყო, ბოლოსკენ თავის ჰიტებად ქცეულ სიმღერებზე რამდენიმე ათასი ფანი აჰყვა, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო მისი პოპულარობა დღევანდელ დღეს.

დასკვნითი დღის და ალბათ მთლიანად ფესტივალის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ალბათ ირლანდიელი ინდი-ფოლკ მუსიკოსის, დემიენ რაისის კონცერტი იყო. სწორედ ამ დღეს გაიყიდა ყველაზე მეტი ბილეთი და მის გამოსვლას დაესწრო ყველაზე მეტი ადამიანი სამი დღის მანძილზე. რაისის ემოციურ აკუსტიკურ ბალადებს მსმენელი მთელი კონცერტის განმავლობაში ჰყვებოდა. მისი შემდგომი გამომსვლელი, ლეგენდარული ტრიპ-ჰოპ არტისტი თრიქი, ირლანდიელისგან დიამეტრულად განსხვავდებოდა, მისმა ჰიპერაქტიულობამ აუდიტორია ადვილად გაახალისა, ბოლოსკენ კი მან ყველას სცენაზე უხმო და დაცვას წინააღმდეგობას თავად უწევდა.

UNKLE

საბოლოო ჯამში, მიუხედავად უამრავი სირთულისა და გამოწვევისა, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლებისა და მუსიკის სამი დღე შედგა. დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ, სამი დღე და ღამე გაეტარებინათ სრულიად განსხვავებულ და მხიარულ გარემოში, შეხვედროდნენ უამრავ ნაცნობს და მოესმინათ საყვარელი შემსრულებლებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში ელექტრონული სცენის დომინირების დროს, Tbilisi Open Air ერთადერთი დიდი ფესტივალია, რომელიც დანარჩენ ჟანრებზეც თანაბრად აკეთებს აქცენტს, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

ნანა (ნანიკო) ძიძიგური

2015 წლის 25 ივნისს ჯუზეპე ვერდის მშობლიურ ქალაქ ბუსეტოში დასრულდა 54-ე საერთაშორისო კონკურსი „ვერდის ხმები“, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა ქართველმა მომღერლმა ნანა (ნანიკო) ძიძიგურმა. მეორე ადგილი აიღო იტალიელმა სოპრანომ კლარისა კონტანცომ და სამხრეთ კორეელმა ბარიტონმა ჩიო ბიოკინგმა. მესამე ადგილი ტაივანელ სოპრანოს კენგოს ერგო.

„ვერდის ხმები“ 1961 წელს დააარსა ბუსეტოს მერმა

ჯან ფრანკო სტეფანომ. ამ კონკურსის ჟიურის წევრები სხვადასხვა დროს ყოფილან ხოსე კარერასი, ლეილა ვენგერი და ა. შ. კონკურსზე სრულდება ნომრები მხოლოდ ვერდის ოპერებიდან, გაზრდილია ასაკობრივი ზღვარი — 35 წლამდე, რაც აიხსნება სწორედ ვერდის მუსიკის შესრულების სირთულით, იგულისხმემა, რომ აქ საჭიროა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება.

ქართველ მომღერალთაგან ვერდის ხმების პირველი ადგილი აიღო ნაირა გლუნჩაძემ 1992 წელს, აგრეთვე გიორგი გაგნიძემ 2005 წელს. სხვადასხვა პრემიის ლაურეატები ყოფილან: პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, თამარ ივერი. წლევანდელ კონკურსში საქართველოდან ნანა ძიძიგურის გარდა მონაწილეობდნენ გიორგი ანდღულაძე და თინათინ ნებურიშვილი.

კონკურსის დასრულების მეორე დღეს ვერდის სახლის ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა გამარჯვებულთა კონცერტი.

რაც შეეხება პირველი ადგილის მფლობელს ნანა ძიძიგურს, როგორც თავად აცხადებს, მისი ცხოვრების მიზანს არ წარმოადგენდა მომღერლობა. მან ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ერთი წელი იმუშავა კიდეც ამ განხრით, ბრიტანეთშიც იყო სტაჟირებაზე.

ამ ყველაფრის პარალელურად ვოკალის გაკვეთილებს იღებდა მაესტრო გოჩა ბეჟუაშვილთან. სწორედ დიდწილად მის პროფესიულ და ადამიანურ მიდგომას უმადლის ნანა თავის სამომღერლო კარიერას.

მისი შემოქმედებით ცხოვრება კი უკვე არის აღსავსე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტებით: მაგალითად, 2014 წელს იყო მონსერატ კაბალიეს საერთაშორისო კონკურსის ფინალისტი და მასტერკლასებიც გაიარა მასთან. მან ასევე წარმატება მოიპოვა იტალიაში ცნობილი მომღერლის მირელა ფრენის კონკურსში, რის შედეგადაც ჩაირიცხა მის კლასში და სწავლობდა 2012-13 წლებში. მაგრამ ის დღემდე თავის პირველ და მთავარ აღმზრდელად ბატონ გოჩა ბეჟუაშვილს მიიჩნევს.

ღირსშესანიშნავია ნანა ძიძიგურის მიერ შექმნილი კარმენის სახე ბათუმის ოპერის თეატრში.

ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ მუსიკალურ ჟურნალში ნანახმა ფოტო-მასალამ გამახალისა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკისმცოდნე გახლავართ, მუსიკალური კრიტიკოსის ამ რაკურსში წარმოდგენამ სრულებითაც არ გამაღიზიანა. კარგა ხანია, რაც მივხვდი, რომ კრიტიკოსს მოეთხოვება არა მარტო ცოდნა და ანალიტიკოსის ოსტატობა, არამედ ხელოვანისთვის დამახასიათებელი თვისებები – ინტუიცია, სახოვანი აზროვნება, შემოქმედებითი ფანტაზია, გემოვნება. ხელოვნების კრიტიკა თავად უახლოვდება ხელოვნებას. შემთხვევითი არ არის რომენ როლანის სიტყვები: „ძალიან დიდი კრიტიკოსი ჩემთვის ერთ დონეზეა დიდ შემოქმედ-ხელოვანთან. მაგრამ ასეთი კრიტიკოსი კიდევ უფრო იშვიათია, ვიდრე თავად დიდი შემოქმედი".



კრიტიკოსის ამპლუა

ნანა ლორია

ახლა ფოტოებს დავუბრუნდეთ. რა სასაცილოა კრიტიკოსი, რომელსაც თავი იმპერატორად მოაქვს და ჰგონია, რომ მისი სუბიექტური აზრები სრული ჭეშმარიტებაა. მკითხველის ღიმილს იწვევს ის ავტორიც, რომელიც სოლიდური მეცნიერის გამომეტყველებით, უინტერესოდ, მხოლოდ და მხოლოდ აღწერს ამა თუ იმ მუსიკალურ მოვლენას. პუბლიკაციის შემკვეთისთვის კრიტიკოსი მორჩილი არსებაა, ყურმოჭრილი მონა, რომელიც იმას იტყვის, რასაც ჩასძახებ. თუ როგორ აღიქვამენ შემსრულებლები და კომპოზიტორები მუსიკალურ კრიტიკოსს, ამაზე ბოლო ფოტო მეტყველებს. ვფიქრობ, რომ ამ სიმპათიურ ცხოველს ისინი ადარებენ ისეთ კრიტიკოსს, რომელიც მიდის კონცერტზე, რათა გააკრიტიკოს მუსიკოსი და არა იმის გამო, რომ მიიღოს სიამოვნება. შემსრულებელი კი, ცდილობს გაახაროს მსმენელი, შექმნას სადღესასწაულო განწყობა, გადაშალოს მის წინაშე თავისი სანუკვარი გრძნობები და განცდები. შემსრულებელი და კომპოზიტორი სხვა განზომილებაში არიან და ამდენად, არა მგონია, რომ ერთი პიროვნების სუბიექტური აზრი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. საბედნიეროდ, დიდ საერთაშორისო მასშტაბის მუსიკოსს გააჩნია დამაჯერებლობის ძლიერი ძალა და იგი მშვიდად აგრძელებს საკონცერტო მოღვაწეობას.

ძვირფასო კოლეგებო, რაც ეს ფოტო-მასალა ვნახე, მოსვენება დავკარგე – ხომ არ ვემსგავსებოდი რომელიმე პერსონაჟს ჩემი პროფესიული საქმიანობის დროს?

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერამ მომავალ მუსიკალურ ხელმძღვანელად იანიკ ნეზეტ-სეგუნი დაასახელა. კანადელი დირიჟორი პოსტს 2020/21 წლების სეზონიდან დაიკავებს, იქამდე კი ის ლეგენდარულ დარბაზში თავისთვის პირველ ვაგნერის ოპერას, „მფრინავ ჰოლანდიელს“ უდირიჟორებს. მეტროპოლიტენ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნა უდავოდ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ნეზეტ-სეგუნი თავისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დირიჟორია. პარალელურად, ის ფილადელფიის მუსიკალური ორკესტრის მუსიკალურ ხელმძღვანელადაც დარჩება, სადაც მან 2026 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი და 2017/18 წლების სეზონის ბოლომდე როტერდამის ფილარმონიასაც უდირიჟორებს. ნეზეტ-სეგუნის განცხადებით, მეტროპოლიტენში მოღვაწეობა მისთვის ცხოვრებისეული ოცნების ასრულებაა. „ჩემთვის მართლაც დიდი პატივია ჩავანაცვლო ლეგენდარული ჯეიმს ლევაინი, ჩემი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო საოპერო კოლექტივის ლიდერის თანამდებობაზე, მე დღეს ქვეყნად ყველაზე ბედნიერი მუსიკალური ხელმძღვანელი ვარ.“

არენა დი ვერონეზე მიმდინარეობს 94-ე ტრადიციული საოპერო ფესტივალი. მსოფლიოში ცნობილ ფესტივალში ამჯერადაც მონაწილეობენ ქართველი მომღერლები. წელს ნინო მაჩაიძემ შეასრულა ვიოლეტას პარტია ვერდის „ტრავიატაში“, მიხეილ შეშაბერიძემ რადამესის პარტია ვერდის „აიდაში“ და ხოზე ჟ. ბიზეს „კარმენში“, ამავე ოპერაში რამდენიმე სპექტაკლის განმავლობაში ფრანსკიტას ასრულებდა მადინა კარბელი (სერებრიაკოვა), შემდეგ კი ფრანსკიტა რამდენიმე სპექტაკლში განასახიერა თეონა დვალმა.

“Deutsche Grammophon”-მა კონტრაქტი 15 წლის მევიოლინეს, დანიელ ლოზაკოვიჩს გაუფორმა. შვედი ახალგაზრდა ენნ-სოფი მუტერისა და დევიდ გერეტის გზას მიუყვება, რომლებთანაც თანამშრომლობა, მე-19 საუკუნის მიწურულს დაარსებულმა გერმანულმა ლეიბლმა, 15 და 13 წლის ასაკში დაიწყო. კომპანიაში აცხადებენ, რომ ხელშეკრულება გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი, პირველ ეტაპზე კი ორი საორკესტრო ალბომი და ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის დისკი გამოვა, ჯერ-ჯერობით არ სახელდება დირიჟორი. „დანიელს აქვს ყველა საჭირო თვისება, გასაოცარი ნიჭი და აუცილებელი მონდომება, რაც კლასიკური მუსიკის სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. მასთან კონტრაქტის გაფორმება ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ კლასიკური მუსიკის ნათელ მომავალს, რისი ერთ-ერთი სახე-სიმბოლოც თავად დანიელია. დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი შემოქმედება ერთი მხრივ აღაფრთოვანებს კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს, ხოლო მეორე მხრივ მოიზიდავს ახალი თაობის წარმომადგენლებს მუსიკის სამყაროში“ - აცხადებენ **Deutsche Grammophon** -ში.

45 წლის ბრიტანელი კომპოზიტორი ტომას ადესი ალბათ ერთადერთია, ვისაც ორჯერ აქვს მიღებული პრემია „გრემი“ ერთი და იგივე ნაწარმოებისთვის. თავდაპირველად 2010 წელს გრემი მიენიჭა ადენის ოპერა „ქარიშხალს“ (შექსპირის მიხედვით). ხოლო ოთხი წლის შემდეგ, როდესაც DVD ჩანაწერი გამოიცა, ის მიიჩნიეს ყველაზე წარმატებულ ოპერად და კვლავ აღნიშნეს პრემიით. ამჯერად ზალცბურგის ფესტივალმა კომპოზიტორს შეუკვეთა მესამე ოპერა „ანგელოსი მომსვრელი“.

27 ივლისს 87 წლის ასაკში ფინელი კომპოზიტორი, ეინოიუჰანი რაუტავარა აღესრულა. იან სიბელიუსის შემდეგ ყველაზე გამორჩეულ ფინელ კომპოზიტორად მიჩნეული რაუტავარა ჰელსინკში, საკუთარ სახლში, ოპერაციის შემდგომი გართულებების გამო გარდაიცვალა. 1928 წელს ოპერის მომღერლის ოჯახში დაბადებული კომპოზიტორი 4 წელი ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიაში, შემდგომში კი ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლაში სწავლობდა. მისი პირველი გამორჩეული ნაწარმოები „ჩვენი დროის რეკვიემი" (1954) იყო. რაუტავარას შემოქმედება სტილისა და ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მან ბედი სცადა სიმფონიის, კონცერტის, საგუნდო, ბიოგრაფიული ოპერების ჟანრებში.

მას ეკუთვნის ოპერები ვინსენტ ვან გოგსა და გრეგორი რასპუტინზე. მის ყველაზე ცნობილ ნამუშევრებს შორისაა ექსპერიმენტული **Cantus Arcticus,** რომლისთვისაც მან არქტიკულ წრესთან ბინადარი ჩიტის ხმის ჩანაწერი გამოიყენა და „ანგელოზთა სერია", რომელიც მისი ბავშვობისდროინდელი ხილვებით იყო შთაგონებული. ის თითქმის 15 წელი ასწავლიდა სიბელიუსის აკადემიაში. 2004 წლის შემდეგ ივი მძიმე სენით დაავადდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მუსიკისთვის დროის დათმობას.

ლუჩანო პავაროტის ქვრივმა დონალდ ტრამპს საჯარო გამოსვლებისას „Nessun dorma"-ს გამოყენება აუკრძალა. ნიკოლეტა მანტოვანის განცხადებით, ის ღირებულებები, რაც ლეგენდარულ ტენორის მოღვაწეობის მანძილზე ამოძრავებდა, კარდინალურად განსხვავდება აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის მსოფლმხედველობისაგან. პავაროტის ნამღერი არია ჯაკომო პუჩინის „ტურანდოტიდან" ტრამპის საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ხშირად ჟღერდა, თუმცა, როგორც ჩანს, ოჰაიოში გამართული რესპუბლიკელთა ყრილობა იტალიელის ოჯახის წევრთათვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ამ გადაწყვეტილებით პავაროტის ოჯახი იმ მრავალრიცხოვან მუსიკოსებს შეურთდა, ვინც დონალდ ტრამპს თავიანთი ნამუშევრების გამოყენების შეწყვეტა სთხოვეს, მათ შორის არიან Rolling Stones, R.E.M და ჯორჯ ჰარისონის მემკვიდრეები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევებში აშშ-ში პოლიტიკოსებს შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში მუსიკოსებისგან დამატებითი ნებართვა არ სჭირდებათ, ხელოვანებს მაინც აქვთ ამის გასაჩივრების უფლება.

ევროკავშირის ახალგაზრდული ორკესტრი დაფინანსების უქონლობის გამო არსებობას წყვეტს. ორკესტრი, რომელიც 1976 წელს იტალიელმა მაესტრო კლაუდიო აბადომ დაარსა, პირველ სექტემბერს დაიშლება. ფინანსური პრობლემები ორკესტრს 2014 წლიდან შეექმნა, როცა ევროკავშირმა მას დახმარება შეუწყვიტა. შემდგომში ივი კულტურული პროგრამის, „შემოქმედებითი ევროპის" ფარგლებში ფინანსდებოდა, რაც აგრეთვე შეუწყდა. ორკესტრი, რომელიც დაარსებიდან 40 წლის იუბილეს ევროპული ტურნეთი აღნიშნავდა, იძულებული შეიქნა კონცერტების მნიშვნელოვანი ნაწილი გაეუქმებინა. კონცერტებს მხოლოდ 2016 წლის მანძილზე ჩაატარებს, რაც სხვა წყაროებიდან დაფინანსდება. დაარსებიდან მოყოლებული, ევროკავშირის ახალგაზრდულ ორკესტრში, 28 წევრი ქვეყნიდან 3000-ზე მეტმა ახალგაზდა მუსიკოსმა სცადა ბედი. გრძელია იმ შემსრულებელთა სია, ვინც შემდგომში წარმატებას მიაღწია. მათ შორის არიან დანიელი რეჟისორი თომას სონდერგარდი, ბრიტანელი ჩელისტი პოლ უატკინსი, ბერძენი მევიოლინე ლეონიდას კავაკოსი და მრავალი სხვა.

THE FESTIVAL

Mzia Japaridze

The First Gori International Choir Festival

The Choir Festival in Gori, which was founded 30 years ago, was renewed after 10 years gap. The author remarks that it was the Festival of the highest level according to the quality of its concerts, the program of the Festival, its dramatic composition and by its organization.

15 groups (up to 480 participants) took part in the Festival. Among them were the participants from Finland, Tallinn, Armenia, Azerbaijan and 14 groups from Georgia.

The author especially singles out the Azerbaijan State Capella and the Armenian State Chamber Choir. The Georgian groups were named as the favorite of the Festival. Among them were the Gori Chamber Women Choir and Gori Children Choir, the Tbilisi Girls' Choir and the Rustavi Youth Choir.

FROM THE VIEW OF THE YEARS

Gulbat Toradze

The Unique Temur Gugushvili

The article is dedicated to the 65th anniversary since the birth of the outstanding Georgian singer Temur Gugushvili. The author finds it really amazing that the singer, even at his age still systematically appears on the stages of both Tbilisi and foreign Opera Houses, performing

the leading parts of the lyrical and dramatic tenor. He also takes part in many solo concerts both in his homeland and other countries.

Temur Gugushvili has no competitors in this respect in the history of Georgian Vocal Art but it should be noted that there are very few analogies of this kind in the world.

FOLKLORE

Sopho Kotrikadze

Philomonoba in Ozurgeti

In the 19th century, the tradition of Georgian church chants was on the brink of vanishing. The Russian Empire forbade all of them in churches. The Georgian Clergymen were unable to revive the Georgian chants rendered orally. Philimon Koridze, the opera



singer who had just returned to Georgia, refused to continue his successful career in Europe and after coming back dedicated all his life to setting all of them to notes.

On 20 December 2011, the Georgian Saint Synod acknowledged Philimon to be Saint and called him St. Philimon Chanter-Devoted to his Nation. The day is celebrated on 25 July. Over the last few years, the data is celebrated in Ozurgeti, Guria, the Saint's homeland. The article tells us about these themes.

THE GEORGIAN CLASSICS

Tamar Tsulukidze

The Meeting with the Professional Musician Classic

The author recalls the performance of the one of the first Georgian Classical Symphony Poem "Zviadauri" by Shalva Mshvelidze at

Jansug Kakhidze Musical-Cultural Center. The author remarks that for many listeners the strong emotions caused by the performance, which had not been sounded on the stage for many years, were really unexpected.

The article also deals with Shalva Mshvelidze musical evening held at above mentioned center recently, revealing various layers of the composer's creative world. The concert was noteworthy because of the first time performing of the piano concert by Shalva Mshvelidze, played by the Brazilian pianist.

GEORGIA AND EUROPE

Mzia Japaridze

The Dialogue of Cultures

At the first Gori International Choir Festival, the author got acquainted with the representative of French Producing Organization "NS Organization". This organization has been popularizing Georgian Music in France and besides they have been helping the passed warriors families who died in the war of 2008.

The "NS Organization" was founded by the couple Mari-Ani and Serg Poullen, who lead the company and their daughter is working there too. The organization has been interested in peculiarities of the world music and

Georgia is one of the spheres of their main interests. In this activity, they are supported by the Georgian lady, the French linguist Maia Mchedlishvili.

THE EPOCHAL PORTRAITS

Tsitsino Jervalidze

The Clean and Honest Attitude Towards Music Always Helps Me . . .

In the journal the interview with the famous Georgian conductor Jansug Kakhidze is represented, which was held in 2001 and was published in the newspaper "The Knari".

One of the main parts of Jansug Kakhidze's creative activity was at Tbilisi State Opera. He was the conductor in 1962-1971, the Chief Conductor and the Art Director in 1983-2002. The Maestro talks about his attitude towards Opera House in general, Tbilisi Opera House in particular, about the peculiarity of opera conductor's work and etc.

In the article, the attention to the first staging of "Abesalom and Eteri" by Zacharia Paliashvili at Lodzi Opera House on the initiative and conducting by Jansug Kakhidze, is paid.



THE FESTIVAL

Otar Tatishvili

Unforgettable Meetings

The article represents the sharing of the impressions connected with the festival "From Easter to Ascension Day", which has become traditional for Georgian classical music.

The author and the composer has been connected with the festival for years and he often participates in the festival. Namely, he is thankful to the organizers of the festival

for the jubilee-creative evening of three contemporary composers (Elizbar Lomdaridze, Giorgi Shaverzashvili, Otar Tatishvili) held at the Minor Hall of Rustaveli Theatre in 2015.

The author accents his attention to this year concert of the festival of one of the greatest modern pianists Sergei Babaian, whose decision to perform "Well-tempered Clavier" first volume (24 preludes and fugue) was the honor for Tbilisi Musical Society.

REMEMBRANCE

Giorgi Kraveishvili

Manana Dolidze-Andriadze

The author recalls the passed musicologist Manana Dolidze-Andriadze, who became 65 since her birth.

Manana Andriadze's merit first of all is revealed in it that she was the first to research the questions of the theory, history and paleography of the Georgian chants and left the fundamental work about it. She founded the Chair of the Church Music at Tbilisi State Conservatoire and founded the research school of Georgian Chants.

It is noted in the article that the Third Scientific Conference was dedicated to this date of 11 May. The conference was called "The Problems of Church and Traditional Musicology". The conference was followed by the concert.

In the article the attention is also paid to the book "Remembrance" published in Georgian and Russian languages, which was dedicated to Manana Andriadze's memory.

THE GEORGIAN MUSICIANS ABROAD

Victoria Chaplinskaya

Giorgi Gagnidze

Giorgi Gagnidze's, the well-known baritone on the world opera stages creative way is reviewed in the article. The way started at the Conservatoire and post-graduate years, where in Tamaz Laperashvili's class the author of the article Victoria Chaplinskaya was his concert-master. She notes that there was no leading baritone part left, which was not performed by Giorgi under the leadership of modern famous conductors, such as L. Maazel, J. Lavine. G. Dudamel, Ph. Louste and the others. Due to his tight timetable Giorgi is the rare guest in his own country. After 14 year gap, he had a tour in renewed Tbilisi Opera House in Leoncavallo's "Pagliacci", where he brilliantly

performed Tonio's part and a few days later in festival "From Easter to Ascension Day", at the Vazha Azarashvili's creative evening he performed 4 romances in a very interesting way.

CHRONICLE

Rusudan Khojava

A little from the Past till Now

The author – the honorable pianist, teacher, the Emeritus of Tbilisi State Conservatoire, Rusudan Khojava gives new life to the history pages, which refer to the musical-educational

activity in Georgia. All these was led by Georgian State Philharmonic, which held system-

atically the concerts of the country with the participation of the best musicians of Georgia, the concerts were led by the famous musicologists, the names of those who were connected with their merit in this activity.

REPORTING

Tamar Chinchaladze-Mari

The Magical Song

The evening held at Zacharia Paliashvili home-museum dedicated to the unforgettable singer Jemal Mdivani's 70th anniversary since his birth has become the significant event for the Georgian melomans.

As it was remarked at the evening, Jemal Mdivani was the wonderful singer who attracted the attention of the Georgian listeners since his first steps on the stage. He amazed the public with his amazing singing. The colleagues and the admirers recalled many facts as the proof of above said. For example, the Georgian singer Eldar Getsadze recalled the Georgian Music Gala-Concert held in Germany with the Jemal Mdivani's participation, after which the article was published under the headline "How poor was German Music until we knew about Georgian Opera".

THE REGION

The 20 year Presence in Tbilisi

The Abkhazian Musical college celebrated the important date for their presence in Tbilsi for 20 years at the Minor Hall of the Rustaveli Theatre. The teachers and the students of the

college took part in the concert.

The destiny of this traditional college is very sad because they had to move to the capital of Georgia. Though they have good

working conditions in Tbilisi. The college has continiued to live active life both in teaching and creative activity. The merit of the Director David Okujava of the college should be noted.

THE CRONICLE

Nino Matchavariani

«The Regional –Opera»

Nowadays when many musicians are abroad and professional musicians in Georgia have been left without the theatre, the idea of founding of one more theatrical group has been born. The initiator of founding such group is the Laureate of international competitions Zurab Bukhradze. The first perfomance was represented in Sachkhere and it was the

opera « Daisi » by Z.. Paliashvili. The same performance was represented in the Technical University and Rustavi Drama Theatre.

«The Regional - Opera» is already invited in many countries. Today they need only sponsors and financical support.

THE STUDENT PAGE

Anton Kokaia

Tbilisi Open Air 2016

Tbilisi Open Air festival representing in many genres was held from 29- 31 July near the new hippodrome of Tbilisi which is now the one of the biggest Festival in the South Caucasus.

The Festivalis accompanied by the annual competition « New Comers ». The aim of this competition is to discover and promote the young artists. The winners get the chance to appear at the Festival. Among the participants were many popular groups : lLOUD-Speakers, Me &My Monkey, The Mins and so on.

This year the special jury and the fans singled out the Georgian indie-rock band Bedford Falls. The main participants of the festival were : the French pop-duo Air, Irish folk-singer Damien Rice and the British Trip-hop band UNKLE.

Inspite of many difficulties and challenges, the event was successful. The listeners spent three pleasant days being at the Festival Tbilisi Open Air.

A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:

1. Ioseb Kechakmadze, "Mamao Chveno". Performed by Tbilisi Girls Choir. The leader Omar Burduli (feature "The First Gori International Choir Festival", p. 2.);
2. Joe Dassin, "Salut". Performed by Gori Women Chamber Choir. The leader and the soloist Teona Tsiramua (feature " The First Gori International Choir Festival ", p. 2.);
3. Azerbaijanian "Mughami". The bayati "Shirazi". Performed by the Azerbaijan State Capella (feature " The First Gori International Choir Festival", p. 2.);
4. Komitas. The Chant. Performed by the Armenian State Choir; feature "(The First Gori International Choir Festival" p. 2.);
5. Giacomo Puccini. The aria of Cavaradosi from the opera "Toska". Performed by Temur Gugushvili (feature " The Unique Temur Gugushvili ", p. 14.);
6. The Folk Song, "Tsani Kovlad Ghirsebit". Performed by the trio "Khelkhvavi' (feature "Philomonoba in Ozurgeti", p. 16.);
7. The Folk Song, "Khasanbegura". The variant of Philomon Koridze Choir (feature "Philomonoba in Ozurgeti", p. 16.);
8. Richard Strauss, "Salome's" aria from the opera "Salome". Performed by Tsisana Tatishvili, Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre Orchestra, the conductor Jansug Kakhidze (feature 'The Clean and Honest Attitude Towards Music Always Helps Me", p. 28);
9. Khakhetian song, "Ghmerto, Ghmerto". Performed by folk ensemble "Patara Kakhi" (feature "Folk Ensembles", p. 65);
10. Popurri of Megrelian songs. Performed by the ensemble "Odoia" (feature "Folk Ensembles", p. 65);
11. Ruggero Leoncavallo, the prologue from the opera "Pagliacci". Performed by Giorgi Gagnidze (feature " Giorgi Gagnidze ", p. 54);
12. Johan Sebastian Bach, WKL. v. 1, the fugue D-dur. Performed by Rusuan Khojava (feature "A little from the Past till Now", p. 58);
13. Giordano, Gerard's monologue from the opera "Andre Chenier". Performed by Jemal Mdivani (feature "The Magical Song", p. 67);
14. The song "Happy People". Performed by Bedford Falls (feature "Tbilisi Open Air", p. 75);
15. Georges Bizet, Carmen's "Khabanera" from the opera "Carmen". Performed by Nana Dzidziguri (feature " Nana Dzidziguri", p. 78).

The editional board

Editor-in-Chief: MIKHAEL ODZELI
Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE
Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE
Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:
123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
Tel: (+995 32) 295 41 64
Fax: (+995 32) 296 86 78